უშიშროების საბჭოს სხდომა შეიძლება, საჯარო იყოს A2
პოლიცია ნარკომანებისა და ნარკორეალიზატორებისგან იწმინდება A7
ავტომობილი B6

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 2004 წელი. №190 (739)
ფასი 50 თეთრი
© გაზეთი 24 საათი

# თურქი ბიზნესმენები საქართველოში



თურქეთი ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის; თურქეთი მეზობელია, რომელმაც პირველმა მისცა კრედიტი დამოუკიდებელი საქართველოს ჯერ კიდევ ყველა ქვეყნის მიერ ლეგიტიმურად არცნობილ მთავრობას.

თამარ ხორბალაძე

*თურქი ბიზნესმენები საქართველოში ბიზნესნიადაგს სინჯავენ. ეს ბიზნესმენთა მეორე მასშტაბური ვიზიტია ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ. ლოგიკურია, რომ რუსების შემდეგ საქართველოში ბიზნესფორუმი სწორედ თურქებთან ეწყობა - თურქეთი ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის; თურქეთი მეზობელია, რომელმაც პირველმა მისცა კრედიტი დამოუკიდებელი საქართველოს ჯერ კიდევ ყველა ქვეყნის მიერ ლეგიტიმურად არცნობილ მთავრობას; თურქეთი სახელმწიფოა, საიდანაც შემოსული პროდუქცია ქვეყნის მოსახლეობისთვის წლების მანძილზე ულტერნატივო იყო; სახელმწიფო, რომლის ბიზნესმა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებშივე აქტიურად სცადა შემოსვლა, თუმცა - თუ შესაძლებლობებისა და მასშტაბების თვალსაზრისით მივუდგებით, იმ ეტაპზე - საკმაოდ უშედეგოდ. და არის კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალი - თურქეთი ქვეყანაა, სადაც ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი ცხოვრობს.*

თურქული ინვესტიციები საქართველოში დღეისათვის 80 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრება. ძირითადი კაპიტალდაბანდებები სავაჭრო სფეროშია განხორციელებული. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირია წვრილი და საშუალო ინვესტიციები, რომელიც, ძირითადად, თურქეთის მეზობელ რეგიონში - აჭარაში ხორციელდებოდა - ისევ და ისევ კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო სფეროში.

თურქი ბიზნესმენების ძირითადი ინტერესი დღესაც სწორედ ამ რეგიონისკენ არის მიმართული - იქნება ეს რკინიგზის მშენებლობა, რომლის იდეა პირველად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააჟღერა, თუ ავტობანის მშენებლობა, რაც უნდა წაადგეს როგორც საქართველოს, ისე - თურქეთის სატრანზიტო ფუნქციის სრულყოფას. თურქი ბიზნესმენები აპირებენ, დღეს მოინახულონ სასტუმროები, რომელთა გაყიდვაც აჭარაში პირველ ეტაპზე იგეგმება, და აბაშიძის ცნობილი გვირაბი, რომლის დასრულებასაც, მინიმუმ, 50 მილიონი აშშ დოლარი სჭირდება და რომლის შეთავაზებასაც, ასევე, აპირებენ ინვესტორისთვის ქართველი ხელისუფალნი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ბლექსიფორი 2004"-ს საქართველო სარდლობს

**"შავი ზღვის ისტორია ომებითა და კონფლიქტებით არის მდიდარი და ამას ერთი მიზანი გააჩნდა - შავ ზღვაზე უპირატესობის მოპოვება. ჩვენ მოგვეცა ისტორიული შანსი, რომელიც ხელიდან არ გავუშვით და ეს ორგანიზაცია შევქმენით, რომლის საფუძველი ურთიერთგაგება, მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობაა,"** - ეს იყო ფრაგმენტი სიტყვიდან, რომელიც შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოპერატიულ-ტაქტიკური დაჯგუფების სარდლად დანიშვნისთანავე თქვა საქართველოს მხარემ, კერძოდ, პირველი რანგის კაპიტანმა გენადი ჰაიდაროვმა.

11 აგვისტოს ბათუმში გაიმართა "ბლექსიფორი 2004"-ის ახალი სარდლის დანიშვნის ცერემონიალი. სამხედრო-საზღვაო ორგანიზაციის ყოფილი სარდალი, ბულგარელი გიორგი გიორგიევი შეცვალა გენადი ჰაიდაროვმა, რომელიც "ბლექსიფორის" რიგით მეოთხე სარდალი გახდა.

გაგრძელება A2 გვერდზე



ბათუმის პორტში გუშინ სამხედრო გემებს, ბევრ მეზღვაურს, ბევრ ადმირალსა და სარდალს ნახავდით.

## პოლიტიკა

### საქართველო რუსეთს ამერიკასთან აბეზღებს



პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ბოლოდროინდელი ქმედებები, რასაც რუსეთის მხარე ახორციელებს, სხვა არაფერია, თუ არა ღია გამოწვევა, და საქართველო ამის უპასუხოდ დატოვებას არ აპირებს.

A2

## ეკონომიკა

### "თბილგაზი" არ იყიდება, მაგრამ...



დავით მორჩილაძეს თბილსგაზში 200 მილიონიანი ვალი დახვდა

A4

## უცხოეთი

### შიიტთა უწმინდესი ადგილი საფრთხეშია



შიიტ მუსლიმთა წმინდა ქალაქი ნაჯაფი, უკვე კარგა ხანია, ერაყული წინააღმდეგობის ციტადელად გადაიქცა.

A5

## საზოგადოება

### კიდევ ერთი პრობლემა ძველი ხელისუფლებისგან

მოსახლეობის დიდ ნაწილს საქართველოში რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში უწევს ცხოვრება, მაგრამ მთიანი რეგიონების მცხოვრებლებს განსაკუთრებით უჭირთ.

A6

## ამინდი

| | 12/8 | 13/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 30 |
| ქუთაისი | 26 | 28 |
| ბათუმი | 24 | 26 |
| სოხუმი | 22 | 24 |
| ფოთი | 23 | 26 |
| თელავი | 30 | 28 |
| ზუგდიდი | 24 | 27 |
| გორი | 25 | 25 |
| ახმეტა | 30 | 28 |
| ჭიათურა | 25 | 27 |
| გაგრა | 22 | 24 |
| სამტრედია | 25 | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.2700 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3957 |
| რუბლი | 0.0632 |

# რუსები ცხინვალის კონფლიქტში ღიად ჩაერთვნენ

## რუსმა ჟურნალისტებმა თამარაშენში დანგრეული სახლები არ გადაიღეს

ვერიკო თევზაძე

10 აგვისტოს, ღამე და 11 აგვისტოს, გამთენიისას ცხინვალის რეგიონში ინტენსიური სროლები მიმდინარეობდა. საქართველოს უშიშროების მინისტრის გიგი უგულავას განცხადებით, ეს ღამე გამორჩეული იყო იმით, რომ **"პირველად მოხდა ღიად და ურცხვად რუსი სამშვიდობოების მხრიდან ცეცხლის გახსნა და კონფლიქტში მათი პოზიციის დაფიქსირება"**. როგორც "24 საათს" შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა განუცხადა, **"ამ სროლებში რუს სამშვიდობოებთან ერთად, ოსი სამშვიდობოებიც აქტიურად მონაწილეობდნენ".**

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, ოსური მხარე ინტენსიურად აწარმოებდა სროლებს. **"დაბომბვა, ძირითადად, ხდებოდა თამარაშენში, აჩაბეთსა და იმ ტერიტორიაზე, სადაც განლაგებულია პოლიციის დანაყოფები. მთლიანად განადგურებულია 15-მდე სახლი, დაჭრილია სამი პიროვნება - ორი პოლიციელი და ერთი მშვიდობიანი მოქალაქე, რომელიც სროლისას საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ალექსანდრე სუხიტაშვილმა.

გიგი უგულავამ გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სროლები ქართული სოფლებისა და საგუშაგოების მიმართულებით მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ღია წერილი გაზეთ "24 საათის" რედაქციას

რიჩარდ მაილსი
აშშ-ს ელჩი საქართველოში

თუმცა, გარკვეული დრო გამოხდა, მსურს იმ საკითხებს შევეხო, რომელიც მაიორმა ლადო ჩაჩიბაიამ წამოჭრა "24 საათის" დამატების, გაზეთ "სამხედროს" ფურცლებზე. მაიორ ჩაჩიბაიას მიმართ მსურს საქებარი სიტყვები ვთქვა იმის გამო, რომ იგი გულისყურით ეპყრობა თავისი ჯარისკაცების კეთილდღეობას, მაგრამ ამავდროულად საჭიროდ მივიჩნევ, აზრი გამოვთქვა მისი ზოგიერთი განცხადების თაობაზე.

პირველ რიგში, ერაყში მომსახურე ყველაზე დაბალი ჩინის მქონე ქართველი ჯარისკაცის ყოველთვიური ანაზღაურებაც კი 200 აშშ დოლარის ეკვივალენტია. ამასთან, ისინი საზღვარგარეთ სამსახურისთვის ღებულობენ დანამატს 600 აშშ დოლარის ოდენობით, რაც მათ მთლიან შემოსავალს 800 აშშ დოლარამდე ზრდის. გადასახადების გადახდის შემდგომ ეს თანხა 640 აშშ დოლარამდე მცირდება. საქართველოს მოქალაქეთა საშუალო წლიური ხელფასი მხოლოდ 600 აშშ დოლარია, ერაყში მომსახურე ქართველი ჯარისკაცები კი უფრო მეტს გამოიმუშავებენ ერთი თვის განმავლობაში. შესაძლოა, მათი ხელფასები კოალიციის წევრთა ჯარისკაცების ხელფასებზე ნაკლები იყოს, მაგრამ საქართველოში ეს მაინც მაღალი ხელფასია. უფრო მეტიც, სამხედრო სამსახურში გაწვეულთა საშუალო წლიური შემოსავალი 60 აშშ დოლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ საზღვარგარეთ დისლოცირებული ქართველი ჯარისკაცები ამ თანხაზე 100-ჯერ მეტს გამოიმუშავებენ ერთ წელიწადში.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 საზოგადოება
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# უშიშროების საბჭოს სხდომა შეიძლება, საჯაროც იყოს



ახალი პროექტის თანახმად, უშიშროების საბჭოს შემადგენლობა მცირდება.

გუშინ პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტმა განიხილა და მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ ცვლილებათა პროექტებს კანონში "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" და "სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ".

როგორც "24 საათს" თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით კირკიტაძემ განუცხადა, ახალი პროექტის თანახმად, უშიშროების საბჭოს შემადგენლობა მცირდება. მასში საქართველოს პრეზიდენტის, ანუ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის და უშიშროების საბჭოს მდივნის გარდა, შედიან: პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, უშიშროების მინისტრი. განსაკუთრებულ შემთხვევებში საბჭოს სხდომას დაესწრებიან პარლამენტის თავმჯდომარე, ასევე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეები.

თუ, განსახილველი საკითხების გათვალისწინებით, პრეზიდენტი საჭიროდ მიიჩნევს, უშიშროების საბჭოს სხდომა შეიძლება საჯაროდ გამოცხადდეს - კანონპროექტი ასეთ ცვლილებასაც ითვალისწინებს.

რაც შეეხება "სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს, ჯარში სამსახურის ხანგრძლივობა ერთ წლამდე უნდა შემცირდეს. უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის კი ეს ვადა ექვსი თვით განისაზღვრება.

სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობის დიფერენცირებული დაყოფის პრინციპს არ იზიარებს პარლამენტარი გიგა ბოკერია. მისი აზრით, ეს არაჯანსაღ გარემოს და კორუფციის საფრთხეს შექმნის. სამხედრო სამსახურის ვადები ყველა მოქალაქისათვის თანაბარი უნდა იყოს, - აცხადებს ბოკერია.

"სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს გუშინდელ სხდომაზე მხარი არ დაუჭირა რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა ივლიანე ხაინდრავამ. ხაინდრავა იდეაში ეთანხმება პრეზიდენტის ინიციატივას, მაგრამ აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროდ მიიჩნევს ექსპერტთა და სამხედრო მოსამსახურეთა პოზიციების გაცნობას.

ცვლილებათა პროექტებს პარლამენტი 13 აგვისტოს რიგგარეშე სესიაზე განიხილავს და შესაძლებელია, პირველი მოსმენითაც მიიღოს, - დასძინა "24 საათთან" საუბრისას დავით კირკიტაძემ.

*24 საათი*

# რუსები ცხინვალის კონფლიქტში ღიად ჩაერთვნენ

პირველი გვერდიდან

უშიშროების მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ოსი სეპარატისტების და მათ მხარდამჭერთა შეტევა სოფელ სარაბუკის მხრიდან განხორციელდა. შეინიშნებოდა რუსული სანომრე ნიშნიანი მანქანების მოძრაობა. რუსი სამშვიდობოები ოსურ მხარეს მთელი ღამის განმავლობაში აწვდიდნენ ინფორმაციას ქართული მხარის შეიარაღებული ძალების გადაადგილების შესახებ, - აღნიშნა უგულავამ.

რუსული საინფორმაციო საშუალებები გუშინ ავრცელებდნენ ცნობებს იმის შესახებ, რომ, თითქოსდა, სროლებს ქართველი სამშვიდობოები აწარმოებდნენ. რუსული მასმედიის მიერ "გაპიარებული" სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები ცხინვალის მახლობლად განლაგებული ქართული სამშვიდობო ბატალიონისკენ იშვერდნენ ხელს.

ალექსანდრე სუხიტაშვილი, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა, რუსულ საინფორმაციო საშუალებებს ტენდენციურობაში ამხელს: **"რუსი ჟურნალისტები თამარაშენში ამოვიყვანე, რათა დანგრეული სახლები გადაეღოთ. მინდა გითხრათ, რომ ისინი გაიპარნენ. რუსმა ჟურნალისტებმა არ ისურვეს, დაეფიქსირებინათ ის, რაც სინამდვილეში მოხდა,"** - განუცხადა სუხიტაშვილმა "24 საათს".

უშიშროების მინისტრის გიგი უგულავას განმარტებით, საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, სამხედრო ქმედებებისაგან თავი შეიკავოს. თუმცა, როგორც უგულავამ დასძინა, **"როცა ადგილი აქვს მასობრივ შემოტევებს, ქართული სამშვიდობო კონტინგენტი ვალდებულია, თავდაცვის მიზნით ცეცხლი გახსნას."**

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებას **"საკმაოდ მძიმეს"** უწოდებს და აცხადებს, რომ რუსი სამშვიდობოები ადრეც მონაწილეობდნენ შეიარაღებულ შეტაკებებში, მაგრამ ქართული მხარე აქამდე მკვეთრი განცხადებებისაგან თავს იკავებდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცხინვალის რეგიონში 10-11 აგვისტოს ინციდენტი მოსკოვში მიმდინარე ქართულ-რუსული მოლაპარაკებების ფონზე მოხდა. რა რეაგირება მოჰყვება ყოველივე ამას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან? ქართული ძალოვანი უწყების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ იქნება მიღებული.


## შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს კონკურსს

**შპს "საქაერონავიგაცია",**

რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- საქართველოს საჰაერო სივრცეში და თბილისის აეროპორტის აფრენა-დაფრენის ზონაში საჰაერო მოძრაობის მომსახურება და ფრენის უსაფრთხოების დაცვა,
- საჰაერო ხომალდების მოძრაობის უშუალო მართვა და ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა,
- ფრენის რადიოტექნიკური, განათების ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფა;
- სააეროდრომო მაუწყებლობის ორგანიზაცია;
- ფრენის ინფორმაციის ანალიზი და განზოგადება;
- რადიოტექნიკური, განათების ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რადიოგამოსხივების ტექნიკური ნორმების დაცვაზე კონტროლი და სხვა,

**აცხადებს კონკურსს შპს "საქაერონავიგაციის" საფირმო ნიშნის დიზაინის შექმნაზე.** საფირმო ნიშნის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნულ ფუნქციებს.

ყველა დაინტერესებულმა პირმა კონკურსში მონაწილეობის განაცხადი და საფირმო ნიშნის ესკიზი (თაბახის ფურცელზე ფორმატი A4-ზე შესრულებული) უნდა გამოაგზავნოს ფოსტით 2004 წლის 3 სექტემბრამდე მისამართზე: 0158, საქართველო, ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია".

იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი საფირმო ნიშანი შპს "საქაერონავიგაციის" მიერ ცნობილი იქნება საუკეთესოდ და მისი ავტორი გამოცხადდება გამარჯვებულად, მის მიერ შექმნილი საფირმო ნიშნის (სამსახურებრივი ნაწარმოები) გამოყენების ყველა განსაკუთრებული უფლება გადავა შპს "საქაერონავიგაციაზე". შპს "საქაერონავიგაცია" კონკურსში გამარჯვებულ ავტორს გადაუხდის ერთჯერად ანაზღაურებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

კონკურსის თაობაზე დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ვებ გვერდი: http://www.airnav.com.ge
ტელეფონი: (+995 32) 94 77 39.


# ერთობლივი პრესკონფერენცია

ლელა მჭედლიძე

*მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ **"მომავალი თაობები თურქებს გაწეულ დახმარებასა და თანადგომას არ დაუვიწყებენ."** საქართველოს პრეზიდენტი მეზობელ თურქეთს გაწეული პოლიტიკურ-ეკონომიკური დახმარებისათვის ემადლიერება და საპასუხო ნაბიჯების გადადგმასაც აპირებს. როგორც თავად აცხადებს, **"ეს არა მხოლოდ გონებისათვის, არამედ გულისათვის გადადგმული ნაბიჯები იქნება".***



*თურქეთი, როგორც ნატო-ს ძველი და სტაჟიანი წევრი, საქართველოს სხვადასხვა სახის დახმარებას ჰპირდება.*

სააკაშვილმა თავის თავსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრს შორის გარკვეული მსგავსება აღმოაჩინა. პარალელები მან, ძირითადად, თავისი და ერდოღანის გუნდის მოღვაწეობის მხრივ გაავლო. როგორც სააკაშვილმა შენიშნა, კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ერდოღანის გუნდს, მისი გუნდივით, ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. მეგობრული ურთიერთობის სამომავლოდ კიდევ უფრო გაღრმავების პირობა საქართველოს პრეზიდენტმა და თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ერდოღანმა კი დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ დადეს. თურქეთის პრემიერ-მინისტრთან პრეზიდენტმა საკმაოდ დიდხანს ისაუბრა. გუშინ სააკაშვილმა და ერდოღანმა სამომავლო გეგმების მხოლოდ მცირე ნაწილი გაამხილეს. უფრო მასშტაბური და კონკრეტული გეგმების შესახებ მოგვიანებით გახდება ცნობილი. საერთო ინტერესების კიდევ უფრო დასაზუსტებლად საქართველოს პრეზიდენტმა თურქ სტუმართან ერთად დღეისათვის ბათუმში გამგზავრება გადაწყვიტა. ერდოღანმა არ დამალა, რომ საქართველოს მეთაურს შეხვედრისას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით, "თურქი მესხების" (ერდოღანმა ისინი "ახალციხელ თურქებად" მოიხსენია) და გარკვეული მოსაზრებები რუსეთთან ურთიერთობის მხრივაც გააცნო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თავისი 300 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი ჰყავს, პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს "თურქი მესხების" საკითხზე პარალელურად მუშაობას დაჰპირდა.

თავად თურქების შეფასებით, საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი ნახტომი 2000 წელს შეინიშნებოდა. ახლა, ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან მიმართებაშიც ივარაუდება. თურქეთი, როგორც ნატო-ს ძველი და სტაჟიანი წევრი, საქართველოს სხვადასხვა სახის დახმარებას ჰპირდება. უწინარეს ყოვლისა, გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

უკვე ცნობილია, რომ საქართველო უახლოეს ხანში თურქ ინვესტორ-ბიზნესმენებს სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვისპირეთში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო კოდექსით მოხიბვლას უპირებს. სააკაშვილი გუშინ წინა წლებში უსამართლოდ შევიწროებულ თურქ ინვესტორებს სამართლიან სასამართლო პროცესს დაჰპირდა. **"საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფცია არ არის და ბიზნესმენს ამიერიდან ფულს არავინ გამოსძალავს. საქართველოში მილიონობით დოლარის დაბანდება შეიძლება, მაგრამ გვინდა, რომ ეს თავად ბიზნესმენებისთვისაც მომგებიანი იყოს,"** -განაცხადა პრეზიდენტმა. რუსეთი გუშინ, ძირითადად, "ლიბერალურ-დემოკრატიული" პარტიის ლიდერის, ვლადიმირ ჟირინოვსკის აფხაზური ვოიაჟის გამო გაიხსენეს. **"ჩვენს საზღვარზე მოსალოდნელია პროვოკაციები, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი არ დავუშვათ. ეს არც ქართველ ხალხს და არც საქართველოს ხელისუფლებას სჭირდება. რაც შეეხება ტაკიმასხარა ჟირინოვსკის ჩვენს ტერიტორიულ წყლებში გამოჩენას, მოგეხსენებათ, რომ ჟირინოვსკისთვის როგორც საქართველო, ისე თურქეთი და სხვა ქვეყნები არაფერს წარმოადგენს, გარდა ტერიტორიისა... დღეს, საქრთველოს პრემიერ-მინისტრთან დარეკა რუსეთის ელჩმა საქართველოში და აცნობა, რომ ჟირინოვსკი, თავისი პარტიის წევრებთან ერთად, კატერით აპირებს საქართველოს წყლებში შემოსვლას და უმორჩილესად გვთხოვა, რომ მისთვის ცეცხლი არ გაგვეხსნა. ამავე დროს, მოსკოვში რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი შეხვდა ჩვენს თავდაცვის მინისტრს და განუცხადა, რომ რუსეთი ვერ აკონტროლებს ამ ადამიანს... და საქართველო უფლებამოსილია გამოიყენოს ყველა საშუალება, ძალის ჩათვლით, მაგრამ გამონაკლისის სახით, სთხოვს, ჟირინოვსკის ცეცხლი არ გაუხსნას. რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს, მიეცა კიდევ ერთი საბაბი თუ გამოეჩინა თავშეკავება? მაგრამ ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის ასეთი ურთიერთობა არ უნდა გაგრძელდეს... ისე, როცა ამხელა არმიის გენერალური შტაბის უფროსი ამბობს, ერთი გიჟის დაკავების ძალა არ მაქვსო, კარგად ყოფილა საქმე რუსეთში,"** - ასეთია მიხეილ სააკაშვილის პოზიცია. გუშინ, სააკაშვილთან შეხვედრამდე, ერდოღანმა პრემიერ-მინისტრ ჟვანიასთან ისაუბრა. დღეს ბათუმში გამგზავრებამდე იგი უკვე პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდება.

# ჯერ პუტინი, შემდეგ ცხინვალი

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში მყოფი საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე ერთ საგულისხმო, მაგრამ მაინც ტრაფარეტულ აზრს ამბობს: "ბაზების საკითხი, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დანარჩენ მწვავე საკითხებთან ერთად, უმალ მოიხსნება, როგორც კი ორ ქვეყანას შორის ცივილიზებული, დემოკრატიული ურთიერთობები დამყარდება." ქართველი მინისტრის აზრით, ამ მომენტის დადგომას რუსებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენა სჭირდება და მერე - ყველაფერი დანარჩენი. მინისტრი თვლის, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს არა ცალკეული დეპუტატები, ფინანსური ჯგუფები და გენერლები უნდა განსაზღვრავდნენ, არამედ საქართველო-რუსეთის საერთო ეროვნული ინტერესები. მოსკოვში გიორგი ბარამიძის ოფიციალური ვიზიტის დროს გაირკვა, რომ კრემლსა და თბილისს უსაფრთხოების საიმედო გარანტიები სხვადასხვანაირად ესმით. რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი იური ბალუევსკი აცხადებს, რომ ასეთ გარანტიებში მოსკოვი, პირველ რიგში, ხედავს კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ბატალიონის დარჩენას, ზონის სრულ დემილიტარიზაციას. გიორგი ბარამიძის აზრით კი, საუკეთესო გარანტია იქნებოდა საქართველოში კონფლიქტიების არარსებობა.

11 აგვისტოს დილით ქართული დელეგაცია რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ იური ზუბაკოვმა მიიღო. ამ შეხვედრას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, გენშტაბისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ჟურნალისტების გასაგონ "პროტოკოლ"-ზე გიორგი ბარამიძემ რუსეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობების მთავარ პრიორიტეტად, პირველ რიგში, რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დასახა, ქართული სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციაში რუსული კაპიტალისა და რუსული ბიზნესის მოზიდვა. კრემლის შეხვედრის სამხედრო შემადგენელი ბატონმა იური ზუბაკოვმა ჩვენი გაზეთის შეკითხვაზე პასუხისას "მოხაზა".

- საკითხი, იქნება თუ არა ომი სამხრეთ ოსეთში, კრემლში სულაც არ წყდება. ყველა გადაწყვეტილება თბილისში უნდა იქნეს მიღებული და მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის,- აცხადებს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე.

ივანოვ-ბარამიძის შეხვედრიდან ცხადი მხოლოდ ის გახდა, რომ რუსული მხარე როგორც ადრე უარყოფდა, ახლაც ისე უარყოფს რუსული ავიაციის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებს. "გაუზიცები სამშვიდობო კონტინგენტს საერთოდ არ გააჩნია," - ამბობს რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი. სერგეი ივანოვი კი უარყოფს ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზთან არსებულ სამხედრო ბაზა "სპუტნიკზე" ჩრდილოეთ ოსეთისათვის ბოევიკთა მომზადების ფაქტს. ერთადერთი, რასაც დღეს მოსკოვი თბილისთან დიალოგში არ უარყოფს, ის არის, რომ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დარეგულირება მხოლოდ შერეული კომისიის ფორმატში უნდა მოხდეს. ზუბაკოვის განცხადებით, ოსებს უნდა ჰქონდეთ უსაფრხოების ყველა გარანტია, რისი უზრუნველყოფაც დღეს მხოლოდ შერეული კომისიის მუშაობის გაგრძელებით მიიღწევა. მოსკოვი არ უარყოფს საქართველოში საკუთარი სამხედრო დასწრების შენარჩუნების ცუდად შენიღბულ მძაფრ სურვილს. მოსკოვი უარყოფს ბაზების გატანის დროში გაწელილი პროცესის მხოლოდ ორი წლით შემცირებას. ასე ესმის რუსეთს საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესები საქართველოში. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეები ადრინდელი პოზიციების დათმობას სულაც არ აპირებენ. არც სამხრეთ ოსეთში აშკარა შეიარაღებული კონფრონტაციის უფლებას აძლევენ საქართველოს და არც ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას უნთებენ მწვანე შუქს.

მოსკოველ ექსპერტთა აზრით, კრემლი ამ ეტაპზე დაინტერესებულია საქართველოში არსებული ეთნოკონფლიქტების, სულ მცირე, ათი წლით გაყინვით, კონფლიქტურ რეგიონებში არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებით.

რუსული წყაროები იტყობინებიან, რომ ცხინვალის რეგიონში დაძაბულობის მოხსნაში დაინტერესებული მხარეები დღეს უკვე ინტენსიურად გადაერთენ პუტინის საქართველოში ვიზიტის უკვე დაწყებულ სამზადისზე - თუ გსურთ, პუტინი თბილისში იხილოთ, ხელი აიღეთ ავტომატის სასხლეტზე, ასე "დაარიგეს" მოსკოვში ქართული დელეგაცია.

მოსკოვში ყოფნისას საქართველოს თავდაცვის მინისტრს გიორგი ბარამიძეს კრემლმა დელიკატურად აგრძნობინა, თუ რა სურს რუსეთს. და მაინც, ორი სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრის ოქმს ალბათ არ დარჩემევა კომპრომისული ვარიანტი, რადგანაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდება კონფლიქტის ზონის სრული დემილიტარიზაცია, ეუთო-ს მანდატის გაფართოება და დაიწყება პირდაპირი დიალოგი დაპირისპირებულ მხარესთან. მოსკოვმა, როგორც ჩანს, ცხინვალის პრობლემის დარეგულირებაში ხელები საბოლოოდ დაიბანა, პარალელურად კი საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფალთა დასამშვიდებლად ხელი მოაწერა უვარგისი სამხედრო ობიექტების თბილისისათვის ზარ-ზეიმით გადაცემას. როგორც ჩანს, არ ცდებოდა ბატონი ბარამიძე, როცა რუსეთში მომძლავრებულ იმპერიულ და რეაქციულ ძალებზე თავის რუს კოლეგებს შეახსენებდა.

# საქართველო რუსეთს ამერიკასთან აბეზღებს

ნინო გოგმართელი

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ საქართველოში ვიზიტით მყოფ ჯეიმს თაუნის ფონდის წარმომადგენლებს შეხვდა, საუბრის მთავარი თემა კი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემები - ცხინვალისა და აფხაზეთის საკითხები, ასევე, რუსეთთან წარმოქმნილი უთანხმოებები და ბოლოდროინდელი "თავხედური გამოხდომები" იყო.

ჯეიმს თაუნის ანალიტიკური კვლევითი ცენტრის დელეგაცია საქართველოში ოთხდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფება. პარლამენტის თავმჯდომარესთან დღევანდელ შეხვედრაზე ფონდის წარმომადგენლები ცხინვალის რეგიონიდან ჩამოვიდნენ, პარლამენტის თავმჯდომარისგან კი სურდათ, მოესმინათ ინფორმაცია კონფლიქტის ზონებში სადღეისოდ არსებული ვითარების და საქართველოს ხელისუფლების კურსის შესახებ.

ფონდის წარმომადგენლების შეკითხვებზე საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის პასუხები საკმაოდ მკაცრი და მუქარის ტონით გაჯერებული იყო.

**"რუსეთი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და იგი ამისათვის პასუხს აგებს. შესაძლოა, დუმის წევრის ვლადიმირ ჟირინოვსკის ქმედებები სერიოზულად აღსაქმელი არ იყოს, მაგრამ იგი ბევრი რუსი პოლიტიკოსის და სერიოზული ძალების პოზიციას გამოხატავს. ის, რომ დღეს ჟირინოვსკის კატერს აფხაზეთის აკვატორიაში აცილებდა არა ჩვეულებრივი, თუნდაც, სამგზავრო კატერი, არამედ პრაქტიკულად, რუსეთის შეიარაღებული ძალების სერიოზული წარმომადგენელი საზღვაოსამხედრო ხომალდის სახით, ეს ნიშნავს იმას, რომ, სამწუხაროდ, ეს არის რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა, თუნდაც თავდაცვის სამინისტროს დონეზე. გულახდილად გეტყვით, ხელები მეფხანებოდა, რომ საქართველოს ჟირინოვსკის კატერისთვის ცეცხლი გაეხსნა,"** - აღშფოთებით აღნიშნა შეხვედრაზე ბურჯანაძემ.

საქმე ის არის, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი და მასთან ერთად სოჭში ჩასული ფრაქცია "ლიბერალ-დემოკრატების" მთელი შემადგენლობა, ჟურნალისტთა წარმომადგენლობით კორპუსთან ერთად, გუშინ სოჭის საზღვაო პორტიდან, რუსეთის სანაპირო დაცვის სამხედრო კატარღის გაძლიერებული დაცვის თანხლებით, სოხუმში გაემგზავრა. ისინი ჯერ ახალ ათონში, ხოლო შემდეგ სოხუმში ჩავიდნენ, სადაც მათ შეხვედრები გამართეს სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბასთან და პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბასთან. მათ კატარღას მთელ მანძილზე ქართული სამხედრო გემი დევნიდა და ყოველ წუთს ისმოდა მეგაფონით გაფრთხილება, რომ რუსეთის ტერიტორიულ წყლებში დაბრუნებულიყვნენ.

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ბოლოდროინდელი ქმედებები, რასაც რუსეთის მხარე ახორციელებს, სხვა არაფერია, თუ არა ღია გამოწვევა, და საქართველო ამის უპასუხოდ დატოვებას არ აპირებს. საკუთარი რეაგირება საერთაშორისო თანამეგობრობამ და საზოგადოებამ უნდა მოახდინოს.

ბურჯანაძე ცხინვალში არსებულ ვითარებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენებიც იმ საერთო გეგმის ნაწილია, რომელიც აფხაზეთის აკვატორიაში ჟირინოვსკის შესვლასთან არის დაკავშირებული.

**"ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის სამხედროებს ხელს აძლევთ, საქართველო ღია პროვოკაციაში ჩაითრიონ. როგორც ჩანს, ისინი ელოდნენ, რომ საქართველო აყვებოდა ბუნებრივ ემოციას და რადიკალურ ზომებს მიიღებდა ასეთი თავხედური გამოხდომის მიმართ. ყველაფერი გათვლილია იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას ნერვებმა უმტყუნოს. მაგრამ ჩვენ მაინც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით დარეგულირდეს,"** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

# "ბლექსიფორი 2004"-ს საქართველო სარდლობს

პირველი გვერდიდან

ბათუმის პორტში გუშინ სამხედრო გემებს, ბევრ მეზღვაურს, ბევრ ადმირალსა და სარდალს ნახავდით. ულამაზეს ცერემონიალს მეტ მნიშვნელობას ცოცხალი ორკესტრი სძენდა, რომელმაც შავი ზღვის აუზის შვიდი ქვეყნის ჰიმნი შეასრულა. ცერემონიალს აჭარის პოლიტიკური ელიტა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ მაიორი გივი იუკურიძე ესწრებოდა: **"საქართველოს მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმ მიზნით, რომ ქართული სამხედრო საზღვაო ძალები მიიღებენ გამოცდილებას, ცოდნას და ძალიან კარგია, რომ სარდლობა საქართველოს წარმომადგენელს გადაეცა. ეს ორგანიზაცია მშვიდობის გარანტია და იმედი მაქვს, რომ ომი არ იქნება,"** - განაცხადა ბატონმა გივიმ. ბულგარელმა გიორგი გიორგიევმა, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოპერატიულ-ტაქტიკური დაჯგუფების ახლა უკვე ყოფილმა სარდალმა შესანიშნავი მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა საქრათველოს სამხედრო ძალებს და თქვა: **"კმაყოფილი ვარ, რომ ბლექსიფორის მესამე სარდალი ვიყავი. ახლა შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო საზღვაო ძალების ოპერატიული დაჯგუფების სარდლობას ჩემს მეგობარს, პირველი რანგის კაპიტანს, გენადი ჰაიდაროვს გადავცემ და იმედს გამოვთქვამ, რომ მეოთხე აქტივაცია კარგად, ურთიერთგაგებით ჩატარდება, რაც ჩვენი მისიის სრულყოფის კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება."** შავი ზღვიის სამხედრო-საზღვაო სარდლების კომიტეტის დადგენილების მიხედვით ახალ სარდალს, ტრადიციისამებრ, გადასცეს ღირსების ხმალი და მისი ბასრად და მბზინვარედ შენარჩუნება უსურვეს.

ბათუმის პორტში ყველაზე პატარა, ქართული კატარღა იდგა, ამიტომაც სხვა ქვეყნების შეთავაზებების მიუხედავად, სარდლობამ პრესკონფერენცია თურქულ ხომალდზე ჩაატარა. დღეს ქართული "დიოსკურია", რუმინული "მაკელარიუ," ბულგარული "სირიუსი," თურქული "ილდირიმი," უკრაინული "კიროვგრადი" და რუსული "ცეზარ კუნიკოვ"-ი ზღვაში გავლენ, წვრთნები 25 აგვისტოს ნოვოროსიისკში დამთავრდება.

და როგორც მეზღვაურები იტყვიან - ბუნების წყალობა და მშვიდობით ცურვა.

*რეზო ძნელაძე*
*"24 საათი - აჭარა"*

# ქვემო ქართლს უშიშროების შეფი შეუცვალეს

ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის 23 წლის უფროსი ვასილ სანოძე რამდენიმე დღის წინ ამ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კულუარული ინფორმაციით, ვასილ სანოძის გათავისუფლების მიზეზი დაახლოებით ერთი თვის წინ გარდაბნის რაიონში მომხდარი შემთხვევა გახდა. გავრცელებული ცნობით, სანოძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა, ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ორ აზერბაიჯანული ეროვნების მოქალაქეს, რის შედეგადაც ერთი მათგანი საავადმყოფოშიც კი აღმოჩნდა. ამას დაემატა ისიც, რომ მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ანგარიშსწორებას იმ პოლიციელის მიმართ, რომელიც მოჩხუბართა გაშველებას ცდილობდა.

"24 საათი" თავად სანოძეს დაუკავშირდა, რომელმაც თავდაპირველად არც უარყო, არც დაადასტურა მომხდარი და კომენტარისაგან თავის შეკავება არჩია. ამ საუბრიდან ერთი საათის შემდეგ სრულიად განსხვავებული განცხადება გააკეთა:

"მე აღარ ვმუშაობ ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელად, რადგან უკვე რამდენიმე დღეა, რაც უშიშროების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად გადამიყვანეს."

**"24 საათი":** გავრცელებული ვერსიით, თქვენი გათავისუფლების მიზეზი გარდაბანში მომხდარი ინციდენტი გახდა.

**ვასილ სანოძე:** "ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთი პატარა ინციდენტი ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი ვერ გახდებოდა. მით უფრო, რომ მაგასთან დაკავშირებით მომჩივანიც არ არსებობდა. და კიდევ, ასეთ შემთხვევაში ნამდვილად არ დამაწინაურებდნენ."

სანოძის თქმით, უშიშროების სამინისტროს გენერალური ინსპექციის ვაკანტური ადგილი მან რამდენიმე დღის წინ დაიკავა და მის კანდიდატურაზე არჩევანი, როგორც შესაბამისი გამოცდილების მქონე კადრზე, გაკეთდა. ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის უფროსად კი ბოლნისი-დმანისის უშიშროების განყოფილების უფროსი კახა შველიძე დაინიშნა.

***მაია მოსიაშვილი***
*რუსთავიდან*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# თურქი ბიზნესმენები საქართველოში

პირველი გვერდიდან

ცხადია, თურქებს ინტერესი აქვთ ფოთის პორტში, სადაც თურქული კომპანია უკვე ფლობს ფოთის ტერმინალის 75 პროცენტს, და სხვაგან და სხვაგან.

თუმცა, ინვესტიციების ჩადებაზე საუბრისას თურქი ბიზნესმენები, რომელთა უმრავლესობას უკვე ჰქონდა საქართველოში ბიზნეს-საქმიანობის წარმატებული ან წარუმატებელი მცდელობა, პირველ რიგში, ასახელებენ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადასადგმელ აუცილებელ ნაბიჯებს: საგადასახადო კოდექსის შეცვლის აუცილებლობას და ხელოვნური ბარიერების აღმოფხვრას, რომელიც მათ ძველი ხელისუფლების პერიოდში უხვად ხვდებოდათ.

საქართველოში კი ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ფულს წარმომავლობა არ აქვს, თუ იგი "პოლიტიკური სარჩულების" გარეშე იქნა დაბანდებული, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

თუმცა, საქართველოში იმასაც იხსენებენ, რომ მაგალითად, სოფლის მეურნეობის სფეროში თურქული პროდუქციის მოზღვავებისგან თავის დაცვა საქართველოსთვის საკმაოდ სერიოზული პრობლემა იყო. შესაძლოა, მომავალში გარკვეულ პრობლემად იქცეს ზემოთ უკვე მოხსენიებული წვრილი და საშუალო ბიზნესის მოზღვავება ქვეყანაში და, არ არის გამორიცხული, რომ მათ ადგილობრივი მცირე ბიზნესი შეავიწროონ.

თუმცა, ცხადია, რომ ეს ეჭვები ნაკლებად ეხება იმ თურქ ბიზნესმენებს, რომლებიც ამ დღეებში თურქეთის პრემიერ-მინისტრის ამალაში შედიოდნენ და რომელთა გააქტიურება ქართულ საინვესტიციო ბაზარზე, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას წააშველებს ხელს.

## თურქული ბიზნესი დაინტერესებულია

ნინო გომართელი

საქართველო და თურქეთი ბიზნესურთიერთობების განვითარების ახალ ეტაპს იწყებს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ერდოღანთან ერთად თბილისში ჩამოსული, თურქეთის რესპუბლიკის საქმიანი წრეების 100-ზე მეტი წარმომადგენელი გუშინ საქართველოში, ქვეყნის საინვესტიციო და საპრივატიზაციო შესაძლებლობების გაცნობის მიზნით, ქართული ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.

საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმს ეკონომიკური განვითარების მინისტრი კახა ბენდუქიძე და საქართველოს ფინანსთა მინისტრებიც ესწრებოდნენ, რომლებიც უცხოურ საქმიან წრეებს სადღეისოდ ქვეყანაში არსებულ მაკროეკონომიკურ მდგომარეობას აცნობდნენ.

ქართველი მინისტრები თურქ ბიზნესმენებს უახლოეს ხანებში საქართველოში საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას დაჰპირდნენ და იმედი გამოთქვეს, რომ ეს ჩვენი ქვეყნისადმი მათ ინტერესს კიდევ უფრო გაამძაფრებს.

**"გული მწყდება, რომ მე ბიზნესმენი აღარ ვარ და საქართველოში ინვესტიციების დაბანდება არ შემიძლია. არადა, ამისათვის გადასარევი პირობებია, შემცირებულია გადასახადები,"** - განაცხადა ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით კი, საქართველო თურქეთთან თანამშრომლობის ახალ ფანჯრებს აღებს, რასაც ორივე ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ქართულ-თურქულ ბიზნეს-ფორუმზე სიტყვით გამოვიდა ასევე, ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის საკითხებში თურქეთის სახელმწიფო მინისტრი ქურფედ თუზმენი, რომელმაც აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები კიდევ უფრო განვითარდება.

**"საქართველოსთან თურქეთს სავაჭრო პარტნიორობა, სატრანსპორტო ურთიერთობა აკავშირებს. თურქეთის მთავრობა აპირებს, ამ რეგიონში უფრო აქტიურად იმუშაოს. ამჟამად დსთ-ს სივრცეში თურქი ბიზნესმენების მიერ 6,5 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტები ხორციელდება. აქედან 800 მილიონი დოლარი საქართველოზე მოდის. ჩვენ გვინდა, ჩვენმა ბიზნესმენებმა სხვა მიმართულებითაც იმუშაონ,"** - განაცხადა თუზმენმა.

მისივე თქმით, თურქეთი დაინტერესებულია საქართველოში საზარტერო გაცვლის ცენტრის შექმნით, ასევე, სასაზღვრო ვაჭრობის ცენტრების არსებობით, რაც თურქულ და ქართულ მხარეებს არარეგისტრირებული ვაჭრობის გაკონტროლების შესაძლებლობას მისცემს. ამასთან, თურქი ბიზნესმენები საქართველოში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებით დაინტერესდებიან.

**"საქართველოსა და თურქეთს შორის სარკინიგზო ურთიერთობებიც უნდა განვითარდეს. თურქი ბიზნესმენებისათვის საინტერესოა აეროპორტების ბიზნესიც,"** - აღნიშნა ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის საკითხებში თურქეთის სახელმწიფო მინისტრმა.

**"მე ბედნიერი ვარ, რომ აქ ვარ და ეს ჩემთვის დიდი პატივია. ეს ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრაა და, საერთოდ, ჩვენი ვიზიტი საქართველოში ახალ დასაწყისს, ახალ სტიმულს მისცემს ორი ქვეყნის ბიზნესთანამშრომლობას. რაც ახლა იწყება, ეს არის ეკონომიკის ახალი ერა, თქვენმა ქვეყანამ დაგვანახა, რომ არის ნათელი პერსპექტივები,"** - განაცხადა ქურფედ თუზმენმა.

თურქეთის საფონდო ბირჟებისა და ბიზნეს პალატების თავმჯდომარის მოადგილის, ჰალიმ მეთეს თქმით კი: **"დღეს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაციები მივიღეთ, თურქეთის ბიზნესსექტორი ძალიან დაინტერესებულია აქ არსებული მდგომარეობით და ჩვენ, მეზობელმა სახელმწიფოებმა უნდა მოვახერხოთ, რომ თურქეთისა და საქართველოს მოსახლეობას ცხოვრება გაუუმჯობესდეს."**

ქართულ-თურქულ ბიზნესკონფერენციას, ძირითადად, გაცნობის სახე ჰქონდა, ამიტომაც საქართველო კონკრეტულ პროექტებს ამ ეტაპზე არ ელის. როგორც "24 საათთან" საუბარში საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა, აღნიშნული ღონისძიება თურქი ბიზნესმენების საქართველოთი დაინტერესებას შეუწყობს ხელს, კონკრეტული პროექტები კი შემდეგ გამოჩნდება.

**"სერიოზული ბიზნესმენები, შეიძლება, მხოლოდ დაინტერესდნენ, მათ უნდა ნახონ ფინანსური ანგარიშები, შეაფასონ სხვადასხვა სფეროებში არსებული ფინანსური მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ დასახონ პროექტები,"** - განმარტა ბენდუქიძემ.

თუმცა, გარკვეული დაინტერესებები უკვე გამოიკვეთა. საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის თქმით, თურქებისთვის საინტერესოა ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის, საგზაო და საპორტო ინფრასტრუქტურის და ტურიზმის სექტორები. ამასთანავე, თურქული მხარე საქართველოში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესებისადმი დიდ ინტერესს იჩენს.

## თურქული ინვესტიციები საქართველოში

*თურქული ბიზნესი საქართველოში საკმაოდ წარმატებულია. ამის დასტურად თუნდაც მხოლოდ ერთი კომპანიის "ჯეოსელის" საქმიანობის გახსენებაც საკმარისია. გარდა ამისა, თურქული ინვესტიციებია დაბანდებული მინის ტარის ქარხანაში, ფოთის ტერმინალში. თურქული კაპიტალის მონაწილეობითაა შექმნილი სასტუმრო "თორი" და ა.შ. თუმცა, რამდენიმე კომპანიას თუ არ ჩავთვლით, თურქი ბიზნესმენები აქამდე ძირითად აქცენტებს ვაჭრობაზე და საკუთარი პროდუქციის რეალიზებაზე აკეთებდნენ. ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის შემდეგ, თურქები საქართველოს ბიზნესგარემოს უფრო სერიოზული სფეროებით დაინტერესდნენ. სავსებით შესაძლებელია, თურქმა ბიზნესმენებმა სერიოზულ სფეროებში სერიოზული ინვესტიციებიც დააბანდონ. ეს მომავლის საკითხია, ახლა კი რამდენიმე წარმატებულ თურქულ პროექტს გთავაზობთ.*

სოფიკო ოხანაშვილი

**"დელტა პეტროლიუმი"** თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანია და, ასევე, ფოთის ტერმინალის - "ჩენელენერჯის" - აქციების 75 პროცენტის მფლობელიცაა. "დელტა პეტროლიუმი" საქართველოში 2000 წლიდან საქმიანობს. ფოთის ტერმინალის პროექტის საერთო ღირებულება 35 მილიონი აშშ დოლარია. აქედან, 15 მილიონი აშშ დოლარი კომპანიის მიერ პირდაპირ განხორციელებული ინვესტიციაა, ხოლო 20 მილიონი დოლარი - ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის EBRD-ის მიერ გამოყოფილი კრედიტი.

ამჟამად, ფოთის ტერმინალის გაფართოების მეორე ეტაპი მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგაც, 40 კუბური მეტრი ნავთობპროდუქტების ნაცვლად, ტერმინალში 80 კუბური მეტრი ნავთობპროდუქტის გადამუშავება იქნება შესაძლებელი.

"დელტა პეტროლიუმს" ნავთობის ბიზნესში 20-წლიანი გამოცდილება აქვს. თურქეთში ამ კომპანიას კერძო ნავთობტერმინალებს შორის უმსხვილესი "დორთიორის" ნავთობტერმინალი ეკუთვნის. "დელტა პეტროლიუმი" თურქეთში მსოფლიოს უმსხვილესი კომპანია "გალფოილის" ბენზინგასამართი სადგურების ქსელს ავითარებს. ამასთანვე, "დელტა პეტროლიუმი" აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების საფუძველზე ერაყს თხევადი გაზით ამარაგებს.

კომპანია, საქართველოს გარდა, ძირითადად, თურქეთში და ერაყში მოღვაწეობს. სომხეთსა და აზერბაიჯანში საქმიანი ურთიერთობები ჯერჯერობით არ აქვს, თუმცა, აზერბაიჯანში "დელტა პეტროლიუმის" წარმომადგენლობა უკვე ფუნქციონირებს.

დელეგაციის შემადგენლობაში "დელტა პეტროლიუმისა" და "ტრანსტექნიკჯგუფის" დამფუძნებელი მეჰმედ ჰაბაბიცაა. ამჯერად, ტერმინალის საქმიანობის გაფართოების გარდა, არ არის გამორიცხული, კომპანიამ სხვა ბიზნესპროექტებში დამატებითი ინვესტიციების ჩადების სურვილი გამოთქვას.

**"ჯეოსელმა"** საქართველოში ფუნქციონირება 1997 წლის 15 მარტიდან დაიწყო. კომპანია 1996 წელს დაარსდა და ის პირველი GSM ოპერატორია საქართველოში. 2001 წელს 27 მარტს "ჯეოსელს" ასევე თურქული ინვესტიციებით შექმნილი GT მობილური შეერწყა, რის შედეგადაც "ჯეოსელი" GT მობილურის მფლობელი გახდა.

**სააქციო საზოგადოება "მინა"** 1997 წელს დაარსდა მინის ტარის ქარხნის ბაზაზე და მისი მფლობელი გახდა თურქული კომპანია "შიშეჯამი" (SISECAM). მასთან ერთად, სააქციო საზოგადოების აქციონერები არიან EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და IFC (მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია). ქსნის მინის ტარის ქარხანა საქართველოში ერთადერთი, ხოლო სამხრეთ კავკასიაში უმსხვილესი მინის მწარმოებელი კომპანიაა. სააქციო საზოგადოება "მინას" საქართველოს ბაზრის უდიდესი ნაწილი უკავია და, ამავე დროს, მინის ტარის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია აზერბაიჯანში. მინის ტარის პროდუქციით სტაბილურად მარაგდება 70-ზე მეტი მომხმარებელი, რომელთა შორის არიან უმსხვილესი კომპანიები: "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", "ყაზბეგი", "ბაგრატიონი 1882", "ბაქო-კასტელი", თითქმის ყველა წამყვანი ღვინის მწარმოებელი კომპანია, როგორც საქართველოში, ასევე - აზერბაიჯანში.

ამჯერად, საქართველოში თურქულ-ქართული ასეულობით ერთობლივი საწარმო ფუნქციონირებს.

### ბიზნესმენები

**ჯენგიზ ერდოღანი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია "ჯენთ ინტერნეიშენალი":** მე ვარ ადამიანი, რომელიც 1992 წლიდან ვცდილობ, საქართველოში ბიზნესი ავამუშაო. ჩვენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას ვაწარმოებთ და თურქეთიდან, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ვცდილობთ პროდუქციის შემოტანას. საქართველოში ინვესტირება ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მე აქ ქარხანა ავამოქმედე, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ იმუშავა, რადგან საგადასახადო სისტემასთან პრობლემები შეიქმნა. ათი წელი გავიდა, თუმცა ცვლილება არ ყოფილა. ძალიან მოხარულები ვართ, რომ პრეზიდენტი გახდა მიხეილ სააკაშვილი და ვიმედოვნებთ, იგი ცვლილებების განხორციელებას დაიწყებს. თუ საგადასახადო სისტემა არ შეიცვლება და გადასახადები არ შემცირდება, არა მგონია, აქ ვინმემ ინვესტიციების ჩადება დაიწყოს. მთავრობას ვთხოვ, რომ უცხოელ ბიზნესმენებს ამ მხრივ დაეხმაროს. მით უმეტეს, რომ ეს თავად საქართველოსთვისაც ძალზედ მომგებიანი იქნება.

**ქამილ ოზდემირი, ტურისტულ სააგენტოთა ქსელ "კავეროს" გენერალური დირექტორი:** ჩემი ჩამოსვლის მთავარი მიზანი არის ის, რომ გავიცნო მეზობელი ქვეყანა, ვნახო, რა შესაძლებლობები არსებობს და რა სახით შეგვიძლია საქართველოში ინვესტიციების დაბანდება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საქართველოში საკუთარ რეისებს ახორციელებს თურქეთის ავიახაზები, რადგან ეს ჩვენი ბიზნესისთვის, გარკვეულწილად, დადებითი ფაქტორია. დასაწყისისთვის, ორმხრივი ტურიზმის განვითარებისთვის საფუძვლის ჩაყრას ვფიქრობთ, შესაძლებელია საქართველოში ტურისტების მოზიდვა, ასევე აქედან თურქეთში წაყვანა. მაგრამ, პირველ რიგში, მაინც საჭიროა, საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო შევისწავლოთ.

**მეტინ ქუმუშოღლუ, ნავთობპროდუქტების ფირმა "პეტროლ ოფისის" წარმომადგენელი:** ჩვენს ფირმას მეზობელ საქართველოსთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. უკვე დიდი ხანია, რაც ორმხრივი თანამშრომლობა გვაქვს და ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებთ. ჩვენ გვსურს, რომ ორმა მეზობელმა ქვეყანამ თანამშრომლობა გააღრმაოს, რადგან საქართველო არის ფანჯარა ევროპაში. აუცილებელია თურქული ბიზნესის დაინტერესება საქართველოთი, აუცილებელია ერთობლივი მუშაობა. ჩვენი ფირმა უკვე 15 წელია, რაც თბილისსა და ბათუმში მუშაობს და საკუთარი ბიზნესის გაფართოებას სამომავლოდაც ვგეგმავთ.

**ბულენტ უნალი, საგამოფენო ორგანიზაცია "ტუიაპ ჰოლდინგის" პრეზიდენტი:** საქართველოსთან დიდი ხანია, რაც ურთიერთობა გვაქვს და თურქულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავებასა და აღდგენაზე ვმუშაობთ. ქართული მხარის დახმარებით გამოფენებს ვაკეთებთ და სერიოზული პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ. მაგალითად, ვაპირებთ თბილისში საწარმოო მანქანების გამოფენა გავაკეთოთ, სადაც წარმოდგენილი იქნება ხის, რკინის გადასამუშავებელი მანქანები, კვების პროდუქტების გადასამუშავებელი დანადგარები. ამასთანავე, ვფიქრობ, საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება კიდევ ერთი პროექტი, რასაც ჩვენ ვგეგმავთ. ეს არის ტურიზმის განვითარების გამოფენა, სადაც სასტუმროებისათვის საჭირო ყველანაირი ინვენტარი იქნება წარმოდგენილი.

*ნინო გომართელი*

### ექსპერტები

**ვლადიმერ პაპავა** - ქვეყანას ინვესტიციური შიმშილი აქვს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ინვესტიცია მისასალმებელია. თურქულ ინვესტიციას ერთი დადებითი მომენტი აქვს - მას საქართველოში დასავლური ტექნოლოგიების შემოტანა შეუძლია, რაც ანაგარიშგასაწევია. მე მივესალმები ყველა შესაძლო ინვესტიციას ქვეყანაში, ოღონდ აქცენტი მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანაზე არ უნდა გაკეთდეს. მე როცა რუსული ინვესტიციების შემოდინება გავაპროტესტე, ეს იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ რუსული ინვესტიციების წინააღმდეგი ვარ და რუსული ინვესტიციაა საშიში, არამედ, იმიტომ, რომ მარტო ერთ ქვეყანაზე საინვესტიციო მიბმა შეცდომა იქნებოდა.

ასეთივე შეცდომა იქნება, თუ მარტო თურქულ ინვესტიციებს მივიღებთ, მაგრამ თუ ქვეყანაში იქნება რუსული, თურქული და სხვა წარმოშობის ინვესტიციები, ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ჩემი ინფორმაციით, მალე იტალიელებსაც ექნებათ ბიზნეს-ფორუმი და საქართველოში ჩამოსვლას ამერიკელი ბიზნესმენებიც აპირებენ.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს - საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა, შესაბამისად, საინვესტიციო ბაზარიც მცირე აქვს. ამიტომ, მთავრობამ ისეთი პოლიტიკა უნდა გაატაროს, რომ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების წარმომავლობა რაც შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. რაც მეტი ქვეყანა იქნება წარმოდგენილი, მით უკეთესია.

**თენგო შერგელაშვილი** - ნებისმიერი ინვესტიცია, რუსული იქნება, თურქული თუ ბანგლადეშური, თუ ჩვენს ქვეყანაში არ შემოვიდა, საქართველოს მომავალი არა აქვს. ასე რომ, საუბარი რაღაც უაზრო საფრთხეზე პოლიტიკური პოპულიზმია და მეტი არაფერი.

**ნიკო ლეკიშვილი** - ოღონდ ჩადონ რამე, რა საფრთხეებზეა საუბარია. მე ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ. საერთოდ, ბიზნესი თუ "დავალებითი" არ არის, ის ყოველთვის თავისუფალია პოლიტიკისგან.

მაგრამ, იცით რა, როცა რუსები იყვნენ ჩამოსულები და ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ორ მილიარდს და უფრო მეტსაც ჩადებენ, მე მაშინ ვთქვი, დიდი მადლობელი ვიქნები, თუ 200 მილიონის ინვესტიციას მაინც განახორციელებენ-მეთქი. როგორც ხედავთ, ჯერჯერობით არც ის ორასი ჩანს.

თურქეთს ძალიან დიდი შესაძლებლობები და გამოცდილება აქვს მშენებლობაში. მთელ ევროპაში თურქები არიან მშენებლობით დაკავებულები. ასევე, სერიოზული კაპიტალის დაბანდება შეუძლიათ მანქანათმშენებლობაში.

აქამდე, როგორც ჩანს, საქართველოში კაპიტალის დაბანდებისგან თავს იკავებდნენ. იმიტომ, რომ თითო-ოროლა კომპანიას თუ არ ჩავთვლით, რაღაც განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ, თურქები ჩვენთან, ძირითადად, ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ბიზნესგარემოთი დაინტერესდნენ. ვიმედოვნებ, შედეგებიც მალე სახეზე იქნება.

**სანდრო თვალჭრელიძე** - ფულს არა აქვს ეროვნება. ეს იქნება ქართული, სომხური, იაპონური, რუსული, ამერიკული თუ აზერბაიჯანული ინვესტიცია, ამას მნიშვნელობა არა აქვს. რაც მეტი ინვესტიცია იქნება ქვეყანაში, მით უკეთესი. თუმცა, მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება საინვესტიციო კონტრაქტების პირობებს უნდა მიაქციოს. თუ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კარგი მარეგულირებელი იქნება, საფრთხეზე საუბარიც კი ზედმეტია. უფრო მეტიც, საფრთხეზე საუბარი - ეს პოლიტიკური თამაშები და ფარსებია და მეტი არაფერი.

*სოფიკო ოხანაშვილი*

## თურქეთი - საქართველოს №2 სავაჭრო პარტნიორი

თამარ ივანიძე

დღეს თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია - სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, იგი მეორე ადგილზეა რუსეთის შემდეგ. ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობა ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ სტაბილურია და სავაჭრო ბრუნვის ცვლილებაც წლების მიხედვით დიდი არ არის.

თუმცა, ცხადია, უდავოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისევე როგორც ზოგადად, ქვეყნების უმრავლესობასთან, თურქეთთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს, ანუ გაცილებით მეტი პროდუქცია შემოაქვს და ნაკლები გააქვს.

ხოლო თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მიერ ექსპორტირებულ პროდუქციას შორის, ძირითადად, ჯართი (მათ შორის, ფერადი ლითონები), ხე-ტყე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტყავები, ელექტროენერგია და ნედლი ნავთობია, იმპორტირებულს შორის კი თურქული სამრეწველო პროდუქცია ჭარბობს, ცხადი ხდება, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის ათწლეულის განმავლობაში, თურქეთის ბაზარზე საკუთარი კონკურენტუნარიანი პროდუქციით შეღწევა ვერ მოახერხა. პირიქითაც კი - საქართველო თურქული პროდუქციის ბაზრად იქცა, რომელმაც ხშირ შემთხვევაში ქართული ბაზრიდან ეროვნული პროდუქციაც განდევნა.

ამიტომ, საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებზე ცალსახად დადებით კონტექსტში საუბარი არ გვიხდება. თუმცა, მეორე მხრივ, იაფი თურქული პროდუქცია, მიუხედავად მისი ხარისხისა, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის ყველაზე უფრო პროდუქციადეფიციტურ წლებში გადარჩენის ერთადერთ წყაროდ იქცა.

ქვემოთ გთავაზობთ საქართველოსა და თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ციფრობრივ მონაცემებს, რომელიც ბოლო წლებში ამ თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შესახებ მეტ-ნაკლებად ნათელ სურათს შექმნის.




[illegible]
2001-2003 წწ.

(ათასი აშშ დოლარი)

| კოდი | დასახელება | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|
| | სულ | 68,568 | 53,738 | 82,382 |
| | მათ შორის: | | | |
| 7204 | შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი | 27,025 | 33,757 | 55,110 |
| 7602 | ალუმინის ნარჩენები და ჯართი | 8,039 | 3,872 | 7,277 |
| 4407 | [illegible] | 1,459 | 2,702 | 6,739 |
| 2709 | ნედლი ნავთობი | 4,907 | 2,221 | 3,746 |
| 2716 | ელექტროენერგია | 10,809 | - | - |
| 7202 | ფეროშენადნობები | 7,343 | 427 | 463 |
| 7404 | სპილენძის ნარჩენები და ჯართი | 3,205 | 2,170 | 2,615 |
| 3102 | [illegible] | 209 | 2,036 | 691 |
| 4101 | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტყავები | 191 | 1,267 | 1,372 |
| 7601 | დაუმუშავებელი ალუმინი | 325 | 1,088 | 22 |

[illegible]
2001-2003 წწ.

(ათასი აშშ დოლარი)

| კოდი | დასახელება | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|
| | სულ | 107,144 | 89,677 | 112,135 |
| | მათ შორის: | | | |
| 1001 | [illegible] | 15,243 | 5,880 | 7,794 |
| 1701 | შაქარი | 21,111 | 1,284 | 2,448 |
| 9406 | [illegible] | 448 | 1,198 | 9,138 |
| 4818 | [illegible] | 3,302 | 3,797 | 3,780 |
| 8544 | [illegible] | 4,614 | 897 | 1,441 |
| 8703 | [illegible] | 1,117 | 3,226 | 2,352 |
| 3402 | [illegible] | 1,946 | 2,063 | 2,404 |
| 8525 | [illegible] | 912 | 3,034 | 1,893 |
| 1517 | [illegible] | 1,431 | 1,716 | 2,233 |
| 4819 | [illegible] | 1,459 | 1,590 | 2,134 |
| 6908 | [illegible] | 1,337 | 1,354 | 1,918 |
| 3004 | [illegible] | 653 | 1,454 | 2,266 |

## საქართველოს თურქეთის 54 მილიონი აშშ დოლარი მართებს

თურქეთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოს კრედიტი მისცა. 1993 წელს ანკარაში გაფორმებული ხელშეკრულებით, საქართველოს მხარემ თურქეთის 41 მილიონი დოლარის ვალი საკმაოდ მძიმე პირობებით აიღო.

კრედიტი მთლიანად განკუთვნილი იყო ქართველი იმპორტიორების მიერ თურქეთიდან საქონლის შემოტანის დასაფინანსებლად. შეთანხმების თანახმად, თურქეთიდან შემოტანილი პროდუქციის 50 პროცენტი ადგილობრივი წარმოების უნდა ყოფილიყო. კრედიტი რვა სუბიექტს შორის განაწილდა. აქედან ყველაზე ბევრი - 11 მილიონ 800 ათასი ამერიკული დოლარი პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ მიიღო, 8,5 მილიონი - მაშინდელმა ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ, 4,9 მილიონი - კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ, ზუსტად ამდენ-ამდენივე ერგო - შპს "კოკა-კოლა კავკასიონს" და სს "რუსთავცემენტს", ონდავ ნაკლები, 4 მილიონ 750 ათასი - სასმელი წყლის საწარმო "გევას". თითქმის 2,5 მილიონი დოლარი მისცეს შულავერის მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკას, 1 მილიონ 700 ათასი - სს "არაგვს". ამ დროისთვის ვალის ძირითადი ნაწილი არც ერთ კრედიტორს არ აქვს გასტუმრებული. მეტიც, რიგ შემთხვევაში, კრედიტორის დღეს არსებული დავალიანება თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ეს 12 წლის წინ იყო.

ეს კრედიტი ყველაზე ავადცნობილი კრედიტია დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებულ კრედიტებს შორის.

რაც შეეხება თურქეთისადმი საქართველოს მთლიან დავალიანებას - ჩვენს ქვეყანას თურქეთის 54 მილიონი აშშ დოლარი მართებს.

# სებ-ის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ რეკორდულ მაქსიმუმს მიაღწია

*საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობამ 10 აგვისტოსათვის 300 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ასეთი მოცულობა ეროვნულ ბანკს თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს ჰქონია.*

გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 187 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, 2004 წლის დასაწყისიდან კი მისი მოცულობა 108.4 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში ეროვნულმა ბანკმა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 112.2 მლნ. აშშ დოლარი შეიძინა, რამაც სებ-ის ექსპერტთა თქმით, ეროვნულ ბანკს სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი შევსების შესაძლებლობა მისცა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ირაკლი მანაგაძის შეფასებით, თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარების მოწოდების მზარდი ტენდენციის ჩამოყალიბება შიდა სავალუტო ბაზარზე ლარზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა, რაც თავის მხრივ, ეკონომიკის ლეგალიზაციის პროცესის დაწყებამ და უცხოეთიდან შემოსული ფინანსური ნაკადების მატებამ გამოიწვია. მანაგაძის თქმით, ასევე აღსანიშნავია, რომ 2004 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის დიდი ოდენებით ერთბაშად შემოდინება შეიმჩნეოდა, რაც მნიშვნელოვანწილად ნავთობსადენის მშენებლობის დაფინანსებას უკავშირდება. ამასთან, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და რუსეთის ცენტრალურ ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით, რუსეთის სამხედრო ბაზის მოსამსახურეები ანაზღაურებას ლარებში იღებენ, გარდა იმისა, რომ საზღვრისპირა რეგიონებში ლარის ბაზარზე დამკვიდრებას შეეწყო ხელი, ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვი დამატებით 12 მლნ. აშშ დოლარით შეივსო.

სებ-ის საერთაშორისო რეზერვები, ძირითადად, ქვეყნის საგარეო ვალის დაფარვას ემსახურება. მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში საგარეო ვალის მომსახურებას 36.5 მლნ. აშშ დოლარი მოხმარდა.

*24 საათი*

# სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები სტაბილურია

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს ჩატარებული იქნა 364-დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონი, სადაც გასაყიდად 2 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გამოიტანეს. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 7-მა კომერციულმა ბანკმა, სადაც მოთხოვნამ შეადგინა 6.4 მლნ ლარი. აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადებიდან მინიმალური საპროცენტო განაკვეთი -13.00 პროცენტი, მაქსიმალური - 15.00 პროცენტი, ხოლო საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი - 4.23 პროცენტით განისაზღვრა. 2004 წლის 11 აგვისტოს მდგომარეობით ჩატარებულ იქნა სახაზინო ვალდებულებების 29 აუქციონი, სადაც განთავსებულ იქნა 114 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები. ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მაჩვენებელი 29.6 მლნ ლარს შეადგენს. ხოლო დაუფარავი სახაზინო ვალდებულებების მოცულობა - 103.9 მლნ ლარს. საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის თანახმად, სახაზინო ვალდებულებებით ბიუჯეტის დეფიციტის შევსების პროგრამული პარამეტრი 2004 წლის ბოლოს მინუს ათ მილიონ ლარს უნდა შეადგენდეს. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ წლის ბოლომდე დასაფარი ვალდებულებები 69.9 მლნ ლარია და დეფიციტის შევსების ფაქტობრივი მაჩვენებელი კი - 29.6 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტრომ 2004 წლის ბოლომდე უნდა მოახდინოს მხოლოდ 23.4 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებების ემიტირება. მიმოქცევაში არსებული სახაზინო ვალდებულებების ესოდენ დიდი მოცულობით შემცირება, სავარაუდოდ, აუქციონებზე საპროცენტო განაკვეთების კლებას გამოიწვევს.

სახაზინო ვალდებულებების მეორად ბაზარზე, მ/წლის 7 თვის მონაცემებით, გარიგებათა მოცულობამ 59.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2003 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 7.3 მლნ ლარით არის გაზრდილი. ამასთან აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანმა კლებამ მეორად ბაზარზე გარიგებების მოცულობის შემცირება გამოიწვია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საემისიო გეგმის შესაბამისად, 18 აგვისტოს უნდა განხორციელდეს 2 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებების ემისია. სახაზინო ვალდებულებების ბოლო აუქციონებზე საპროცენტო განაკვეთები საშუალოდ 12-დან 15 პროცენტამდე მერყეობს და სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ემისიების შემცირების კვალობაზე საპროცენტო განაკვეთები არ გაიზრდება.

*24 საათი*

# რატომ ძვირდება ნავთობი?

## ნავთობზე მოთხოვნილება დღეში 2,5 მილიონი ბარელით გაიზარდა

თორნიკე შარაშენიძე

საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ შემაშფოთებელი ანგარიში გამოაქვეყნა. ამ ორგანიზაციის შეფასებით, "შავ ოქროზე" მოთხოვნილება ყოველდღიურად 82,2 მილიონ ბარელს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ გასულ წელთან შედარებით მოთხოვნილება 2,5 მილიონი ბარელით გაიზარდა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ნავთობის ფასების დაწევაზე არანაირი საუბარი არ შეიძლება იყოს.

ნავთობის გაძვირებაში წვლილი შეაქვს მთელ რიგ გარემოებებს: ეკონომიკური აღმავლობა აშშ-ში და ჩინეთის ეკონომიკის სარეკორდო ზრდა (რაც ორივე ქვეყანაში საწვავზე მოთხოვნილებას ზრდის), არასტაბილურობა ერაყში და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს, გაურკვეველი ვითარება რუსული ნავთობგიგანტის, "იუკოსის" გარშემო.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს შეფასებით, ოპეკის ნავთობმოპოვების გაზრდის პოტენციალი უკვე მხოლოდ დღეში 600 ათას ბარელს შეადგენს. ეს საკმაოდ მკვეთრად განსხვავდება თავად ოპეკის შეფასებისაგან, რომლის მიხედვითაც, კარტელს ნავთობმოპოვების დღეში 1,5 მილიონი ბარელით გაზრდის საშუალება ჯერ კიდევ გააჩნია. მეტად შემაშფოთებელია სამომავლო პროგნოზები, რომლის მიხედვითაც, მომავალ წელს ნავთობზე მოთხოვნილება დღეში 84 მილიონ ბარელზე ავა.

ასეთ ვითარებაში არც ისე დამაიმედებლად ჟღერს საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მთავრობასთან უდიდესი სირთულეების მიუხედავად, "იუკოსს" გაჩერება არ ემუქრება.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო იზიარებს ანალიტიკოსთა ერთ ნაწილში გამეფებულ აზრს, რომ თავად რუსეთს "იუკოსის" გაჩერება ხელს არ აძლევს, რადგან ამ უკანასკნელზე მთელი ამ ქვეყნის ნავთობის ერთი მეხუთედი მოდის. ამგვარად, მოსკოვისთვის არახელსაყრელია ავანტიურა, რომელსაც, მართალია, პანიკის ახალი ტალღა და ნავთობის გაძვირება მოჰყვება (რაც რუსეთის ინტერესებშია), მაგრამ ნავთობის ექსპორტიდან ერთი მეხუთედის მოკლება მოსკოვზე მეტად მტკივნეულად იმოქმედებს. აქედან გამომდინარე, "იუკოსი," ასე ვთქვათ, ეტაპობრივად და უმტკივნეულოდ დაიშლება და კრემლის ერთგულ ნავთობკომპანიებზე გადანაწილდება, რაც ფასებს უფრო მაღლა არ ასწევს.

# "თბილგაზი" არ იყიდება, მაგრამ...

გიორგი თუხარელი

"თბილგაზის" ახალმა ხელმძღვანელმა დავით მორჩილაძემ თავისი საქმიანობა დაიწყო და პრესკონფერენციაც მოაწყო. "თბილგაზი" საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ჯერჯერობით შეტანილი არ არის, მაგრამ მისი ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეძლებს სახელმწიფო მის მოვლას," - განაცხადა მან.

დავით მორჩილაძე აცხადებს, რომ "თბილგაზში" საკმაოდ დიდი ვალი დახვდა. **"ჩვენ აქ მოსვლისას დაგვხვდა, დაახლოებით, 200 მილიონი ლარის ოდენობის ვალი,"** - ამბობს იგი.



*დავით მორჩილაძეს თბილგაზში 200-მილიონიანი ვალი დახვდა*

როგორც თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნანული ქაჩიბაიამ განაცხადა, დავით მორჩილაძეს მერია მხარს დაუჭერს.

მისი თქმით, **"საკრებულო ყველანაირად ეცდება, "თბილგაზს" დაეხმაროს, რათა მოსახლეობას გაზი უწყვეტად მიეწოდოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა, მოსახლეობამ მიმდინარე დავალიანება დაფაროს. უკიდურეს შემთხვევაში, რუსეთი გაზის მოწოდებას შეწყვეტს, მით უმეტეს, ასეთი რთული ვითარებაა."**

მიმდინარე დავალიანება კი 11 მილიონი ამერიკული დოლარია და ეს თანხა თბილისელებმა უნდა დაფარონ. "თბილგაზის" ახალი უფროსი გვპირდება, რომ მალე მოსახლეობას გაზის მოპარვაც აღარ მოუნდება და გადასახადსაც უპრობლემოდ გადაიხდის.

როგორც დავით მორჩილაძე ამბობს, **"ჩვენ ხალხთან ახალ ურთიერთობას დავამყარებთ. "თბილგაზი" ხალხის აზრს იგნორირებას არ გაუკეთებს".**

რა ბედი ეწევა ძველ დავალიანებას? თურმე, "თბილგაზის" 200-მილიონიან ვალს თავად ორგანიზაცია მიხედავს და ეს მოსახლეობას არ შეეხება. გარდა ამისა, არსებობს საეჭვო და მიწერილი ვალებიც, რომლებზედაც ასევე მიდის მუშაობა.

რაც შეეხება თავად სისტემას, დავით მორჩილაძის განცხადებით, "თბილგაზი", როგორც სტრუქტურა, ძალიან არეულია. საჭიროა ქსელზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რადგან მათი მდგომარეობა სავალალოა.

დავით მორჩილაძის თქმით, იგი ქსელების რეაბილიტაციისათვის სპეციალურ პროგრამას ამზადებს.

ნანული ქაჩიბაია ამბობს, რომ შარშან ამისათვის, დაახლოებით, 9 მილიონი იყო გამოყოფილი, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ მისი შესრულება ვერ შეძლო.

დავით მორჩილაძე: **"ძნელია თქმა, ზუსტად რა თანხაა რეაბილიტაციისათვის საჭირო. სრული რეაბილიტაციაც ვერ მოხერხდება, მაგრამ გაკეთდება ყველაფერი, რასაც შევძლებთ. რაც ყველაზე მთავარია, ეს ზამთრის დადგომამდე უნდა მოხდეს".**

თბილისელთათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა - ტარიფი ჯერ უცვლელია. ახალ ხელმძღვანელობას ეს საკითხი სემეკის წინაშე ჯერ არ დაუსვამს. თბილისის მეურნეობის კომისიის წარმომადგენელმა ზურაბ მინდელმა განაცხადა, რომ ეს პროცესები მათი მუდმივი კონტროლის ქვეშ იქნება. გარდა ამისა, იგი "თბილგაზსაც" მხარდაჭერას აღუთქვამს.

თბილგაზის ახალმა უფროსმა ბოლოს განაცხადა, რომ გაზი თბილისში მაშინ აღდგება, როდესაც აღდგება ურთიერთობა რუს მომწოდებლებთან, ანუ - ვალის გადახდის შემდეგ.

"თბილგაზის" პრივატიზაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შესრულდება მისი რეაბილიტაცია, როგორ დაიფარება დავალიანება და როგორი ტარიფი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, ისიც გასაყიდ ობიექტთა ნუსხას დაამშვენებს.

# რუსული მობილური კომპანიები საქართველოს კონფლიქტურ ტერიტორიებზე აქტიურობენ

*2004 წლის იანვარში "24 საათი" უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ გასული წლის 15 ივლისიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე, საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით, უკანონო სატელეფონო კოდით, ქართული მობილური კავშირგაბმულობის კომპანიების კუთვნილ სიხშირეებზე მაუწყებლობს აფხაზური მობილური კომპანია "აკვაფონ-GSM", რომელსაც საეჭვოდ ახლო ურთიერთობა აქვს რუსულ კომპანია "მეგაფონთან" და რომლის ძირითადი შემოსავალი რუსულ კომპანიებთან საროუმინგო მომსახურებაზე მოდის. პრობლემას აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.*

თამარ ხორბალაძე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორი "აკვაფონი" აფხაზეთის ტერიტორიაზე საქმიანობას საქართველოს და საერთაშოროსო კანონმდებლობის დარღვევით ახორციელებს.

"აკვაფონი" აფხაზეთის ტერიტორიაზე 6 თვეზე მეტია, მუშაობს და მას უკვე 1000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, "აკვაფონი" აფხაზეთის ტერიტორიაზე "მაგთისა" და "ჯეოსელის" სიხშირეებს "მეკობრული მეთოდით იყენებს", ვინაიდან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომიტეტს მისთვის საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის ლიცენზია არ გაუცია.

მისივე თქმით, "აკვაფონის" ხელმძღვანელობას ჰქონდა მცდელობა, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით "აკვაფონი" კავშირგაბმულობის საერთაშორისო რეგისტრში გაეტარებინა, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომპანია, მაგრამ საერთაშორისო დონეზე ქართული მხარის აქტიური მოქმედების შედეგად, ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

გარდა ამისა, ქიტოშვილის მონაცემებით, აფხაზეთში "აკვაფონის" მსგავსად, კომპანია "მეგაფონი" საქმიანობის დაწყებას ცხინვალის რაიონში ცდილობს. მისივე თქმით, საქართველოს საგარეო უწყებამ უკვე გაუგზავნა რუსულ მხარეს ოფიციალური ნოტა, რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ფიჭური კომპანიების საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო საქმიანობის შესახებ.

ქართველ ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლებას დღეს აქვს ბერკეტები, რომელთა გამოყენებაც კომპანია "მეგაფონს" საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე უკანონო საქმიანობის სურვილს დაუკარგავს. კერძოდ:

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს ტელეკომმა უნდა ჩაკეტოს ინდექსი 9951227, როგორც სოხუმიდან შემომავალი, ისე - სოხუმისკენ გამავალი მიმართულებით (საუბარია იმაზე, რომ აფხაზეთში ტრაფიკი ანუ ზარები საქართველოს ტელეკომის გავლით მიდის და მობილური ტელეფონების ინდექსის ჩაკეტვა მათ ამ ხაზს მოუსპობს).

გარდა ამისა, მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "მეგაფონი" გაფრთხილებული უნდა იყოს, რომ არალიცენზირებულ ოპერატორთან საროუმინგო ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში, ქართული მობილური კომპანიები მათ საროუმინგო მომსახურებას შეუწყვეტენ. მართალია, სურვილის შემთხვევაში, "მეგაფონი" საკუთარი ზარების საქართველოში გამოშვებას სხვა რუსული კომპანიების ინდექსითაც შეძლებს, თუმცა ამას დამატებითი თანხები დასჭირდება და კომპანიას გარკვეულ დისკომფორტს შეუქმნის.

გარდა ამისა, საქართველოში რეგისტრირებულ ყველა საერთაშორისო ოპერატორს უნდა დაევალოს "მეგაფონის" ინდექსზე გამავალი და მათი ინდექსით შემომავალი ზარების აკრძალვა, რაც "მეგაფონს" რუსეთში მაცხოვრებელ იმ მომხმარებელს დააკარგვინებს, ვისაც საქართველოსთან ხშირი კავშირი აქვს.

რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ უნდა ეცნობოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ორგანიზაციებს "მეგაფონის" ქმედებების შესახებ და ეთხოვოს მათ, კომპანიის წინააღმდეგ შესაბამისი ზომები მიიღონ.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ნაბიჯები "მეგაფონს" სასწორზე, ერთი მხრივ, საქართველოს და მეორე მხრივ - მისი ერთი კუთხის, აფხაზეთის მომხმარებელს დაადებინებს. აქ უკვე, ყოველ შემთხვევაში - ეკონომიკური თვალსაზრისით, უდავოდ მთლიანად საქართველო გადასწონის.

და კიდევ ერთი - "მეგაფონი" არ არის ერთადერთი რუსული კავშირგაბმულობის კომპანია, რომლის ინტერესებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იკვეთება. სააგენტო პრაიმ-ნიუსის ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლების საპროტესტო განცხადებების მიუხედავად, "აკვაფონის" გარდა, რომლის უკან პრეზიდენტ არძინბას ქალიშვილის, მადინა არძინბას მეუღლე ალხაზ არგუნი დგას, აფხაზეთში ფიჭური კავშირგაბმულობის ახალი ქსელების ასამოქმედებლად ანტენებს რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი კომპანია "კრასნოდარ ჯი-ეს-ემიც" ამონტაჟებს.

btc

SCP
South Caucasus Pipeline

## განცხადება წინადადებების მიღებაზე (RFP)

## გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში კავკასიის რეგიონალური ბიომრავალფეროვნების პროექტის თემაზე

კომპანია "ბი-პი"-ს მიერ ოპერირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC Co.)
და სამხრეთ კავკასიური გაზსადენისთვის (SCP)

**ოპერატორი - კომპანია BP**
*გამოშვების თარიღი:* **2004 წლის 26 ივლისი, ორშაბათი**
*წინადადებების მიღების ბოლო დღე და საათი:* **10 სექტემბერი, პარასკევი, გაერთიანებული სამეფოს (UK) ადგილობრივი დროით 17:00 სთ.**

"ბი-პი", როგორც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" (BTC) და "სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიის" (SCP) ოპერატორი და მათი სახელით მოქმედი ორგანიზაცია, აცხადებს კონკურსს განაცხადების მიღებაზე შესაბამისი ორგანიზაციებიდან, რომელთაც დაევალებათ პროექტის შედგენა და განხორციელება გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ფარგლებში BTC-ის და SCP-ის მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე.

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა მთელი რიგი სხვადასხვა თემებისგან შედგება, რომლებიც პროექტში მონაწილე ეროვნულ და საერთაშორისო მხარეებთან კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა.

წინადადებების მიღება ცხადდება ექსკლუზიურად იმ პროექტებზე, რომლებიც EIP-ის პრიორიტეტულ თემას, **კავკასიის რეგიონალურ ბიომრავალფეროვნების პროექტს,** ეძღვნება. აღნიშნული თემის ამოცანაა რეგიონალური ბიომრავალფეროვნების პროექტის შედგენა და განხორციელება აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ჩართვით, რათა გატარებულ იქნას ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობისა და კონსერვაციისკენ მიმართული ღონისძიებები. პროექტით გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგიონში ბიომრავალფეროვნების წინაშე მდგარი საფრთხის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური წყაროები და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესაძლებლობები. პროექტი უნდა წარიმართოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების ფარგლებში, ასევე იმ საერთაშორისო კონვენციების ჩარჩოებში, რომელთა ხელმომწერ მხარეებად აღნიშნული ქვეყნების მთავრობები გვევლინებიან.

განმცხადებლებს უნდა შეეძლოთ აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში მუშაობა საკუთარი სტრუქტურების ან სხვა შემსრულებელი პარტნიორების მეშვეობით, უნდა შეეძლოთ თანხების მიღება BTC-დან და SCP-დან, ანგარიშ-ფაქტურებისა და ქვითრების გაცემა და უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი როგორც გადამხდელი შესაბამის საგადასახადო ორგანოში. მათ მოეთხოვებათ ყველა შესაბამისი ადგილობრივი იურიდიული, სამოქალაქო და ფისკალური წესების დაცვა.

წინადადებები EIP-ს აღნიშნულ თემაზე მიიღება წინადადებების მიღების განცხადების (RFP) დოკუმენტის მეშვეობით. RFP-ი მიზნად ისახავს განმცხადებლებისთვის ინსტრუქციებისა და განმარტებების მიცემას.

წინადადებების მიღების განცხადების - RFP -ის დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:
www.caspiandevelopmentandexport.com

# შიიტთა უწმინდესი ადგილი საფრთხეშია

## ამერიკელები იმამ ალის საფლავს უტევენ

*შიიტ მუსლიმთა წმინდა ქალაქი ნაჯაფი, უკვე კარგა ხანია, ერაყული წინააღმდეგობის ციტადელად გადაიქცა. ოდესღაც სეკულარიზებული ერაყი მეხუთე თვეა, რაც რელიგიურ ფუნდამენტალიზმს ეწირება. კოალიციის ჯარების წინააღმდეგ იბრძვიან როგორც სუნიტები, ასევე ერაყის მოსახლეობის ყველაზე დიდი - შიიტური ნაწილი. აპრილში დაწყებულ ყველაზე მძლავრ ამბოხს, ნაჯაფში რადიკალი რელიგიური მოღვაწე, აქამდე ყველასთვის უცნობი, მოქთადა ას-სადრი უდგას სათავეში. მისი ხელმძღვანელობით "მაჰდის არმიამ" კოალიციის ჯარებს არაერთი თავსატეხი გაუჩინა. სადრი დიდ პრობლემად რჩება ახალი ერაყული მთავრობისთვისაც. "ახალი" ერაყის განვითარება ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე კი წარმოუდგენელია.*

ნიკა თარაშვილი

გასულ კვირას, დაახლოებით ერთთვიანი შესვენების შემდეგ, ნაჯაფში ბრძოლები განახლდა. წმინდა ქალაქიდან შეთანხმებისამებრ გაყვანილი აშშ-ს საზღვაო ქვეითების დაბრუნება აუცილებელი გახდა "მაჰდელთა" ზეწოლის გამო. თუმცა, სისხლიანი ბატალიებს ბოლო ვერც ამერიკელებმა მოუღეს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ აშშ-ს სამხედრო დანაყოფები ამბოხებულ ქალაქზე გადამწყვეტ იერიშს დაიწყებდნენ. დილით კოალიცის ჯარების წარმომადგენელმა მშვიდობიან მოსახლეობას ქალაქის დატოვების თხოვნით მიმართა. ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებაც, რომ ნაჯაფის მმართველმა აშშ-ს სამხედრო დანაყოფებს შიიტთა უწმინდეს ადგილზე, იმამ ალის მეჩეთში გამაგრებული სადრის მომხრეებზე შეტევის დაწყების ნებართვა მისცა.

**"გააგრძელეთ ბრძოლა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამიჭირეს ან მომკლეს. ალაჰს თქვენი გამარჯვება სურს,"** - მოუწოდებდა მოქთადა ას-სადრი ალყაში მოქცეული ნაჯაფიდან.

9 აგვისტოს იმედი გაჩნდა, რომ ცეცხლის შეწყვეტა მოხერხდებოდა. თუმცა, დაზავების მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. ერაყელ შიიტთა დიდი აიათოლას ალი სისტანის ლონდონში სამკურნალოდ გადაყვანის შემდეგ შუამავლის ფუნქციის შესრულება არავის შეუძლია. კატეგორიულნი არიან ამერიკელებიც, - სადრის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. აშკარა ხდება, ამისთვის კოალიცია არაფერს მოერიდება.

უშედეგო აღმოჩნდა ერაყის ახალი მთავრობის მეთაურის, პრემიერ-მინისტრ აიად ალავის მოულოდნელი გამოჩენა ნაჯაფში. ალავი ას-სადრის პოლიტიკურ ფიგურად გადაქცევასა და ამით შიიტთა წმინდა ქალაქში ძალადობისათვის ბოლოს მოღებას ცდილობდა. სხვათა შორის, შიიტთა ქარიზმატული ლიდერის ამბიციების პოლიტიკურ ასპარეზზე გადატანა "განახლებული" ერაყის თითქმის ყველა პოლიტიკოსისათვის მისაღები იქნებოდა. საგულისხმო იყო, ერაყის ვიცე-პრეზიდენტის, გავლენიანი შიიტი პოლიტიკოსის მიერ სამშაბათს "ალ-ჯაზირას" ეთერში გაკეთებული განცხადება. **"ერაყის შეიარაღებულ ძალებს თავად შეუძლიათ, ბოლო მოუღონ მუსლიმთა წმინდა ქალაქ ნაჯაფში მიმდინარე უპრეცედენტო ძალადობას,"** - ამბობს იბრაჰიმ ჯაფარი და კოალიციის ძალებს წმინდა ქალაქის დატოვებისაკენ მოუწოდებს. აშკარაა, ერაყელ პოლიტიკოსებს თანამოქალაქეების სისხლში ხელების გასვრის ეშინიათ.

ჯაფარი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი შიიტური პოლიტიკური პარტიის "დაუა"-ს ლიდერია. მისი აზრით, დროებითმა მთავრობამ სადრსა და მის მომხრეებს პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელების საშუალება უნდა დაუტოვოს, მაგრამ, შეიარაღებული დაპირისპირების გაგრძელების შემთხვევაში სადრის წინააღმდეგ უკიდურესი ზომებიც იქნება მიღებული.

უკანასკნელმა დაპირისპირებამ ახალი კითხვები წარმოშვა - რა როლის შესრულება სწადია ომისშემდგომ ერაყში თავად მოქთადა ას-სადრს? 30 წლის სადრი გავლენიან რელიგიურ დინასტიაში ფრიად წარმოსაჩენი ფიგურაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ გამოხატავს ყველა ერაყელი შიიტის აზრს, მძაფრი ანტიამერიკული რიტორიკის წყალობით უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს და "მაჰდის არმიის" პრესტიჟიც ერთი ორადაა გაზრდილი. სავარაუდოდ, სადრი მანამდეა საშიში, სანამ სახალხო აჯანყებას მეთაურობს და "გმირის" შარავანდედი მოსავს. ერაყის მმართველი ელიტა იმედოვნებს, რომ პოლიტიკურ ჭიდილში "ახალბედა" სადრის ავტორიტეტის განეიტრალება გაცილებით იოლი იქნება.

ას-სადრი კი უკანდახევას არ აპირებს. **"სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ ნაჯაფისათვის... მე მადლობას ვუხდი ყველა მებრძოლს მთელი ერაყის მასშტაბით იმისათვის, რასაც ისინი სამართლიანობის აღსადგენად აკეთებენ,"** - ამბობს სახალხო ბელადის როლში შეჭრილი მოჯაჰედი.

ამასობაში კი, ამერიკული საბრძოლო შვეულმფრენები ქალაქს ჰაერიდან აკონტროლებენ და "საეჭვო" ობიექტებს ბომბავენ. **"ჩვენ, უბრალოდ, ქალაქის ჰაერიდან პატრულირებას ვახდენთ და როცა რაიმე ცუდს ვხედავთ, ვაფეთქებთ,"** - ასე აღწერს ერთ-ერთი ამერიკელი ოფიცერი კოალიციის ჯარების საჰაერო თავდასხმებს. ძნელი სათქმელია, რამდენად ახერხებენ ამერიკელები ჰაერიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გარჩევას ამბოხებულთაგან. ალბათ ამიტომაცაა, რომ ნაჯაფში ერთკვირიანი ბრძოლებში დაღუპულთა რეალური სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა, მოდის ცნობები ბაღდადში, ამარში, კუტსა და სხვა შიიტურ ქალაქებში მომხდარი შეტაკებების მსხვერპლის შესახებ.

მოქთადა ას-სადრის პრობლემა უნდა გადაიჭრას, - ასეთია კოალიციის ვერდიქტი, რასაც სრულად ეთანხმება ერაყის ახალი ხელისუფლებაც. მაგრამ, რამდენად შეძლებს ვითარების განმუხტვას "ყველა საშუალების" გამოყენება? ამ საკითხზე აუცილებლად მოუწევთ დაფიქრება როგორც ამერიკელებს, ასევე ერაყის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ისინი დილემის წინაშე დგანან, - წმინდა ადგილის შებღალვას, თუნდაც დამნაშავის განეიტრალების საბაბით, შიიტი მუსლიმების მხრიდან რეაქცია უსათუოდ მოჰყვება. ისინი კი ერაყში მოსახლეობის სამოც პროცენტს შეადგენენ.




## ჯონ კერის მეუღლეს ტერორისტების დაფინანსებაში სდებენ ბრალს

ფლორიდის შტატის სამი რესპუბლიკელი კონგრესმენი დემოკრატ ჯონ კერის მეუღლეს ექსტრემისტული დაჯგუფებების დაფინანსებაში სდებს ბრალს. როგორც ინტერნეტგვერდი "WorldNetDaily" იუწყება, რესპუბლიკელი კონგრესმენები დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ ტერეზა ჰეინც-კერის საქველმოქმედო ფონდმა "ჰეინც ენდაუმენთმა" ორგანიზაცია "თაიდსს" საკმაოდ მოზრდილი თანხები გადაურიცხა. ეს უკანასკნელი კი, კონგრესმენების განცხადებით, მთელ რიგ რადიკალურ დაჯგუფებებსა და სხვადასხვა მიმართულების გაერთიანებებს უწევს ფინანსურ მხარდაჭერას, ხოლო თვით "თაიდსის" უკან გლობალური კომუნიკაციების ინსტიტუტი დგას. აღნიშნული ინსტიტუტი კი, ეჭვიანი კონგრესმენების აზრით, რადიკალური დაჯგუფებაა და კუბასთან მჭიდრო თანამშრომლობაშია შემჩნეული. უსაფრთხოების სადარაჯოზე მდგომი რესპუბლიკელები კიდევ ერთხელ ახსენებენ საზოგადოებას, რომ კუბა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურადაა ცნობილი ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოდ. როგორც ინტერნეტგვერდზე განთავსებულ მონაცემებშია აღნიშნული, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე "ჰეინც ენდაუმენთმა" 8 მლნ აშშ დოლარზე მეტი გადაურიცხა ისლამისტებისა და ანარქისტების დამფინანსებელ ორგანიზაცია "თაიდსს". რადიკალების დაფინანსების პარალელურად, "თაიდსი" აქტიურად აპროტესტებს ერაყში აშშ-ს პოლიტიკას, მოითხოვს აშშ-ს საზღვრების გახსნას, იურიდიული მხარდაჭერით უზრუნველყოფს ტერორიზმში ბრალდებულებს და ხელს უწყობს აშშ-ში ისლამისტური იდეოლოგიის გავრცელებას.

დაბოლოს, როგორც ფონდის ასევე ჯონ კერის წინასაარჩევნო კამპანიის მესვეურები ზემოჩამოთვლილ ბრალდებებს უარყოფენ და მას "ფალსიფიკაციას" უწოდებენ. "ჰეინც ენდაუმენთის" განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელშეკრულების თანახმად, ფონდის მიერ "თაიდსის" სასარგებლოდ გაღებული ყველა შემოწირულობა პენსილვანიის ბუნების დაცვისა და სოციალური პროექტების განხორციელებას მოხმარდა.

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან

გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში

უკვე წლიური 17%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე

პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

საკონტაქტო ტელეფონები: 201616; 201717; 252806



# კიდევ ერთი პრობლემა ძველი ხელისუფლებისგან

*მოსახლეობის დიდ ნაწილს საქართველოში რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში უწევს ცხოვრება, მაგრამ მთიანი რეგიონების მცხოვრებლებს განსაკუთრებით უჭირთ. სვანეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის მაღალმთიანი რაიონებიდან ქვეყანას მიწისძვრებით, მეწყერებით, ღვარცოფებით, ზვავებით, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიით და სხვა უბედურებებით შეწუხებული და იძულებით ადგილნაცვალი ათეულ ათასობით ადამიანი, ე.წ. ეკო-მიგრანტი ჰყავს. არასამთავრობო ორგანიზაცია "მთიანი რეგიონებიდან იძულებით ადგილმონაცვლებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა (ეკო-მიგრანტთა) უფლებების საერთაშორისო დაცვისა და დახმარების ასოციაცია "ხიხანი"-ს მონაცემებით, ხელისუფლების ყურადღება და დახმარება მათ სასწრაფოდ სჭირდებათ.*

მაკა ჭაიანი

ასოციაცია "ხიხანის" წინასწარი გამოკვლევებით, რაც გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნებს ეყრდნობა, დღეს აჭარის, სვანეთისა და რაჭის რაიონებიდან ეკოლოგიური საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოსაყვანია 3000 ოჯახზე მეტი, ხოლო აჭარის მთის ჭარბი დასახლების სოფლებიდან კი, შესაძლებელია, გაყვანილ იქნას, ასევე, 5000 ოჯახამდე. ასოციაცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული კონტინგენტის ჩასახლების დიდი შესაძლებლობები სხვა რაიონებთან ერთად არის წალკის, თეთრიწყაროსა და ახალქალაქის რაიონების სოფლებში. **"იქ სასწრაფოდ არის შესასყიდი უკვე მიგრირებული ბერძენი მოსახლეობის მიერ გამოთავისუფლებული სახლები,** - ამბობს ასოციაციის პრეზიდენტი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი სიმონ შარაძე, - **წალკაში 5000 სახლზე მეტი სახლია შესასყიდი - თითოეული საცხოვრებელი სახლისა და კარ-მიდამოს ღირებულება, დაახლოებით, 1500-2500 აშშ დოლარია, თეთრწყაროში - 1500 სახლზე მეტი. ასევე, დიდი შესაძლებლობებია ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში დუხაბორი მოსახლეობის მიგრირების შედეგად გამოთავისუფლებული ბინების შესყიდვის თვალსაზრისით. ყველაფერი ეს ეკო-მიგრანტთა სწრაფი ჩასახლების შესაძლებლობის წინაპირობაა".**

ასოციაციის მონაცემებით, საქართველოს სხვადასხვა რაიონში ორგანიზებულად ჩასახლებული ეკო-მიგრანტები დღეს სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან, იმის გამო, რომ წინა მთავრობის მიერ შეპირებული საცხოვრებელი სახლები არ აუშენდათ და გაუსაძლის პირობებში უწევთ ყოფნა. განსაკუთრებით ხონის რაიონის ე.წ. "წულუკიძის კოლონიის ბარაკებში" განთავსებული 331 ოჯახი გამოიყოფა. სერიოზული პრობლემებია გადასაწყვეტი, ასევე, გარდაბნის რაიონის კრწანისის დასახლებაში 14 წლის წინათ სხვის ბინებში დროებით შესახლებული 75 ოჯახისთვის.

**"ძირითადი პრობლემა სასმელი და სარწყავი წყლის გაყვანის საკითხია",** - აცხადებს სიმონ შარაძე, - **"ბოლნისის რაიონის სოფელ დისველში მოსახლეობა ორ კილომეტრზე შორი მანძილიდან ეზიდება სასმელ წყალს. მარნეულის რაიონის სოფელ შუამთაშიც საჭიროა სასმელი წყლის მიყვანა, თამარისში - რამდენიმე ჭის სასწრაფო გაკეთება სასმელი წყლის ამოსაღებად. სასმელი წყალი არ აქვს საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში ჩასახლებულ 70 ოჯახს, არადა იქ მომავალში, დამატებით, 160 ოჯახის ჩასახლებაა შესაძლებელი. სოფელ პატარძეულში ჩასახლებული 40 ოჯახიც სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი და იქაც არის, დამატებით, 400 ოჯახის ჩასახლების შესაძლებლობა. ასპინძის რაიონის სოფელ ივერიაში 80 ოჯახისათვის მისაყვანია სასმელი წყალი. სასმელი და სარწყავი წყლის წყალსადენია გასაკეთებელი ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში, ასევე - სოფელ ოკამში, აზმანაში და სხვა. ბორჯომის რაიონის სოფელ ბაღამთაში წყალსადენის მშენებლობა დასამთავრებელია. კიდევ ერთი პრობლემაა საშუალო სკოლების, ამბულატორიების შენობების არარსებობა, გზებისა და ელექტროხაზების გაყვანა და კეთილმოწყობა".**


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*აჭარის, სვანეთისა და რაჭის რაიონებიდან ეკოლოგიური საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოსაყვანია 3000 ოჯახზე მეტი.*

ამ პრობლემების მოსაგვარებლად ასოციაციას გეგმაც აქვს. იგი ეკო-მიგრანტებისთვის ბინების შესყიდვისა თუ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გარდა (რაც, მისი გათვლებით, 20-21 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი დაჯდება ლარებში), მათთვის კერძო მეურნეობების მოსაწყობად სესხების გაცემას, ფერმერული მეურნეობისა და შიდარეწვის სხვადასხვა დარგის განვითარებას გულისხმობს. ამ და ეკო-მიგრანტებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად ორგანიზაცია ქვეყნის ახალ ხელისუფლებასთან საუბარს და თანამშრომლობას გეგმავს. დარწმუნებულნი არიან, რომ ამას უკვე აქვს აზრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები




7 აგვისტოს საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ოფიციალურად წარადგინა "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" პროექტის საბოლოო ვარიანტი

სასკოლო განათლების სფეროში საქართველოს მთავრობის სამუშაო კონცეფცია - "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები" - მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროექტ "ილია ჭავჭავაძის" (ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის პროექტი) მიერ.
დოკუმენტის სამუშაო ვარიანტი დაეგზავნა საქართველოს ყველა სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას. სკოლებმა პედსაბჭოს სხდომის დამოწმებული ოქმების ფორმით სამინისტროს მოაწოდეს შენიშვნები და წინადადებები. სულ მიღებულია 1700-მდე ოქმი საქართველოს ყველა რეგიონის სკოლებიდან.
დოკუმენტი სკოლებში გავრცელდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების (განათლების მუშაკთა პროფკავშირი, მასწავლებელთა დამოუკიდებელი პროფკავშირი "სოლიდარობა", თავისუფლების ინსტიტუტი, სამართლებრივი განათლების ასოციაცია, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, "სკოლა, ოჯახი, საზოგადოება", ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) მეშვეობით. ამავე ორგანიზაციებმა დაამუშავეს სკოლებიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რომელიც საბოლოოდ განიხილა სამინისტროს საკონსულტაციო საბჭომ.
სამინისტროს საკონსულტაციო საბჭომ გაითვალისწინა სკოლებიდან მიღებული შენიშვნები და წინადადებები, ასევე შენიშვნები და წინადადებები, რომელიც სამინისტროს მოაწოდეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა დოკუმენტი ერთობლივად 15 ივლისს განიხილეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მადლობას უხდის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედკოლექტივებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" პროექტის განხილვაში

ამონაწერები ოქმებიდან (სტილი დაცულია):

"...საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს გაკვეთილებზე წერასა და აზროვნებას, ნაწარმოების ანალიზს, მის განხილვას; ჩვენ ძირითადად ამა თუ იმ ნაწარმოების შესწავლით ვკმაყოფილდებით, რამეთუ ველარ ვასწრებთ სხვა რამეს, რადგან პროგრამაში ბევრი ნაწარმოებია შეტანილი... " - ნელი ბედუკაძე, საგურამოს ილია ჭავჭავაძის საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

"...პროექტის გულდასმით გაცნობის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჯერ უნდა მოხდეს ამჟამინდელი რელიგიის საგნის სახელმძღვანელოების განტვირთვა. მისი მასალების სისტემატიზაცია, შევსება და შემდეგ მისი ინტეგრირება-შერწყმა ისტორიასთან, ან შესაბამისი ნაწილი - ლიტერატურასთან. მასში უთუოდ და უთუმცაოდ უნდა შევიდეს რელიგიის წარმოშობის ისტორიული ნაწილი, ჩვენი საკუთარი ეროვნული დომინირებული რელიგიის გარდა უნდა მიეწოდოს ბავშვს სხვა რელიგიების ცოდნის ელემენტები, რათა აღიზარდოს ტოლერანტული, ტრადიციული მრწამსის შესაბამისი შემწყნარებალი - სხვა აღმსარებლობის მოქალაქეებთან დილოგის უნარის მქონე კომუნიკაბელური, მომავლის მოქალაქე. " - გიორგი ჩაფურიშვილი, ახმეტის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი.

"... პროექტის ძირითად მიმართულებაში თითქმის სრულყოფილად არის აკუმულირებული ეროვნული მიზნები, რავ გამოიხატება იმაში, რომ სასკოლო განათლებამ უნდა მისცეს მოზარდს საკუთარი ქვეყნის სულიერი, ინტელექტუალური, ეკონომიკური და პრაქტიკული ინტერესების არა მარტო განსაზღვრის და შემეცნების, არამედ სასიკეთოდ გადაწყვეტილებებისა და აქტიური უნარ-ჩვევები" - რომან მოსეშვილი, თბილისის მე-11 საშ. სკოლის დირექტორი.

ამ დოკუმენტის ამოცანაა, განსაზღვროს სასკოლო განათლების ძირითადი მიზნები, რომლებიც საფუძვლად დაედება ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლების მუშაობას და, საზოგადოდ, სასკოლო განათლების პოლიტიკას. შემდგომში ამ მიზნების ფონზე განისაზღვრება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული ცოდნის მოცულობა, შესაძლებლობები, მიმართებები, სწავლისა და სწავლების, აღზრდის პრინციპები, სასკოლო კალენდარი, შეფასების სისტემა, საგნობრივი განაწილება, სასკოლო ეთიკისა თუ სწავლების მეთოდიკის ძირითადი პრინციპები და სასკოლო განათლების სხვა მიმართულებები.

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს აუცილებელ ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებში აყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, ეხმარება მოსწავლეს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

**ა. კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს საზოგადოების მომავალ წევრს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები. სასკოლო განათლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს ამ უნარ-ჩვევების გამომუშავება მშობლიურ ენაზე მათთვის, ვისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის.

**ბ. ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა**

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო.

**გ. ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტურად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი**

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტურად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასება შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით; დასახული მიზნებისათვის ამ ინფორმაციის გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტური გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობისათვის საჭირო პირობების გასაუმჯობესებლად.

**დ. დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

**ე. არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე; იყოს შემოქმედი, თვითონაც შექმნას ღირებულებები**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს ის უნარ-ჩვევები, რომელიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

**ვ. საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ**

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი; მოზარდს უნდა შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ნათლად წარმოდგენა; მოზარდი მზად უნდა იყოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის არჩევანის გასაკეთებლად.

**ზ. ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრისა და შემეცნების, სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა.

**თ. იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე**

დღევანდელ დინამიურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშავოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც ის მიმართავს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება და ამ პრინციპებზე დაყრდნობით ცხოვრება.

**ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითადი საშუალებები**

ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის საქართველოს სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:

**1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა**

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვრება სასკოლო განათლების სფეროში ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ასევე მიზნების შესრულების ძირითადი გზები და საშუალებები.

**2. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა**

ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემას ქმნიან სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და დაფინანსების წყაროების მქონე დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის პრინციპებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო წესდებების მიხედვით. სასკოლო სისტემა მოიცავს მუდმივად განვითარებად მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**

სასკოლო სისტემის მართვის აუცილებელი კომპონენტებია: ლიცენზირება, აკრედიტაცია და ატესტაცია; სკოლის ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის განვითარება; სასკოლო სისტემის მართვის ძირითადი ფორმების განსაზღვრა და მისი შესრულების უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვისა და ფუქციონირების ხარისხის შეფასება; ეროვნული შეფასებისა და საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

**4. ეროვნული სასწავლო გეგმა**

ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ ოდენობას; ცოდნის განვითარების ზოგად ხერხებს; აუცილებელი ინფორმაციის ოდენობასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს თითოეული საფეხურის დამთავრებისას; საგნებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

საზოგადოებრივი აქტივობისა და არსებული რესურსების ეფექტური ამოქმედების გარეშე ეს ცალკეული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოთჩამოთვლილი უნარ-ჩვევების სრულყოფილ განვითარებას. ამიტომ ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით; ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორიცაა გამოცდები თუ არჩევნები, საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტულ დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციის თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების შესრულების ხარისხსა და წარმატებულობას.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც ყოველ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების გამომუშავების თანაბარ შესაძლებლობას.

სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობების თუ სხვა ნიშნების მიხედვით.

# პოლიცია ნარკომანებისა და ნარკორეალიზატორებისგან იწმინდება

*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა გუშინ კიდევ ერთი, აწ უკვე ყოფილი კოლეგა გაუყენეს საპატიმროს გზას.*

*როგორც გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი ზაზა ქაჩიბაია აცხადებს, მათი სამსახური გარკვეული პერიოდის მანძილზე ამუშავებდა ოპერატიულად მიღებულ ინფორმაციას, შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განყოფილების განკარგულებაში მყოფ გოჩა ცეცხლაძის ნარკოკონტრაბანდაში მონაწილეობის შესახებ და, გატარებული მუშაობის შედეგად, იგი უშუალოდ ფაქტზე დააკავეს.*

ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსი, პოლიციის კაპიტანი გოჩა ცეცხლაძე გუშინ სოფელ ნატახტართან დააკავეს. როგორც ირკვევა, გენერალური ინსპექციის თანამშრომლები მას საქართველო-თურქეთის საზღვრიდან ადევნებდნენ თვალ-ყურს. ცეცხლაძის მანქანის საბარგულის ჩხრეკისას კი სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატი – "სუბოტექსი" აღმოაჩინეს. "სუბოტექსის" 194 აბი ის რაოდენობა გახლავთ, როგორიც ერთბაშად ქართველ პოლიციელებს აქამდე ხელში არ ჩავარდნიათ. უხეში გაანგარიშებით, ამ ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის შედეგად ცეცხლაძე 30 ათას დოლარამდე მოგებას მიიღებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის, ზაზა ქაჩიბაიას განცხადებით: **"ცეცხლაძის მიერ ნარკოტიკის კონტრაბანდის თაობაზე ოპერატიული ინფორმაცია ბოლო სამი კვირის განმავლობაში მუშავდებოდა. მის მიერ საზღვრის გადმოლახვის შესახებ მიღებულ ცნობას კი შესაბამისი რეაგირება მოჰყვა."**



*გენერალური ინსპექცია ნარკომან პოლიციელებთან ბრძოლას აგრძელებს*

ცეცხლაძის დაკავების ოპერაცია დილის 8 საათზე განხორციელდა და მასში, გენერალური ინსპექციის წარმომადგენლების გარდა, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამჟამად პოლიციის კაპიტნის საქმე მცხეთა-მთიანეთის პროკურატურას გადაეცა გამოსაძიებლად. წინასწარი მონაცემებით, ცეცხლაძე ჰოლანდიიდან ან გერმანიიდან მოდიოდა – მის ახლად შეძენილ ავტომანქანა "ოპელს" ჰოლანდიის სატრანზიტო ნომრები აღმოაჩნდა. სარფის საბაჟოს უპრობლემოდ გადმოლახვის შემდეგ იგი თბილისისკენ მოემართებოდა. თავად ცეცხლაძემ უარი თქვა ნარკოშემოწმების გავლაზე, თუმცა, პოლიციელთა თქმით, გარეგნულად იგი აშკარად ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გუშინვე გენერალურმა ინსპექციამ კიდევ ერთი ნარკომანი პოლიციელი გამოავლინა. გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის სოსო თოფურიძის თქმით, ნარკოშემოწმების შედეგად გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორს კახა ბადუაშვილს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა დაუდგინდა. ამჟამად გენერალური ინსპექცია სამსახურებრივ მოკვლევას აწარმოებს და, სავარაუდოდ, ბადუაშვილს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან გათავისუფლება ელის.

სოსო თოფურიძის ინფორმაციით, გასული შვიდი თვის მანძილზე გენერალურმა ინსპექციამ 58 ნარკომანი პოლიციელი გამოავლინა და განდევნა პოლიციის რიგებიდან, ბოლო ორ თვეში მათმა რიცხვმა კი, შეიძლება ითქვას, რეკორდულ მაჩვენებელს – 20-ს მიაღწია.

**"შინაგან საქმეთა მინისტრის პირადი ბრძანების საფუძველზე, ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ ნარკომანი პოლიციელების გამოვლენას და უახლოეს მომავალში იმედი გვაქვს, რომ პოლიციის რიგებს ულირსთაგან გავწმენდთ,"** - აცხადებს სოსო თოფურიძე.

**24 საათი**

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრიდან 100 მეტრის სიღრმეში, სასაზღვრო კომენდატურა "ხიჭაურის" სასაზღვრო საგუშაგო "ლოდნარის" უბანზე ქართველმა მესაზღვრეებმა თურქეთის ორი მოქალაქე დააკავეს.

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, დაკავებულები არიან ართვინის გუბერნიის სოფელ ჯამილში მცხოვრები 42 წლის ნაიმ გენჯი და ამავე გუბერნიის სოფელ დუზენლიში მცხოვრები 46 წლის იუსიფ ელბაი. დაკავებულები თურქეთიდან საქართველოში არალეგალურად შემოსვლას შემოვლითი გზების საშუალებით ცდილობდნენ. სახელმწიფო საზღვრის დამრღვევები სასაზღვრო კომენდატურა "ხიჭაურში" იყვნენ გადაყვანილი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის "აჭარის" რეგიონული სამმართველო აწარმოებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ შპს „ვაკის პარკის" ავტოდრომის გადახურვის სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულა შპს „ბურჯმა", თუმცა შპს „ვაკის პარკის" ხელმძღვანელობამ უკვე შესრულებული სამუშაოები გააფორმა და საბიუჯეტო თანხები გაწერა ფიზიკურ პირზე, ვინმე ტლაშაძეზე (სხვა მონაცემები დგინდება), რის შედეგადაც შპს „ვაკის პარკის" ხელმძღვანელობამ საბიუჯეტო თანხა - 9000 ლარი მიითვისა. ამ ფაქტზე აღიძრა სს საქმე, რომელიც ქვემდებარეობის საკითხის განსაზღვრის მიზნით, პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ჭიათურაში მცხოვრები, შინაგანი ჯარის სამხედრო ნაწილის რიგითი, 19 წლის ლაშა ამირანის ძე გოქსაძე, რომელიც თბილისში, რორესის ქუჩაზე მდებარე სამხედრო ნაწილიდან 28 ივლისს გაიქცა და წაიღო ავტომატი „აკმ", პისტოლეტი „მაკაროვი" მჭიდით. ავტომატი და პისტოლეტი ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში მცხოვრები, 21 წლის ლევან გაბაშვილი, 21 წლის არჩილ ყველაშვილი, 26 წლის ემზარ ხვთისიაშვილი, 33 წლის კახაბერ ბიბლიაშვილი და 21 წლის გია ბიბლიაშვილი.

2003 წლის 14 იანვარს ლევან გაბაშვილი და გია ბიბლიაშვილი, ზურაბ ზურაბიანთან ერთად, სოფელ მუხრანში ყაჩაღურად თავს დაესხნენ როზა ბითიაშვილის ოჯახს.

2004 წლის 1 ივლისს ემზარ ხვთისაშვილმა, კახაბერ ბიბლიაშვილმა და ლევან გაბაშვილმა გაქურდეს თანასოფლელის მანანა სოსებაშვილის ბინა.

2004 წლის 18 ივლისს ლევან გაბაშვილმა გია ბიბლიაშვილთან ერთად გაქურდა თანასოფლელის სერგო დალაქიშვილის ბინა. 2003 წლის 5 ივლისს ლევან გაბაშვილმა, არჩილ ყველიაშვილთან ერთად გაქურდა თანასოფლელ ჯუმბერ გოგიაშვილის ბინა. არჩილ ყველაშვილის სახლიდან ამოიღეს 5,8 გრამი, ხოლო კახაბერ ბიბლიაშვილის სახლიდან - 5,4 გრამი მარიხუანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში ხანძარი გაუჩნდა თბილისში მცხოვრებ ნუგზარ კალაძის აგარაკს, რის შედეგადაც გარდაიცვალა რუსეთის მოქალაქე ვასილ პლოტნიკოვი. სხვა მონაცემები დგინდება. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**ბათუმი.** დააკავეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლაში მცხოვრები, 30 წლის ედვარდ კორძაია, რომელიც მაიაკოვსკის ქუჩაზე ცდილობდა გორში მცხოვრების ზურაბ ნაოჭაშვილის ავტომანქანის „სკანია"-ს გაქურდვას. გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის ბათუმის განყოფილება აწარმოებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ხელვაჩაური.** დააკავეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მუხაესტატეში მცხოვრები, 26 წლის სერგო მჟავანაძე, რომელიც ცდილობდა სოფელ ფერიაში მდებარე ეკლესიის გაქურდვას. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელვაჩაურის ქვეგანყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ოზურგეთი.** გურიის სამხარეო შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ოზურგეთში მცხოვრები, 22 წლის ზურაბ დოლიძე, გოთუას ქუჩაზე მცხოვრები, 21 წლის კახა კალანდაძე და სოფელ ნატანებში მცხოვრები, 25 წლის ივანე გორგილაძე, რომლებმაც გაქურდეს თბილისში მცხოვრებ გიორგი მშვიდობაძის კუთვნილი, სოფელ შეკვეთილში მდებარე აგარაკი, ხოლო 8 აგვისტოს - ოზურგეთში, თბილისში, დაბა წყნეთში მცხოვრებ ბადრი თანანაშვილს მობილური ტელეფონი მოჰპარეს. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს თბილისში, ნუცუბიძის ქ. N2-ში მცხოვრები, 15 წლის კახაბერ ბატიაშვილი, რომელმაც სოფელ ბარალეთში, ურთიერთშელაპარაკებისას, დანით მხარში, გულ-მკერდისა და მუცელში დაჭრა ახალქალაქში, მიასნიკოვის ქუჩაზე მცხოვრები, 14 წლის გევორქ და 13 წლის ვაე ყერუჯანიანები, ერევანში მცხოვრები, 15 წლის ვიქტორ კამალიანი, რომლებიც მოთავსებულნი არიან საავადმყოფოში. საქმეს პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**


## The Georgia Wholesale Eleqtricity Market (GWEM) is announcing the vacancy

**Financial Controller**
Georgian Wholesale Electricity Market (GWEM), currently managed by an international Consortium under a Management Contract, is announcing the vacancy of a Financial Inspector position for the purpose of ensuring financial integrity of GWEM operations.
**Role**
GWEM is looking for a self-motivated individual with a high degree of integrity and loyalty. He/She will be involved in the Financial Directorate preparing relevant financial recommendations for the Senior Management staff of GWEM.
**Responsibilities:**
- Financial analysis of the operations carried out by GWEM;
- Strict observation of the Georgian fiscal regulations currently effective;
- Preparation of GWEM Annual Report, Financial position, cash flow reposts and Annual Budget;
- Ensuring that GWEM operations are performed transparently in compliance with the procedures established by the Georgian legislation;
- Ensuring that all required Accounting and Financial reports are produced on a timely basis;
- Providing financial and accounting analysis;
-

**Person Specification**
- Suitable Academic and professional qualifications in a relevant financial discipline. University degree in Economics or/and Financing.
- A deep knowledge of the Georgian Tax system and legal norms regulating financial operations;
- Minimum of 5 years experience in a financial management or Chief Accounting role in a commercial business environment (desirable in the Power sector);
- Full familiarity with International Accounting Standards and Banking systems;
- Proficient in the use of MS office application (Word, Excel, Power Point);
- Experience working with international donor organizations (World Bank, European Union etc);
- Fluency in English (both verbal and written) will be strongly preferred;

**Working Conditions**
The initial appointment shall be for a term of three months. In case of positive performance for this period, the Contract shall be signed for one year, which is renewable.
Application Deadline: September 15, 2004, 18:00
Commencement date: October 1, 2004
Applicants who have the required qualifications should submit their CV & cover letter (noting position of interest) with two references in Georgian and in English to the following address:
45 Kazbegi Av, Tbilisi
Georgian Wholesale Electricity Market
Human Resource Department
Ms. Irina Koridze
The applications shall be reviewed with strict confidentiality and are not the subject of return.
The announcement for the vacancy is posted on GWEM website www.gwem.org.ge
The candidates can send the documents by fax or e-mail on the following address:
Fax: (995 32) 31 17 49
E-mail: irkorid@gwem.org.ge

## საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე

[illegible]

სამუშაო პირობები
[illegible]
სამსახურის დაწყების თარიღი : 2004 წლის 1 ოქტომბერი
განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 სექტემბერი, 18:00
[illegible] (Cover letter), [illegible] (Curriculum Vitae) [illegible]
თბილისი, ყაზბეგის გამზირი 45
საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი
კადრების დეპარტამენტი
ქ-ნ ირინა ქორიძე
[illegible]
www.gwem.org.ge
[illegible]
ფაქსი: (995 32) 31 17 49
ელ. ფოსტა: irkorid@gwem.org.ge

## The Georgia Wholesale Eleqtricity Market (GWEM) is announcing the vacancy

**Legal Advisor**
The Georgian Wholesale Electricity Market (GWEM), currently managed by an international consortium under a Management Contract, is announcing the vacancy of Legal Advisor who will provide GWEM Management with legal recommendations and analysis.
GWEM is looking for a self-motivated individual with a high degree of integrity and loyalty. He/She will be involved in the Legal Affairs Directorate reporting to the manager of the Directorate.
**Responsibilities:**
- Continuing the process of development and improvement of the current legal framework related to electricity trading in close cooperation with Regulatory Commission (GNERC);
- Introducing changes and amendments to the Market Rules;
- Providing legal expertise to the transformation of the power sector into a market oriented and sound financial sector;
- Providing legal expertise and recommendations in day to day operation of GWEM;
- Driving legal advice and proceedings related to compliance with the Market Rules;
- Provision of legal expertise to Power Purchase Agreements; Direct Contracts and other related documentation;

**Person Specification**
- University degree in law;
- Minimum of 7 years experience in the relevant field. He/She should be an expert with experience from senior level management posts and from advisory positions. A very important advantage would be experience within the power sector;
- Proven knowledge of Georgian energy related legislation and at least two years experience of transition economies and legal expertise of power industry under restructure;
- Team player, able to work in tight schedule meeting deadlines;
- Fluent in written and spoken Georgian; Fluent command of English and Russian language will be strongly preffered.

**Working Conditions**
The initial appointment shall be for a term of three months. In case of positive performance for this period, the Contract shall be signed for one year, which is renewable.
Application Deadline: September 15, 2004, 18:00
Commencement date: October 1, 2004
Applicants who have the required qualifications should submit their CV & cover letter (noting position of interest) with two references in Georgian and in English to the following address:
45 Kazbegi Av, Tbilisi
Georgian Wholesale Electricity Market
Human Resource Department
Ms. Irina Koridze
The applications shall be reviewed with strict confidentiality and are not the subject of return.
The announcement for the vacancy is posted on GWEM website www.gwem.org.ge
The candidates can send the documents by fax or e-mail on the following address:
Fax: (995 32) 31 17 49

## საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე

[illegible]

სამსახურის დაწყების თარიღი : 2004 წლის 1 ოქტომბერი
განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 სექტემბერი, 18:00
[illegible] (Cover letter), [illegible] (Curriculum Vitae) [illegible]
თბილისი, ყაზბეგის გამზირი 45
საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი
კადრების დეპარტამენტი
ქ-ნ ირინა ქორიძე
[illegible]
www.gwem.org.ge
[illegible]
ფაქსი: (995 32) 31 17 49

გამოხმაურება

# ღია წერილი გაზეთ "24 საათის" რედაქციას

პირველი გვერდიდან

ვერ დავეთანხმები მაიორ ჩაჩიბაიას მიერ გამოთქმულ უკმაყოფილებას ჯარისკაცების არასათანადო მომზადებისა და აღჭურვის შესახებ. ერაყში მყოფი ქართული შენაერთი საქართველოს სამხედრო ძალების ყველაზე კარგად მომზადებული და აღჭურვილი კონტინგენტია. მე-16 სამთო ბატალიონის წევრები, რომლებმაც გაიარეს "საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, ასევე დისლოკაციისათვის სპეციალური მომზადების პროგრამა, ისევე კარგად არიან მომზადებულნი, როგორც ერაყში განლაგებული კოალიციის წევრი ქვეყნის ნებისმიერი დანაყოფი. გარდა ამისა, ერაყში დისლოცირებული ყოველი ქართველი ჯარისკაცი აღიჭურვა 3 623 აშშ დოლარის ღირებულების აღჭურვილობითა და ფორმით. მასში შედის თანამედროვე "ჰარისის" მარკის რაციები, სამხედრო ფორმის სრული კომპლექტი, ასევე უდაბნოსათვის გათვალისწინებული კამუფლაჟის დამატებითი კომპლექტი. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველ ქართველ ჯარისკაცს დაურიგდა ტყვიაგაუმტარი ჟილეტი. ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა დანაყოფის აღსაჭურვად. ქართველ ჯარისკაცებს იგივე აღჭურვილობა დაურიგდათ, რაც ამერიკელ ჯარისკაცებს. ამ თვალსაზრისით ქართველები ისევე კარგად არიან აღჭურვილნი, როგორც მათი ამერიკელი კოლეგები.

მსურს აღვნიშნო ისიც, რომ ერაყში მომსახურე ქართველ ჯარისკაცებს საქართველოს მთავრობა უყურადღებოდ არ ტოვებს. იქ მყოფი ჯარისკაცები საქართველოს მთავრობის მაღალი ჩინის მოხელეების საზრუნავს და, ამასთან, სიამაყეს წარმოადგენენ. ისინი ხალხის პატივისცემასა და აღიარებას იმსახურებენ. თავდაცვის სამინისტროს კარგად მოეხსენება, თუ რა მსხვერპლი გაიღეს ამ მამაცმა მამაკაცებმა თუ ქალებმა და მათი სამსახურის დაფასებისა და აღიარების ნიშნად სამახსოვრო მედლების გადაცემა აქვს განზრახული. თავდაცვის მინისტრი, გია ბარამიძე, ერაყში ქართველი ჯარისკაცების პირადად მონახულებას გეგმავს. ისინი უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენენ საქართველოს მთავრობისათვის.

მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ქართველი ჯარისკაცების ერაყში სამსახურის მიზეზი. მსმენია, ზოგიერთი როგორ ამბობს, რომ ქართველი ჯარისკაცები იქ იმიტომ არიან, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და მისმა დიდმა მეგობარმა, შეერთებულმა შტატებმა, ზეგავლენა მოახდინა მასზე, რათა მონაწილეობა მიეღო ერაყში. არაფერი შეიძლება იდგეს უფრო შორს სიმართლისაგან. ქართველი ჯარისკაცები ერაყში იმიტომ არიან, რომ ერაყელი ბავშვები უზრუნველყოფილნი იყვნენ იმავე შესაძლებლობებით, რომლითაც მათი საკუთარი ბავშვები სარგებლობენ საქართველოში, მათ შორის ისეთი შესაძლებლობებით, როგორიცაა განათლების მიღების უფლება, სიტყვის თავისუფლება და, რაც მთავარია, შიშისაგან თავისუფლება.

საქართველომ ყველა სხვა ქვეყანასთან ერთად უნდა აღიაროს დემოკრატიის მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში. საქართველომ სულ ცოტა ხნის წინ რევოლუცია გამოიარა, რომელიც, საბედნიეროდ, უსისხლოდ დასრულდა. მაგრამ ეს იყო რევოლუცია, როდესაც ხალხი აღსდგა თავისი უფლებებისა და იმის დასაცავად, რისიც მას სჯეროდა. ხალხი ქუჩაში გამოვიდა დემოკრატიის მხარდასაჭერად. ჩემთვის მოულოდნელი არ იყო, რომ საქართველომ თავისი მხარდაჭერა გამოხატა დემოკრატიის მიმართ საზღვარგარეთ და ერაყში თავისი ჯარისკაცები გააგზავნა. ერაყში ყოფნის მიზანი მშვიდობის, სტაბილურობისა და, რაც მთავარია, ერაყში დემოკრატიის დამკვიდრებაა. ერაყი ის ქვეყანა იყო, რომელსაც ულმობელი დიქტატორი აკონტროლებდა, რომელსაც შეეძლო, გაზით მოეწამლა, ეშიმშილებინა და ეწამებინა თავისი საკუთარი ხალხი.



"ეს იყო რევოლუცია, როდესაც ხალხი აღსდგა თავისი უფლებებისა და იმის დასაცავად, რისიც მას სჯეროდა"

ქართველმა ხალხმა, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია, გადაწყვიტა, ერაყისათვის დახმარება გაეწია დემოკრატიის დამკვიდრების მძიმე, გარდამავალ პერიოდში. ქართველებს თავად მოეხსენებათ, რომ ცვლილებების მოხდენას დრო სჭირდება. ქართველები, რომელთაც უნიკალური ისტორია აქვთ, ბუნებრივია, რომ აღიარებდნენ და აფასებდნენ, თუ რას ნიშნავს ერაყელებისათვის თვითგამორკვევისა და თვითმმართველობის უფლება.

სამწუხაროა, რომ დემოკრატიისაკენ მიმავალ ერაყს დაბრკოლებებს უქმნის ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც მზად არის, გაიტაცოს და თავებიც კი მოჰკვეთოს ადამიანებს. რამდენიმე მძევლის მეშვეობით მათ მთელი მსოფლიოს აყვანა სურთ მძევლად. ნებისმიერი კრიზისის დროს ყოველთვის არსებობენ ცალკეული ადამიანები, რომელთაც კრიზისის გაგრძელება სურთ და პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტაზე უარს აცხადებენ. ყოველთვის არსებობენ ისეთები, რომლებიც მზად არიან, სხვებზე დომინირებისათვის ძალადობას მიმართონ. თუმცა, ერაყელების უდიდეს უმრავლესობას მშვიდობა, სტაბილურობა და დემოკრატია სურს, ყოველთვის მოიძებნებიან ისეთნიც, რომლებიც მზად არიან, ასაფეთქებელი მოწყობილობები შემოირტყან საკუთარ სხეულზე და არ დაგიდევენ, ვის ააფეთქებენ, არაფრად უღირთ უდანაშაულო ერაყელი დედების, მამებისა და ბავშვთა სიკვდილი, იმ ადამიანების სიკვდილი, რომელთაც არც კი შეხვედრიან. კოალიციის ჯარები ერაყში იმყოფებიან, რათა ერაყის ახალ მთავრობას შესაძლებლობა მიეცეს, დაძლიოს ეს მუქარა და დაიწყოს აღმშენებლობა. ერაყში მყოფ დემოკრატიულ ძალებს ჩვენი დახმარება სჭირდებათ.

როდესაც სახელმწიფო მდივანი პაუელი აქ იმყოფებოდა, მას შეერთებული შტატების მიერ საქართველოსათვის მხარდაჭერის გაგრძელების შესახებ დაუსვეს შეკითხვა. სახელმწიფო მდივანმა თქვა, რომ შეერთებული შტატები ამაყობს საქართველოსათვის დახმარების გაწევით, მაგრამ საბოლოო მიზანი ის არის, რომ საქართველოს აღარ დასჭირდეს იგი და ისეთი მდგომარეობა ჰქონდეს, რომ თვითონ დაეხმაროს სხვა ქვეყნებს. ერაყელების დახმარება დემოკრატიის დამკვიდრების ამ მძიმე, გარდამავალ პერიოდში ერთ-ერთი გზაა, რომლითაც საქართველოს შეუძლია დაიწყოს მსოფლიო თანამეგობრობისათვის თავისი დახმარების შეთავაზება და კუთვნილი ადგილი დაიკავოს მსოფლიო არენაზე.

უცხოეთი

## ავღანეთში რამსფელდის ვიზიტი აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება



"საჭიროა ფართომასშტაბიანი კამპანიის წარმოება, რათა ის უზარმაზარი თანხები, რომლის გადახდაც ადამიანებს ნარკოტიკებში არ ენანებათ, დემოკრატიის ჩანასახშივე ჩაკვლასა და თალიბების რეჟიმის აღდგენას არ მოხმარდეს"

აშშ-ს თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი ავღანეთს ეწვია ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით. ვიზიტის წინ გაკეთებული მისი განცხადება ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული გაფრთხილება უფრო იყო, რომელიც აშშ-ს მაღალჩინოსნის განცხადებით, ავღანეთში დემოკრატიის აღმშენებლობას შეუშლის ხელს. რამსფელდის თქმით, ავღანეთში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის "გენერალურ გეგმაზე" მუშაობა უკვე დაწყებულია. აღნიშნული გეგმა მილიარდობით აშშ დოლარის იმ პირთა ხელში მოხვედრას შეუშლის ხელს, რომლებიც ხელისუფლების სათავეში თალიბების დაბრუნებასა თუ "ალ ქაიდასთვის" ფულადი რესურსების მოძიებას ცდილობენ.

"საჭიროა ფართომასშტაბიანი კამპანიის წარმოება, რათა ის უზარმაზარი თანხები, რომლის გადახდაც ნარკოტიკებში ადამიანებს არ ენანებათ, დემოკრატიის ჩანასახშივე ჩაკვლასა და თალიბების რეჟიმის აღდგენას არ მოხმარდეს," - განაცხადა ამერიკელმა მინისტრმა. გეგმის დეტალების გახმაურებისგან კი დონალდ რამსფელდმა თავი შეიკავა. ამერიკული კონტინგენტის საქმიანობას რაც შეეხება, მისი თქმით, ამერიკელი სამხედროები მხოლოდ აჯანყებულთა მოძიებით არიან დაკავებულნი.

ნარკობიზნესის გზით შემოსული თანხებით ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების საფრთხის გამო მსოფლიო საზოგადოებაში მღელვარება არ ცხრება. თანაც იმ ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, რომ ავღანეთი ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება, ტერორისტული საფრთხის ხარისხობრივად გაზრდის მეტი ალბათობაა. ზოგიერთი გამოკვლევის შედეგებით, მსოფლიოში წარმოებული ოპიუმის 75 პროცენტი ავღანეთზე მოდის. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია დონალდ რამსფელდის შეხვედრა ავღანეთის პრეზიდენტთან ჰამიდ ყარზაისა და თავდაცვის მინისტრთან მოჰამად ფაჰიმთან. ეს უკანასკნელი მომავალ არჩევნებში ყარზაის ერთ-ერთ მეტოქეს უჭერს მხარს.

ქვეყნის ისტორიაში პირველ დემოკრატიულ არჩევნებში ავღანეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის გარდა, კენჭს კიდევ 17 კანდიდატი იყრის.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, აშშ-ს საგარეო უწყების მაღალჩინოსანი ავღანეთში მყოფ თანამემამულეებსაც შეხვდება და მათთან ერთად "ალ ქაიდას" მებრძოლებისა და თალიბების წინააღმდეგ ოპერაციის მსვლელობის დეტალებს განიხილავს. ექსპერტთა დიდი ნაწილი ავღანეთში რამსფელდის ვიზიტს ნოემბერში აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს.

*24 საათი*


## ვაკანსიები

საერთაშორისო ეკოლოგიური რეაგირების კომპანია SEACOR Environmental Services International სამუშაოდ მიიღებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს, შემდეგ თანამდებობებზე:

**ბუღალტერი**

*სამუშაო ადგილი: თბილისი*

*სამუშაოს აღწერა:*

თქვენს, როგორც ბუღალტრის პასუხისმგებლობაში შევა კომპანიის ფინანსური საქმიანობის წარმატებით ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და კოორდინირება, საქართველოსა და აზერბაიჯანში, თბილისში ბაზირებული ოფისიდან.

*ფუნქციები და პასუხისმგებლობები*

ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

■ ფინანსური დოკუმენტაციის წარმოება, როგორიცაა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანგარიშები, სახელფასო უწყისები, საერთო საბუღალტრო წიგნი, ჩანაწერები კაპიტალური აქტივების შესახებ და ბიუჯეტები.

■ მონაცემების შეტანა და სამუშაო გრაფიკების შესწორება

■ ყოველთვიური ბილინგის (ქვითრების) და ინვოისების, ფინანური უწყისების, ანგარიშებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;

■ ხარჯებისა და ფულის მომოქცევის მონიტორინგი;

■ საგადასახადო ანგარიშების მომზადება და დახმარება წლიური ბიუჯეტის შედგენისას

■ თქვენ ასევე ზედამხედველობა უნდა გაუწიოთ ადმინისტრაციულ ასისტენტს, მათი მოვალეობების შესარულებისას.

*გამოცდილება და განათლება*

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

■ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ფინანსურ სფეროში, ან მისი ექვივალენტი;

■ ბუღალტერიის ან ფინანსურ სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება

■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა

■ კომპიუტერული პროგრამების MS Word-ის და MS Excel-ის კარგად ცოდნა.

**ადმინისტრაციული ასისტენტი**

*სამუშაო ადგილი: თბილისი*

*სამუშაოს აღწერა:*

როგორც ადმინსიტრაციულ ასისტენტს, თქვენ დაგევალებათ საქართველოში კომპანიის ოფისის საქმიანობის წარმატებით კოორდინირება.

*ფუნქციები და პასუხისმგებლობები:*

ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს:

■ ოფისის მუშაობის კოორდინირება, მდივნის ფუნქციის შესრულების ჩათვლით;

■ მგზავრობისა და მივლინებების ორგანიზება;

■ თანამშრომლების მუშაობის გრაფიკების წარმოება;

■ პირადი საკონტაქტო სიების შედგენა;

■ დოკუმენტების განაწილება;

■ კორესპონდენციის განაწილება, სატელეფონო და რადიო-შეტყობინებების მიღება;

■ დოკუმენტების შედგენა და ჩანაწერების წარმოება;

■ სტუმრებისა და კონტრაქტორების მიღება და დახმარება;

■ საჭიროებისამებრ - ადმინისტრაციული დახმარების გაწევა საქართველოში კომპანიის წარმომადგენლისათვის,

*გამოცდილება და განათლება*

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

■ ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3 წლის გამოცდილება

■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა;

■ კომპიუტერული პროგრამების MS Word-ის და MS Excel-ის კარგად ცოდნა.

**ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზის ზედამხედველი ვაკანსიები არის თბილისში, წალკასა და ბორჯომში**

*სამუშაოს აღწერა:*

თქვენს, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზის ზედამხედველის პასუხისმგებლობაში შევა მოცემულ ბაზაზე მომუშავე ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ჯგუფის ყველა თანამშრომლის ზედამხედველობა.

*ფუნქციები და პასუხისმგებლობები*

ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

■ აღჭურვილობის მონაცემთა ბაზის სისტემის მოწესრიგებული მუშაობის უზრუნველყოფა;

■ აღჭურვილობის პროფილაქტიკური მოვლა-მომსახურების სისტემის მუშაობის დაგეგმვა და განხორციელება დაღვრაზე რეაგირებისთვის საჭირო ყველა აღჭურვილობისთვის;

■ ბიუჯეტის დაგეგმვა;

■ პერსონალურ სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფიქსირება, თვალის მიდევნება და შესაბამისი ანგარიშგება, სპეციალურ პროექტებში მონაწილეობა და მეთვალყურეობა;

■ თქვენი ფუნქცია იქნება დაღვრილი ნავთობის წარმატებით მოცილება, სატრანსპორტო საშუალებებისა და რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობის შემოწმებისა და მოვლა-მომსახურების უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა.

*გამოცდილება და განათლება:*

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

■ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო მექანიკის ან მონათესავე სფეროში;

■ სასურველია გქონდეთ ინჟინერ-მექანიკოსად ან ინჟინერ-ელექტრიკოსად მუშაობის 3 წლის გამოცდილება

■ სასურველია საგანგებო რეაგირების გარემოში მუშაობის გამოცდილება

■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა

**ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სპეციალისტი ვაკანსიები არის თბილისში, წალკაში, ბორჯომსა და ბაკურიანში**

*სამუშაოს აღწერა:*

ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობისას თქვენი ფუნქცია იქნება დაღვრილი ნავთობის წარმატებით მოცილება, სატრანსპორტო საშუალებებისა და რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობის შემოწმება და მოვლა-მიმსახურება და გარემოს დაცვა.

*გამოცდილება და განათლება*

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

■ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო მექანიკის ან მონათესავე სფეროში;

■ სასურველია გქონდეთ ინჟინერ-მექანიკოსად ან ინჟინერ-ელექტრიკოსად მუშაობის 3 წლის გამოცდილება

■ სასურველია საგანგებო რეაგირების გარემოში მუშაობის გამოცდილება

■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენ გაქვთ რომელიმე ამ თანამდებობისთვის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება, გაგზავნეთ თქვენი ბიოგრაფია/CV ელექტრონულ მისამართზე: msheraton@azdata.net ან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის საინფორმაციო ცენტრში, მისამართზე: ბორჯომი, რუსთაველის ქუჩა 129.

**გთხოვთ მიუთითოთ, თუ რომელი თანამდებობის დაკავება გსურთ და რა ადგილას, თქვენი განაცხადის პირველ სტრიქონზე. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 13 აგვისტო, 2004 წ.**

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

## გახურებულ სახურავზე მოსეირნე კატა



B2

## ჩაპლარმა ვარჯიში დაგვიმალა

სლავიას მწვრთნელი "დინამოს" უფროსის



B4

## ქორწინება ჰოლივუდურად

პოპის სენსაცია ბრენდი და მისი საქმრო ჯერჯერობით ქორწილის თარიღს არ აცხადებენ



B8

# სადამის მოსამართლის სახე

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

რაიდ ჯუჰი ალ-საადი ჩვენს პლანეტაზე ალბათ ყველაზე "დაცული" მოსამართლეა. ბაღდადში მისი ოფისის წინ დერეფანი ავტომატური M-16-ით შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცებითაა სავსე. მისი კაბინეტის კართან პისტოლეტმომარჯვებული ერაყელი სპეცრაზმელები დგანან. გარეთ ჯავშნოსნებია ჩამომდგარი, რომლებითაც ის სამსახურიდან სახლში მიჰყავთ ხოლმე. სახლში მას ოჯახი ელოდება – ცოლი და სამი პატარა ბავშვი. ალ-საადის საცხოვრებელი სახლის კედლები საგანგებოდაა ბეტონით გამაგრებული, რომ რაკეტებისა და ჭურვების დარტყმას გაუძლოს.

საქმე ისაა, რომ ალ-საადი იმ სასამართლოს თავმჯდომარე იქნება, რომლის წინაშეც ტერორის, ტირანიის, საერთაშორისო დანაშაულების (გენოციდის ჩათვლით) თორმეტი მოციქული წარდგება, ერაყის ყოფილი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის თაოსნობით. მისი დიქტატურის 24 წლის განმავლობაში ათიათასობით ადამიანი იყო მოკლული და ნაწამები. სადამის "იდეების ერთგული" ერაყელი ბოევიკები, რომლებმაც ერაყის ახალი ადმინისტრაციის მრავალი მაღალჩინოსანი წარმომადგენელი უკვე დახოცეს, ახლა ალ-საადის ემუქრებიან, რომელიც მოღალატედ და ურჯულოდ ჰყავთ შერაცხული.

პირველად სადამი სწორედ 34 წლის ალ-საადიმ დაჰკითხა. მოსამართლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, და ამიტომ ამერიკისა და ერაყის ხელისუფლებმა მასმედიის წარმომადგენლებს მისი სახელისა და გვარის ხსენება აუკრძალეს. მაგრამ აი, ახალგაზრდა მოსამართლემ თავისი სახის გამოჩენა გადაწყვიტა. მან გაზეთ "ნიუ იორკ თაიმის" ბაღდადელ კორესპონდენტს საათნახევრიანი ინტერვიუ მისცა (ინტერვიუ 4 აგვისტოს გაიმართა და 7 აგვისტოს გამოქვეყნდა). თუმცა, ამ დროისთვის ალ-საადის ვინაობა ისედაც ყველასთვის ცნობილი იყო. სადამის დაკითხვის დროს გადაღებული მისი ფოტოსურათები ზოგიერთ ერაყულსა და უცხოურ გამოცემაში იყო გამოქვეყნებული. ზოგმა გაზეთმა, აკრძალვის მიუხედავად, მისი სახელი და გვარიც დაასახელა. მოკლედ, უპასუხისმგებლო პრესამ მოსამართლის ინკოგნიტობა დაარღვია. მაგრამ, ალ-საადის თქმით, მას ნიღაბი მხოლოდ ამის გამო არ მოუხსნია. "ეს კარგია, რომ ერაყელებს სადამისა და მისი რეჟიმის სხვა წევრების წასვლის ნახვის შესაძლებლობა ექნებათ. ისინი ახლა სასამართლოს წინაშე წარდგებიან, ჩემისთანა უბრალო ადამიანის წინაშე," – ამბობს ალ-საადი. (მოსამართლის მიერ ჰუსეინის დაკითხვა 26 წუთი მიმდინარეობდა და ტელევიზიით იყო ნაჩვენები, მაგრამ მოსამართლის პიროვნება იდენტიფიცირებული არ იყო – მ.ს.).

მოსამართლისა და ყოფილი დიქტატორის დაპირისპირებას სიმბოლური და იმავდროულად დრამატული ხასიათი ჰქონდა. სადამი მას თითს უქნევდა, ალ-საიდმა კი მშვიდად, მაგრამ მტკიცედ უთხრა, რომ ის ისე უნდა მოიქცეს, როგორც დამნაშავეს შეშვენის, და არა ისე, თითქოს კვლავ კანონიერი ხელისუფალი ყოფილიყო. მოსამართლისა და ბრალდებულის ამ დაპირისპირების შემდეგ ხუთი კვირა გავიდა. პროცესისთვის მზადებას კვლავ საიდუმლოების ფარდა ჩამოეფარა. ალ-საადი ამბობს, რომ სხდომები კვლავ გაიხსნება, იმის შემდეგ, რაც ყველა ბრალდებულის წინააღმდეგ აღძრული საქმე მომწიფდება და ის სასამართლოსთვის დოსიეს სავსედ წარდგენას შეძლებს. მისი თქმით, ამ საქმისთვის არანაკლებ ერთი წელი იქნება საჭირო, მანამდე კი თორმეტი ბრალდებული საზოგადოების წინაშე ალბათ არ წარდგება. რაც შეეხება თავად სადამს, მას კიდევ უფრო გვიან გაასამართლებენ. ერაყის თემიდის მსახური ამერიკელი მრჩევლები ვარაუდობენ, რომ თავის გადასარჩენად სადამის თანაშემწეები მისი დანაშაულების შესახებ გულახდილად დაიწყებენ ლაპარაკს, ეს კი, თავის მხრივ, დიქტატორის სასამართლოს წარმატებით წარმართვის საწინდარი იქნება.




სადამის დანახვაზე, სახელის გახსენებაზეც კი მის ყოფილ ქვეშევრდომებს აკანკალებთ.

ალ-საადი თვლის, რომ სასამართლოს დაწყების ვადა არც იმდენად მნიშვნელოვანია; მთავარი ისაა, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. "ჩვენ მის წინააღმდეგ საქმე აღვძარით და ბოლომდეც მივიყვანთ. როგორც ამბობენ, 10 ათას მილიანი მოგზაურობა პირველი ნაბიჯით იწყება, და ჩვენ ის გადადგმული გვაქვს," – თქვა მოსამართლემ. "შესაძლოა, მალე უფრო სწრაფად ვივლით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, სასტარტო ზღვარი უკვე გადალახული გვაქვს".

ამ დისტანციაზე ერთ-ერთი ძირითადი სირთულე სადამისა და მისი ამალისთვის ადოკატების პოვნაა. სადამი მართლმსაჯულების ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებს, სანამ ადვოკატი არ ეყოლება. ერთადერთ ღია სხდომაზე მან მისთვის ხელმოსაწერად მიცემული ქაღალდები დრამატულად მოიქნია და არაბულად შესძახა: "მორჩა!". დანარჩენმა თერთმეტმა კაცმა ქაღალდებს ხელი მოაწერა, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ადვოკატები მოითხოვეს და მათი კონკრეტული სახელები ჩამოთვალეს. ამ დამცველთაგან რამდენიმე ეგვიპტისა და იორდანიის მოქალაქეა. მაგრამ დასახელება ერთია და მიღება – მეორე. "ადვოკატები დღემდე ვერ ვიპოვნე – ვერც ერაყელები, ვერ იორდანიელები, საერთოდ, ვერავინ ვნახე, ვინც მათ დაცვაზე დათანხმდებოდა. როცა მივმართავ ხოლმე, ისინი უარს არ მეუბნებიან, მაგრამ ამბობენ: "უკაცრავად, ახლა არ შემიძლია, ახლა – არა," – ჰყვება მოსამართლე. როცა მას ჰკითხეს, მიმართა თუ არა იორდანიელ ადვოკატებს, რომელთაც სადამის დაცვის ფონდი შექმნეს, მოსამართლემ უპასუხა: "მხოლოდ ერთმა იორდანიელმა ადვოკატმა მკითხა, შეიძლება თუ არა სადამის დამცველი ვიყოო. მე ვუპასუხე: "ნება თქვენია!" მას შემდეგ მისგან არაფერი მსმენია". თუ თანხმობა ბრალდებულთა მიერ დასახელებულმა არცერთმა ადვოკატმა არ განაცხადა, მოსამართლე დამცველებს თავად დანიშნავს.



ის ისე უნდა მოიქცეს, როგორც დამნაშავეს შეშვენის, და არა ისე, თითქოს კვლავ კანონიერი ხელისუფალი ყოფილიყო.

ჯერჯერობით კი მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს. ალ-საადის მაგიდაზე ქაღალდის მთებია აღმართული. "აი, ეს დოსიე, "ჰალაბჯა", 1988 წელს ქიმიური იარაღით 5 ათასი ქურთის მოწამვლას ეხება. ეს დოსიე, "ბარზანი" – 1980-იან წლებში ბარზანის კლანის ასობით წარმომადგენლის მკვლელობას. ეს კი სამხრეთ ერაყში აჯანყებული ათიათასობით შიიტის მკვლელობის საქმეა," – ჰყვება მოსამართლე.



ეს ერაყელი ბავშვები არიან, ვაშინგტონი კი თვლის, რომ მთელი მსოფლიო მისია.

რაიდ ჯუჰი ალ-საადის პიროვნება ერაყელთა პოლარიზაციას იწვევს. ზოგნი აქებენ, ზოგნი კი – სადამის მომხრეები – ანათემას გადასცემენ. დამხობილი დიქტატორის მოწინააღმდეგეები იმან მოხიბლა, რომ მოსამართლეს ელეთ-მელეთი არ მოსცვლია სადამის დანახვაზე, რომლის სახელის გახსენებაზეც მის ყოფილ ქვეშევრდომებს აკანკალებთ. მაგალითად, როცა დაკითხვის დროს სადამმა კუვეიტის ლიდერებს "ცხოველები" უწოდა, რომელთაც ერაყელი ქალების "ათდინარიან მეძავებად" გადაქცევა უნდოდათ, მოსამართლემ მას სიტყვა შეაწყვეტინა და უთხრა: "შეურაცხმყოფელი გამოთქმებისგან თავი შეიკავეთ".

გაზეთის კორესპონდენტი დაინტერესდა, ღელავდა თუ არა მოსამართლე სადამთან პირველი შეხვედრის დროს. ამ კითხვამ ალ-საადი დააფიქრა. "სიმართლე გითხრათ, სასამართლო დარბაზში მოსამართლე მე ვიყავი და, შესაბამისად, ძალაუფლება ჩემს ხელთ იყო და არა სადამის ხელში; როგორც მოსამართლეს, ფაქტებთან მაქვს საქმე. როცა სადამი სხდომათა დარბაზში შემოვიდა, ვიფიქრე: ეს ბრალდებულია. ჩემს ხელთ საბუთებია; მე მოწმეები მყავს; მე საქმის მოსმენა მმართებს. სხვაგვარად რომ მეფიქრა, მაგალითად: "ამ ხალხმა ჩემი მრავალი ათასი თანამემამულე დახოცა", ჩემს მოვალეობებს ვერ შევასრულებდი"...

როცა სადამი სხდომათა დარბაზში პირველად შევიდა, ის დეზორიენტირებულისა და დაშინებულის შთაბეჭდილებას ახდენდა. როგორც ჩანს, ეგონა, რომ სწრაფად გაუსწორდებოდნენ – თავად ხომ ყოველთვის ასე იქცეოდა. ასეთივე იყო მისი ამალის – პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ტარეკ აზიზის, "ქიმიური ალის", ანუ ალი ჰასან-ალ-მაჯიდას და დიქტატორის ორი ბიძაშვილის რეაქციაც. კორესპონდენტმა მოსამართლეს ჰკითხა, სადამს ადგილზე დახვრეტის ხომ არ ეშინოდაო? "შესაძლებელია," – უპასუხა მოსამართლემ. – "მაგრამ როცა მიხვდა, რომ ეს მხოლოდ წინასწარი მოსმენაა, მან თავი უმალვე ძლიერად იგრძნო"...

ერთდერთი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემაზე ალ-საადიმ კატეგორიული უარი განაცხადა, სადამის ამჟამინდელი ადგილსამყოფელის მდებარეობას შეეხებოდა. "ამაოდ ნუ დაშვრებით და ამ კითხვას ნუ დამისვამთ," – ჩაიცინა მოსამართლემ. "შეგიძლიათ ზემოდან ქვემოთ მკითხოთ, ჩრდილოეთიდან - სამხრეთით, აღმოსავლეთიდან - დასავლეთით. მაინც არ გიპასუხებთ. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ ჩვენი სასამართოს იურისდიქცია მთელ ერაყს სწვდება – ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, და ამიტომ ეს ხალხი შეგვიძლია იქ გვყავდეს დაპატიმრებული, სადაც მოვისურვებთ, ნებისმიერ ადგილას".

ამაყი სიტყვებია, მაგრამ არცთუ ზუსტი. სადამი და მისი მესვეურები ერაყის მართლმსაჯულების ხელში მხოლოდ იურიდიულად არიან. ფიზიკურად ისინი ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა ხელთ არიან, რომლებიც მათ ისევე იცავენ, როგორც რაიდ ჯუჰი ალ-საადის, და ისიც არაა გამორიცხული, რომ ზოგჯერ ამ მთავარ დამნაშავეებს ამერიკელთა დაცვის ქვეშ ერაყის საზღვრებს გარეთ გაიყვანენ ხოლმე. მათ, როგორც ჩანს, ჩრდილოეთსა და სამხრეთში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში გაიყვანენ, ვინაიდან ვაშინგტონი თვლის, რომ მთელი მსოფლიო მისია.



"ამ კაცმა ჩემი მრავალი ათასი თანამემამულე დახოცა".

# ეს იყო პირველად

## საყოველთაო პრივატიზაცია ზრდილობასაც შეეხო

ვერა ნეფარიძე

*ქართული ტელედებატების ისტორიაში პირველად შეიგინეს. მხოლოდ ეკონომიკის მინიტრს ეყო "სითამამე", "გამბედაობა", დაერღვია ნორმა. "ყველაფერი იყიდება ნამუსის გარდა", - მოსკოვიდან ახლად ჩამოსული ბენდუქიძის ცნობილი ფრაზა გუშინ ლიტერატურულ კაფეშიც გაიხსენეს. როგორც ჩანს, საყოველთაო პრივატიზაცია საქართველოში ნელ-ნელა ყველაფერს ეხება...*

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (ალბათ, უფრო საბედნიეროდ), გუშინწინდელი კადრები, რამაც ჩვენს საზოგადოებაში სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, არ მინახავს. მაგრამ ერთი კია, ძალიან გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ აქამდე ქართული ტელედებატების, "მრავალჭირნახული" და "გამოცდილი" ეპოპეის განმავლობაში, თურმე არავის შეუგინებია. რატომღაც ისიც გამიხარდა, რომ "ნავსი" მაინც, "ჩრდილოეთში გამოცდილებამიღებულმა" გატეხა, ჩვენთან კი მსგავსი ყოფა-ქცევა თურმე ჯერ არ იმსახურებს ოდნავ სიმპათიას.

გუშინწინ "მზის" (ამჯერად პირველობა ნამდვილად ერგო ამ ტელეკომპანიას) ეთერში მომხდარი, გუშინ ფართო საზოგადოების განხილვის საგანი გახდა. იშვიათად, მაგრამ მოვუსმინე განსხვავებულ მოსაზრებასაც. როდესაც გუშინ "ლიტერატურულ კაფეში" რამდენიმე აღშფოთებულმა ახალგაზრდამ ეკონომიკის მინისტრის საქციელზე რეაქციის მიცემა გადაწყვიტა, ზოგიერთებმა ეს ზედმეტობად აღიქვეს. მოტივი ძირითადად ასეთი იყო: ყველაფერს ცუდს ტელევიზიიდან ვიგებთ და ვუყურებთ და გინება რატომ გახდა ასეთი განსაკუთრებული ყურადღების საგანიო? – მხოლოდ იმიტომ, რომ არ დამკვიდრდეს და როგორც არანორმალურ მოვლენას, მიეცეს გარკვეული შეფასება; მეტი არაფერი. რაც შეეხება მოტივს – თუკი ვამბობთ, რომ ტელევიზიით ცუდს ვხედავთ, უკვე შეფასება "ცუდი", თავისთავად ნიშნავს, რომ არაა მოსაწონი. ეს კი ნამდვილად არაა საბაბი, რაც შეიძლება მეტი ცუდი მივამატოთ უკვე არსებულს, რასაც ისედაც ზღვარი არ აქვს. და კიდევ: თავისთავად არასწორია, როდესაც ფილმებს ვადარებთ დებატებთან, რომელიც ღამის საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემის რანგში გადის; ხოლო, ოპონენტის სახით ადამიანი ცალკეულ პიროვნებას კი არა, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს პასუხობს, მით უმეტეს, როდესაც ეს ოპონენტი მაჟორიტარი დეპუტატია. სწორედ ამიტომაც რეაქციამ გუშინწინდელზე არ დააყოვნა. "ლიტერატურული კაფე" ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმომადგენლებს მასპინძლობდა. აღშფოთებული ლაშა ბუღაძე, დათო საყვარელიძე, ბასა ჯანიკაშვილი, გია ჭანტურია და გიორგი გაჩეჩილაძე კაფეში ნელ-ნელა იკრიბებოდნენ; ჯერ ხუმრობდნენ ("пошел ты на ... – ჩემ შემდეგ წიგნს ეპიგრაფად უნდა წავუმძღვარო", - ხალისობდა ლაშა ბუღაძე), თუმცა განწყობა არ უნელდებოდათ.



*ისინი ეკონომიკის მინისტრმა აღაშფოთა.*

პირველი საყვედურები და მოთხოვნები მასმედიის მისამართით გაისმა. "ამ დროს საერთოდ, ეთერი უნდა გაეთიშათ; ან ჟურნალისტს არ უნდა მიეცა მინისტრისთვის საუბრის უფლება", - პრეტენზიები მასმედიის მიმართ ძირითადად ლაშა ბუღაძემ და დათო საყვარელიძემ გამოთქვეს. "ზოგადად მიუღებელია ის დამოკიდებულება, რომელიც ამ ადამიანს აქვს დეპუტატების, ჟურნალისტების და საზოგადოების მიმართ. ძალიან არ მოგვეწონა, როდესაც ბენდუქიძეს შეაფურთხეს, მაგრამ მისი გუშინდელი ქმედება ყოველგვარ ზღვარს სცდება", - თქვა დრამატურგმა ბასა ჯანიკაშვლმა. "სულ მცირე, ბოდიში უნდა მოიხადოს საზოგადოების წინაშე. გუშინ ის მხოლოდ ოპონენტს არ მიმართავდა. მისი შეურაცხმყოფელი ეპითეტები, რითაც ის ხშირად ჟურნალისტებს მიმართავს, შეიძლება ვიღაცას ნორმა ეგონოს. ესაა თვითდამკვიდრების ძალიან მახინჯი ფორმა, რასაც ბენდუქიძე ეწევა", - გააგრძელა ლაშა ბუღაძემ. შემდეგ გაიხსენეს ეკონომიკის მინისტრის ცნობილი ფრაზაც - "ყველაფერი გაიყიდება ნამუსის გარდა", რაზეც გიორგი ჭანტურიამ თქვა: "როგორ მიჯნავს ერთმანეთისგან ნამუსსა და ზრდილობას ბენდუქიძე, შეუძლია განგვიმარტოს". რეჟისორმა დათო საყვარელიძემ კი ეჭვქვეშ დააყენა ისეთი ადამიანის მინისტრობა, როგორიც ბენდუქიძეა: "დამაფიქრებელია და სახიფათო, როდესაც საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გაუწონასწორებელია"; "მით უმეტეს პრივატიზაციის პერიოდში", - ეს ხუმრობა, მგონი, უკვე ისევ ლაშა ბუღაძეს ეკუთვნოდა. ყველაზე უხერხულ მდგომარეობაში გუშინდელ შეხვედრაზე "უცნობი" იყო; ორმაგად და სამმაგად აღშფოთებულს (როგორც თვითონ თქვა) მომხდარზე კომენტარისას პარალელების გავლება მოუხდა: "კახა ბენდუქიძე გოგოლის "რევიზორს" მაგონებს. საქართველოში ყველა უვიცი ჰგონია. ბოდიში მოიხადოს, თუ ასე ფიქრობს. დღეს საქართველოს სიყვარული სჭირდება და არა სიძულვილი, რომელიც ამ ადამიანს გააჩნია ჩვენ მიმართ".

# ფაქიზად მოსავლელი პრობლემა

ვერა ნეფარიძე

*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა მძიმე მდგომარეობაშია, ესაა მწარე სიმართლე, რომლის დამალვას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დამცველები არ აპირებენ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ამ სფეროში არსებული საგანგაშო მდგომარეობა გუშინ კიდევ ერთხელ შეგვახსენა.*

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების მიწვევის მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა. მინისტრის მოადგილემ იმ რამდენიმე პროექტის შესახებაც გვაცნობა, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებულია. ასევე, გაგვაცნო სამინისტროს უახლოესი გეგმები. საუბარი კი უმეტესად ვარძიის კომპლექსს შეეხო. სამინისტროში ოპერატიულად გამოეხმაურნენ "რუსთავი 2 -ის" საინფორმაციო პროგრამა "კურიერის" გუშინწინდელ სიუჟეტს, რომელიც ვარძიის პრობლემების შესახებ მოგვითხრობდა. ნიკა ვაჩეიშვილმა მადლობა გადაუხადა მასმედიას ჩვენი კულტურული ძეგლების მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამო და ისიც განმარტა, თუ რატომ გვჭირდება განსაკუთრებული სიფაქიზე ამ პრობლემებთან შეხებისას.

მინისტრის მოადგილემ არ დამალა, რომ ვარძიასთან ერთად, მსგავს მდგომარეობაშია კულტურული მემკვიდრეობის უამრავი ძეგლი საქართველოში. "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა არის მძიმე. ესაა სიმართლე, რომელსაც ბევრჯერ ვიტყვით. უმრავლეს შემთხვევაში, ამ ძეგლებისთვის დახმარება გადაუდებელი ხასიათისაა. სარეაბილიტაციო სამუშაოები ითხოვს დროსა და განსაკუთრებულ სიფაქიზეს". ფინანსები კი, ვაჩეიშვილის თქმით, თანდათანობით ჩნდება.

ვარძიაში პრევენციული და გადაუდებელი სამუშაოებისთვის საგანგებო ჯგუფი სექტემბერში ჩავა; უფრო კონკრეტულად კი, მაშინვე, როდესაც ამისთვის შესაფერისი სეზონი დადგება (ალპურ ზონასთან მიახლოებულ ტერიტორიაზე ზაფხულში მსგავსი სამუშაოები შეუძლებელია). მუშაობა დაიწყება იმ პროექტის საფუძველზე, რომელსაც სამინისტროში ორი თვის განმავლობაში ამუშავებენ. ვარძიის კომპლექსის გადაუდებელ სამუშაოებში შედის: ჩამომავალი წყლებისა და ნალექების გადამყვანი სისტემის შეკეთება; მთასვლელები გაწმენდენ კომპლექსის ზედა კლდის – ე.წ. კონგლომერატის ფენას ქვის გამონაზარდებისგან; უნდა ამოივსოს საშიში ბზარები; აღსადგენია ქვის შემაკავებელი ჯებირები. თუმცა, როგორც ვაჩეიშვილმა თქვა, იმ ტიპის სამუშაოები, კომპლექსს ყოველწლიურად სჭირდება (უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში კი მხოლოდ ერთხელ შესრულდა). რაც შეეხება თანხას, საწყის ეტაპზე 10-12 ათასი ლარია გათვალისწინებული; სამომავლოდ, არ იქნება პრობლემა უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობაც. ამჟამად სამინისტროს უპირველესი მიზანია, ბუნებრივი საფრთხის რისკი დაიყვანონ მინიმუმამდე.



*ვარძიაში გადაუდებელი სამუშაოებისთვის საგანგებო ჯგუფი სექტემბერში ჩავა.*

ნიკა ვაჩეიშვილმა ვარძიის გარდა, ჟურნალისტების ყურადღება გაამახვილა უფლისციხის ანტიკური და შუასაუკუნეების ნაქალაქარზე, რომელიც არანაკლებად საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას. სამინისტროში იმედოვნებენ, რომ წელს აქაც დაიწყებენ გადაუდებელ სამუშაოებს; დაგეგმილია მუშაობის დაწყება გუდარეხის მონასტერში; ასევე უბისაში... იგივე უწყება, იმედია, მალე მოგვცემს ინფორმაციას ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ზემო იმერეთის კულტურული ძეგლების შესახებ. "მსოფლიო ხელოვნების ეს ნიმუშები ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია", - გვითხრა მინისტრის მოადგილემ.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე, ნიკა ვაჩეიშვილთან ერთად, კახა ტრაპაიძემაც ისაუბრა პრობლემაზე, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში; ესაა ძეგლების შესახებ არასრული ინფორმაციის არსებობა. ამიტომ, სამინისტროში უახლოეს მომავალში დაიწყებენ საინფორმაციო ბანკის შევსებას. ამ მიმართულებით, დაგეგმილია ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის გაკეთება და პასპორტიზაცია; ამ რეგიონში მუშაობას დაახლოებით ათი დღის ვადაში დაიწყებენ. სანკტ-პეტერბურგში კი ქართული მოხატული ხელნაწერების აღრიცხვა მოხდება. დასასრულს, მინისტრის მოადგილე შეგვპირდა, რომ მსგავსი სახის ინფორმაციას ხშირად მოგვავწდის. სექტემბერში კი ყველა ერთად ვარძიის კომპლექსის გადაუდებელი სამუშაოების დაწყებას დავესწრებით.

# გახურებულ სახურავზე მოსეირნე კატა

ჰოლი ბერიმ, "ბონდის გოგომ", თავისი პრობლემის გადაწყვეტის უმარტივეს გზას მიაგნო. "ავიღებ და მამაკაცს, რომელთან ერთადაც ერთი-ორჯერ გავისეირნებ, პირდაპირ ვკითხავ," მოახსენა 38 წლის ჰოლი ბერიმ ჟურნალ TV Movie-ს კორესპონდენტს. მას კითხვის ფორმა უკვე ჩამოუყალიბებია: "ჰეი, შენ, არ გინდა, შვილი გაგიჩინო? მე ხელს მოვაწერ საბუთს, რომ შენგან ცენტიც არ მინდა და აბსოლუტურად არანაირ პასუხისმგებლობას არ გაკისრებ. ბავშვი მინდა, ესაა და ეს".

ჰოლი სულ უფრო მძაფრად განიცდის, რომ ქმარს, ერიკ ბენეტს დასცილდა. "გული მიკვდება, რადგან მეგონა, რომ იდეალური წყვილი ვიყავით. ერიკი ყველაზე კარგი კაცია, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი," - თქვა მან.

და ამას ამბობს "ქალი-კატა", რომელიც სიკეთის გამარჯვებისთვის იბრძვის, ქალი-კატა, რომელიც ამ საქმეში თვით ბეტმენსა და სპაიდერმენსაც არ ჩამორჩება!

ამერიკელი რეჟისორი კევინ სმიტი, ამ საქმის უბადლო მცოდნე, ამტკიცებს, რომ როცა საქმე მდედრობითი სქესის კომიქსის გმირებს ეხება, მთავარია, "აზღუდი ათასგვარი სიკეთით ჰქონდეთ სავსე" – ესაა და ეს. შესაბამისად, "ქალი-კატა", ჰოლივუდის ბოლო კომიქსის ეკრანიზაცია, აუცილებლად ბლოკბასტერი გახდება – სამი წლის წინათ ერთი ციდა ბიკინიში გამოწყობილმა ჰოლი ბერიმ ფილმში "ჯეიმს ბონდი 007 – მოკვდი სხვა დღეს" მაყურებელზე უკვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საერთოდ, ჰოლის წარმატებაში ეჭვი არავის ეპარება. მან ორი წლის წინათ "ოსკარი" მიიღო, ორივე X-Men-ში – კომიქსის ორ ყველაზე წარმატებულ ეკრანიზაციაში მუტანტი ქალის როლიც შეასრულა. ახლა კი, ყველა სიკეთესთან ერთად, ფილმის მხატვრებმა ჰოლი ბერის სრულიად საოცარი კოსტიუმი ჩააცვეს, ერთგვარი შუალედური სტადია ფეტიშ-ფართის, კრისტინა აგილერას სასცენო კოსტიუმსა და კიოლნის კარნავალის გმირს შორის. ჰოლი ბერის ეს სასწაული ტანსაცმელი ძალიან უხდება.

ოთხი კვირის განმავლობაში მაყურებლის ცნობისმოყვარეობას მხოლოდ ფოტოსურათებითა და ცალკეული ეპიზოდებით აკმაყოფილებდნენ, და საზოგადოება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუდიმენტულ კატის კოსტიუმში გამოწყობილი ჰოლის ნახვა ნამდვილად ღირს. სარეკლამო მიზნით ათასგვარი სულელური, მაგრამ აღმგზნები ჭორიც გავრცელდა: გადაღებების დროს ჰოლის კოსტიუმი არაერთხელ შემოასკდაო (ხან სად და ხან სად); ჰოლიმ თქვა, ამ როლის დახმარებით თავდაჯერებული ქალი გავხდიო; ამ სამოსის წყალობით ნათელი ხდება, რომ ჰოლი ქალი კი არა, ნამდვილი კატააო. დაგვირგვინება მთლად საოცარი იყო: სულ მალე ახალი ბარბი გაიყიდება, "კატა-ბარბი".



*ოთხი კვირის განმავლობაში მაყურებლის ცნობისმოყვარეობას მხოლოდ ფოტოსურათებითა და ცალკეული ეპიზოდებით აკმაყოფილებდნენ.*

მათთვის, ვისაც მხოლოდ ჰოლის გულ-მკერდი არ აინტერესებთ, სპეციალური ეფექტები არსებობს. "ქალი-კატასთვის" ეს ამოცანა ფრანგ ჟან-კრისტოფ კომას დაეკისრა, დიდებულ ოსტატს.

გარდა ამისა, "ქალი-კატა" მხოლოდ მკერდი და სპეცეფექტები არაა. თავდაპირველი ქალი-კატა, რომელიც ბობ კენიმ გამოიგონა, ფრანკ მილერმა "გაათანამედროვა" და ცოტა ხნის წინათ ედ ბრაბეკერმა დახვეწა, საკმაოდ საეჭვო ზნეობის მქონე საბედისწერო ქალია, რომელსაც მეტისმეტად უყვარს სამკაულები, სოციალურ ფსკერზე მყოფი ხალხი და ბეტმენი. უკვე ორმოცი წელია, ის ჩვენს რეალობაში შემოჭრილი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სადავო არსება ბრძანდება. ქაღალდიდან ეკრანზე მან პირველად 1992 წელს ისკუპა: "ბეტმენის დაბრუნებაში" მისი როლი მიშელ პფაიფერმა შეასრულა, და შავ ლატექსის კოსტიუმებში გამოწყობილი ეს მაცდური ფსიქოპატი მთელი მსოფლიოს მამაკაცთა გულყრას იწვევდა.

მაშინდელი ქალი-კატა მთლად ისეთი იდუმალი არსება არ იყო, როგორიც ახლა მოგვევლინება. დღევანდელ ქალ-კატას კომიქსის პერსონაჟთან ბევრი აღარაფერი აკავშირებს. სულ სხვა ამბავია: ერთი მფრთხალი, მოკრძალებული გრაფიკოს-დიზაინერი კოსმეტიკის კონცერნში მუშაობს, და უცებ აღმოაჩენს, რომ დაბერების წინააღმდეგ გამოგონილი კრემი კანისთვის უაღრესად მავნებელია. სანამ საბრალო ამ ამბის საზოგადოებისთვის შეტყობინებას მოასწრებს, მას საკუთარი უფროსი კლავს, და მის მოკლულ სხეულში ეგვიპტური კატა შესახლდება. ჰოდა, კატის გამძლეობით, მეტისმეტად სექსუალური კოსტიუმითა და მათრახით აღჭურვილი ქალი შურისძიებას იწყებს და თავის მკვლელებს დაერევა. სახეგაშეშებულ და წარბშეუხრელ კონცერნის ხელმძღვანელს შერონ სტოუნი თამაშობს.

"ძველ ქალ-კატასთან ყოველგვარი მსგავსების აღმოფხვრა გვინდოდა," – თქვა ჰოლი ბერიმ. ამბობენ, რომ ეს კარგად გამოუვიდა, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ფილმს ამით არაფერი მოუგია. საერთოდ, ის კრიტიკოსები, ვინც ფილმი უკვე შეისწავლეს, თვლიან, რომ ეს სულელური და კლიშეებით სავსე ნაწარმოებია, თუმცა, იმასაც აღიარებენ, რომ მაყურებელი მაინც კმაყოფილი დარჩება – ჰოლი ბერი მეტისმეტად მადისაღმძვრელად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, "ვორნერების" ინვესტიცია – 100 მილიონი დოლარი – ნამდვილად გამართლებული იქნება, და მეტი რაღა...

ამერიკული ისტორია

# ყვავილთა შვილები

მაგდა ანიკაშვილი

პირველი ჰიპები 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდნენ. ისინი იყვნენ ახალგაზრდები, რომლებსაც ოჯახური ტრადიციებისა და აღზრდის მიხედვით, სულ სხვა ცხოვრების გზა უნდა გაევლოთ. ისინი უმეტესად შეძლებული საშუალო ფენის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ პირველი, რაც გააკეთეს, იყო ის, რომ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს წარსულთან, მიატოვეს სახლები, უნივერსიტეტები, სამსახურები და ნამდვილი ცხოვრების, ჭეშმარიტების ძიება დაიწყეს. ჰიპები დაუპირისპირდნენ ცხოვრების იმ მოდელს, რომელსაც მათ სახელმწიფო სთავაზობდა: განათლების მიღება, შემოსავლიანი სამსახური, წინსვლა კარიერაში და საბოლოოდ საპატიო ადგილის დაკავება არსებულ საზოგადოებაში, მის გაძლიერებაზე და განმტკიცებაზე ზრუნვა. ეს არ აღმოჩნდა მისაღები ახალი თაობის უდიდესი ნაწილისათვის, რომელიც თვლიდა, რომ მათი მშობლების ცხოვრება ფუჭი შფოთი და არაფრისმომცემი ფუსფუსი იყო. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მშვიდობა და სიყვარული გახდა. ბუნებასთან კონტაქტი, ერთმანეთის დახმარება და საკუთარი თავის მშვიდად შეცნობა, ადამიანის აღმოჩენა, როგორც დიდი სამყაროს შემადგენელი პატარა დეტალისა, გარკვევა იმისა, შეუძლია თუ არა მას ბუნებასთან ჰარმონიული არსებობა, ისე, რომ არაფერი ავნოს გარემოს და საკუთარ თავს.

ჰიპებს უკვე 60-იანი წლების დასაწყისიდან ყველგან აწყდებიან ამერიკის კანონმორჩილი მოქალაქეები. მათ აშინებთ ამ ყველაზე მშვიდობიანი, მაგრამ სისტემისთვის ყველაზე საშიში ადამიანების დანახვა. მათი ცნობა ქუჩაში ძალიან ადვილია. ჰიპები ხომ თავის მსოფლმხედველობას, პირველ რიგში, ცხოვრების წესში, გარეგნობასა და ქცევაში ავლენენ. უბრალო ტანისამოსი, შეიძლება დახეულიც კი, ჯინსის შარვალი, რომელიც ამერიკელ მუშათა უნიფორმაა. მაგრამ, მათი ნამდვილი სიმბოლო გრძელი თმა ხდება. ქალებსაც და მამაკაცებსაც წელამდე გაშლილი თმა აქვთ, როგორც ბუნებრიობის ნიშანი და სისტემასთან დაპირისპირების ძლიერი იარაღი. ეს ნიშნები მოგვიანებით სტერეოტიპად გადაიქცევა და მოდის ინდუსტრიისთვის საუკეთესო საჩუქარი გახდება, მაგრამ ჯერ ახალგაზრდები გულწრფელად მიემართებიან სან ფრანცისკოსკენ, დასავლეთ სანაპიროს დედაქალაქისაკენ, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში ნამდვილი "საგიჟეთი" იყო.

ეს ქალაქი მართლაც განსხვავდებოდა მაშინდელი ამერიკისგან. იქ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ნონკონფორმისტულად განწყობილი ახალგაზრდების მთელი ჯგუფები ჩადიან. ისინი იმდენად ბევრნი არიან, რომ განწყობა ქუჩაშიც იგრძნობა. ღამით ყველა კლუბი სავსეა, არავის არ სძინავს, არავინ მუშაობს, მუსიკა, სექსი და ნარკოტიკი ყველაფერზე მნიშვნელოვანია. "**ყველგან სიგიჟე იყო, ნაპერწკლები ცვიოდა. გვქონდა სამყაროს აბსოლუტური შეგრძნება. ვგრძნობდით, რომ რასაც ვაკეთებთ, სწორია, რომ ჩვენ ვიმარჯვებთ ბოროტებაზე, წარსულზე, ომზე. რა თქმა უნდა, არა სამხედრო გაგებით; იმარჯვებდა ენერგია, თითქოს ულამაზესი და უდიდესი ტალღის წვერზე ვიყავით**" - ეს 60-იანი წლების ცნობილი ჟურნალისტის, ამ მოვლენების აქტიური მონაწილის ჰანტერ ტომპსონის სიტყვებია.

თუმცა, კონცენტრაცია მხოლოდ ერთ ქალაქში არ ხდებოდა. ჰიპური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი მომენტი ხეტიალი იყო. გზა, რომელიც მათ მწერალმა ჯეკ კერუაკმა დაუსახა. მალე ჯგუფები მთელ ამერიკას მოედნენ. ისინი მოგზაურობდნენ, ჩერდებოდნენ პატარა ქალაქებში, ან მინდვრებში ათევდნენ ღამეს. თან მშვიდობა და სიყვარული მოჰქონდათ. და თითქოს ახდა კიდეც ჯეკ კერუაკის ოცნება "ზურგჩანთიანთა რევოლუციაზე".

ჰიპები ერთ ადგილასაც სახლდებიან, აყალიბებენ კომუნებს, სადაც ცდილობენ შექმნან ნამდვილი სამოთხე დედამიწაზე. არ იცავენ დოგმებს, არ არის ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტი. აჩენენ შვილებს და მათ სრულ თავისუფლებაში, აკრძალვების გარეშე ზრდიან. ამგვარი კომუნა 60-იანი წლების ბოლოსთვის 4 ათასამდეა ამერიკაში. მაგრამ მათ დიდხანს ვერ იარსებეს, მიზეზები ბევრი იყო: მატერიალური პრობლემები, აგრესია უცხოთა




ჰიპებს უკვე 60-იანი წლების დასაწყისიდან ყველგან აწყდებიან ამერიკის კანონმორჩილი მოქალაქეები.



ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იკრიბებოდნენ ახალგაზრდები როკ-ფესტივალებზე, რაც მათი იდეების, ცხოვრებისა და ეპოქის სიმბოლოდ იქცა.

მხრიდან, მათ ხშირად თავს ესხმოდნენ მეზობელ ქალაქთა მაცხოვრებლები. მაგრამ, მთავარი, ალბათ, ის იყო, რომ სამოთხის შექმნა დედამიწაზე უტოპიაა.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად ჰიპების ყველაზე მშვიდობიანი განწყობისა, საერთო ეიფორიაში საკმაოდ აგრესიული კრიმინალური დაჯგუფებებიც შეიქმნა. ამერიკის გზებზე მოხეტიალე ბაიკერთაგან ბევრი მშვიდად ჩაუვლიდა პატარა ქალაქებს, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არბევდნენ მოსახლეობას.

ამ დროს შეიქმნა რამდენიმე ტერორისტული ჯგუფი, შეიქმნა სექტები, რომლებშიც ერთიანდებოდნენ ახალგაზრდები და ყველა რიტუალი უმსხვერპლოდ არ მთავრდებოდა. მაგრამ, მთავარი მაინც ჩარლი მენსონის "ოჯახის" შექმნაა. მას ბევრ სასტიკ დანაშაულს მიაწერენ, მათ შორის ცნობილი რეჟისორის რომან პოლანსკის მეუღლის, მსახიობ შარონ ტეიტის მკვლელობას. მენსონის ფენომენი დღემდე აუხსნელია. მიუხედავად იმისა, რომ "ოჯახი" დიდი ხანია დაშალეს და თავად მენსონი სამუდამო პატიმრობაშია, ის მაინც აღელვებს ბევრ ადამიანს. აცხადებს, რომ ნების სიძლიერის წყალობით ის თავისუფალია და თავის მომხრეთა შორისაა. მომხრეები კი არც ისე ცოტა ჰყავს. ასევე აუხსნელია, თუ რა ძალით იმორჩილებდა ის თავისი გუნდის წევრებს, მდიდარი ამერიკელების შვილებს.

მაგრამ ეს ფაქტები არ გვაძლევს უფლებას დავგმოთ თავად ჰიპების ფილოსოფია, რომელიც მთლიანად ანტიძალადობრივია. all you need is love (თქვენ მხოლოდ სიყვარული გჭირდებათ) - იმეორებდნენ ისინი "ბითლზის" პოპულარული სიმღერის სიტყვებს და ამტკიცებდნენ კიდეც ამას. იმ პერიოდში არაერთი დიდი შეკრება მოეწყო - summer of love (სიყვარულის ზაფხული), როგორც უწოდებდნენ მათ. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იკრიბებოდნენ ახალგაზრდები როკ-ფესტივალებზე, რაც მათი იდეების, ცხოვრებისა და ეპოქის სიმბოლოდ იქცა. მათგან კი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1969 წელს გამართული ვუდსტოკის სამდღიანი ფესტივალი.

# სამურაები - ტატუს ხელოვნების გმირები და ოსტატები

მადი სერებრიაკოვა

*საშუალო სტატისტიკური ქართველის ცნობიერებაში ტატუ კრიმინალური წარსულის მქონე საკმაოდ დაბალი ინტელექტის პერსონაჟებთან ასოცირდება, რომელსაც ბეჭზე ამაყად* "Не Забуду мать родную"*, ან რაიმე მსგავსი ექნებოდა ამოტვიფრული. ბოლო წლებში (ამ სეზონზე განსაკუთრებით), ტატუმ ჩვენში ახალი სიცოცხლე შეიძინა და წელისა თუ თეძოს მიმდებარე ტერიტორიაზე შესრულებული ყვავილისა ან პეპელას გამოსახულება "ნაშების" განახლებული სოციალური ფენის უცილობელ სიმბოლოდ იქცა. არადა ტრადიციულად, ტატუ ღრმა მხატვრულ და ფილოსოფიურ დატვირთვას ატარებდა. იაპონიაში იგი სამურაების ტრადიციების განუყოფელი ნაწილი იყო.*

იაპონურად ტატუს "გამენ"-ს ეძახიან, რაც მონდომებას, სიჯიუტეს ნიშნავს. ხასიათის სიმტკიცე, ნიჭი, გამძლეობა, მოთმინება, სიბრძნე, სიმამაცე – ეს მხოლოდ ნაწილია იმ თვისებებისა, რომელსაც იაპონური ტატუს ოსტატი და მისი კლიენტი უნდა ფლობდეს. ტრადიციული იაპონური ტატუს სხეულზე გამოხატვა ზოგჯერ 10-წლიან დაუღალავ შრომასა და ფიზიკური ტკივილების ატანას გულისხმობს. შემთხვევითი არ არის, რომ იაპონური ტატუს გამოჩენილი ოსტატები და მათი ნამუშევრების გმირები ისტორიულად სამურაები იყვნენ.

ტატუს ხელოვნებას იაპონიაში კიდევ ერთი სიტყვა "ბუშიდო" განსაზღვრავს. "ბუშიდო" – სამი იეროგლიფით იწერება: "ბუ" – მეომარი, "ში" – ადამიანი და "დო" – გზა. შესაბამისად, "ბუშიდო" მეომრის გზას ნიშნავს და სამურაების ღირსების კოდექსს გულისხმობს. ტატუს ხელოვნების გაფურჩქვნის ხანა ედოს ეპოქას უკავშირდება, სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა სამურაების კულტურის აყვავებაც. იდეალური მებრძოლი – სამურაის უმთავრეს პრინციპს ბატონისათვის თავდადება წარმოადგენდა. იგი მზად იყო მთელი ცხოვრება შეეწირა მიზნისთვის, რომელიც მისმა პატრონმა დაისახა. "ბუშიდო" მოთმინების ფილოსოფიაა. ისევე როგორც იაპონური ტატუს ოსტატი, სამურაიც ნელ-ნელა, დაუღალავი ბრძოლისა და შრომის ფასად უახლოვდებოდა მიზანს.

სამურაები ტატუს ხელოვნების გმირებიც იყვნენ და ოსტატებიც. ერთი მხრივ, ათასფერი ტატუებით დაფარულ მებრძოლებისა და ღმერთების სხეულებზე ძირითადად სწორედ მამაცი სამურაების საგმირო საქმეები იყო ასახული. მეორე მხრივ კი, სამურაები ტატუს საუკეთესო ოსტატები იყვნენ: შეუპოვრობა და მოთმინება, რომელიც მათი ცხოვრების წესს წარმოადგენდა, კარგად ესადაგებოდა ტატუს ხელოვნებასაც. ამავე დროს, ტატუს ოსტატსა და კლიენტს შორის ზოგჯერ წლობით გაგრძელებული ფაქიზი ურთიერთობები, სიმბოლურად იმეორებდა სამურაისა და მისი პატრონის დამოკიდებულებას. სამურებმა ტატუს ხელოვნებას საკმაოდ ბანალური მიზეზის გამო მოჰკიდეს ხელი – ხშირად მათ დამატებითი სახსრები სჭირდებოდათ დიდი მიზნის მისაღწევად, ხელოვნების დარგები, მათ შორის ფერწერა, პოეზია – მათ ხშირად ხელეწიფებოდათ. იაპონური ტატუ კი მეტად ძვირი სიამოვნება იყო და მის ოსტატს კარგ შემოსავალს ჰპირდებოდა.





იაპონიაში ტატუ სამურაების ტრადიციების განუყოფელი ნაწილი იყო.

იაპონური ტატუს საუკეთესო ნიმუშები მჭიდროდ უკავშირდება იაპონური გრავიურის "უკიოს" ხელოვნებას. ხის დაფებზე შესრულებული სიუჟეტების მთავარი გმირებიც სწორედ სამურაები იყვნენ. ასეული წლების განმავლობაში, დღემდე უკიოს სიუჟეტები იაპონური ტატუს ძირითად წყაროს წარმოადგენენ.

ტატუს ხელოვნებასა და სამურაების ცხოვრების წესს შორის მსგავსებას გარკვეული მორალური და ეთიკური საფუძველი გააჩნია. ამავე დროს, ბევრი პარალელი შეიძლება მოვძებნოთ ტატუს გაკეთების ტექნიკურ პროცესსა და სამურაის საბრძოლო ხელოვნებას შორის. ერთიცა და მეორეც გულისხმობს მუდმივ გონებრივ და სულიერ განვითარებას. ინდივიდუალობისკენ სწრაფვაც საერთო ჰქონდათ ამ ორი პარალელური სამყაროს წარმომადგენლებს. ამავე დროს, ორივე სფერო ებრძოდა დროებით მოდურ ტენდენციებს და ძველისძველი ტრადიციების ერთგული დამცველი იყო.

იაპონური ტატუს სიუჟეტები ძალზედ სიმბოლური იყო და უამრავ ფილოსოფიურ, მითოლოგიურ შრეს მოიცავდა. არსებობდა ნიშნებისა და სიმბოლოების მთელი სისტემა, რომელიც კონკრეტული სიუჟეტის, არაჩვეულებრივად ლამაზი სანახაობის მიღმა, კიდევ ათასგვარ ფარულ შინაარსს მალავდა. მათი გაგება და ამოხსნა ჩვეულებრივ მოკვდავს არ შეეძლო. საჭირო იყო სამურაის შეუპოვრობა და დაკვირვების უნარი, გონებრივი და სულიერი სიმაღლეები, რათა ტატუს ღრმა შინაარსი ამოგეცნო. ზედაპირზე კი ტატუს შინაარსები ხშირად საკმაოდ მარტივი იყო: გმირი სამურაების პორტრეტები ("მუშო"), საომარი სცენები, ყოფითი სიუჟეტები, პეიზაჟები, ხშირად კარიკატურა და ეროტიკაც ("შუნგო"). ყველაზე პოპულარული მათ შორის მაინც ვეფხვებისა და დრაკონების გარემოცვაში მებრძოლი სამურაების სცენებია. მითიური წინაპრების პორტრეტები ყველაზე მეტად იზიდავდა ახალგაზრდა სამურაებსაც, რომლებიც მთელ ტანს მათი გამოსახულებებით იფარავდნენ.

იაპონური ტატუ მრავალწლიანი შრომისა და დისციპლინის შედეგია. ის სულაც არ ჰგავს თანამედროვე ტატუს, რომელიც ერთ საღამოს შეიძლება გაგიკეთოს საშუალო შემოქმედებითი ღირსებების მხატვარმა. იაპონური ტატუს დადება წლებს საჭიროებს და მტკივნეული შეგრძნებების ასევე ღრმად კონცეპტუალიზებულ სპექტრს მოიცავს. მოთმინება და გამძლეობა, რომელიც ასეთი ტატუს შესრულებას სჭირდება მხოლოდ სამურაისნაირ ადამიანს თუ ძალუძს.

იაპონიაში ოსტატს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ისევე როგორც სამურაის საბრძოლო ხელოვნებას, ტატუს ხელოვნებასაც მრავალწლიანი სწავლა და ოსტატის რჩევების განუხრელი შესრულება უდევს საფუძვლად. იაპონური ტატუს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, გარკვეულწილად იგი ძველი ჩინური კულტურიდან იღებს სათავეს. თუმცა, იაპონური ტატუს ხელოვნების ძირითადი ტექნოლოგიები და მიმართულებები ედოს პერიოდში ჩამოყალიბდა. მათ შორის ბევრი დღემდე ძალაშია და მათ თანამედროვე ოსტატებიც იყენებენ.

იაპონური ტატუს გამოჩენილი ოსტატი იყო კონიუში, მეტსახელად "ალისფერი კანი", რომელსაც მთელი ზურგი და მხრები წითელი ტატუთი ჰქონდა დაფარული. კონიუში წლობით ამუშავებდა ტატუს ესკიზს და ასევე მრავალწლიან შრომას ხარჯავდა მის სხეულზე გადასატანად. მოგვიანებით, სამურაების თემა ე.წ "ოტოკოდატე"-მ შეცვალა. ოტოკოდატე მუშათა კლასის წარმომადგენელია და ხალხიდან გამოსულ გმირს წარმოადგენს, განსხვავებით სამურაისგან, რომელიც ნამდვილ სიმაღლეებს ზებუნებრივ ძალებთან კავშირში აღწევდა და არისტოკრატიულ ტრადიციებში არსებობდა. თუმცა, ნოსტალგია სამურაების გმირული წარსულისაკენ მაინც ვერ გადალახეს. ნახევრადრეალური, ნახევრადმითიური სამურაები დღემდე იაპონური ტატუს მთავარი გმირები არიან. ტატუს ოსტატები კი დღემდე ტრადიციული ნორმებითა და რწმენებით ცხოვრობენ, სადაც ასკეტურ ცხოვრების წესთან, ღრმა ფილოსოფიურ და რელიგიურ წარმოდგენებთან ერთად, ყველაზე მთავარი ტრადიციის უწყვეტი შენარჩუნება და მომავალი თაობისთვის მისი წმინდა სახით გადაცემაა. განსხვავებით თანამედროვე ადამინებისგან, რომლებიც "ეკონომიკურ ცხოველებს" უფრო ჰგვანან, თანამედროვე "მუშაში" ირჩევს ინდივიდუალურ გზას, სადაც დისციპლინა, თავგანწირვა და მშვენიერების შეგრძნებისა და ხედვის უნარი – ყველა სხვა ვიტალურ სწრაფვაზე წინ დგას.

ფეხბურთი

# შანსები მუდამ 50/50-ზეა, მათ შორის "დინამოსიც"

მიხეილ აბაიშვილი
პრაღიდან

ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი დედაქალაქისაკენ, პრაღისაკენ თბილისის "დინამოს" საუეფასთასო ვოიაჟი მცირედი საჰაერო უსიამოვნებებით დაიწყო. გუნდი თბილისის აეროპორტიდან 17 საათზე უნდა გაფრენილიყო, მაგრამ აეროპორტის მომსახურე პერსონალმა ავიაკომპანია "თბილავიამშენის" თვითმფრინავის გასაფრენად მომზადება გააჭიანურა და თითქმის 1,5 საათის დაგვიანებით გამოვფრინდით. აფრენიდან ნახევარ საათში, დაახლოებით კავკასიონის ქედის თავზე, ტურბულენტურ ზონაში მოვყევით და გვარიანად გვაჯანჯღარა. თუმცა, თვითმფრინავმა "იაკ-42"-მა, რომელიც აჭარიდან გაქცევამდე პირადად ემსახურებოდა ასლან აბაშიძეს, ყველა გამოცდას წარმატებით გაართვა თავი და მშვიდობით ჩაგვიყვანა ჩეხეთის დედაქალაქში.

გამოფრენამდე არსებული დრო უქმად რომ არ დაკარგულიყო, "დინამოს" მმართველ დირექტორს, დავით პეტრიაშვილს მომავალ მატჩზე და მეტოქეზე კომენტარი ჩამოვართვი. "მართლაც სერიოზული მეტოქე შეგვხვდა. "სლავია" ყველა სათამაშო რგოლში კარგად დაბალანსებული, სერიოზული გუნდია. ზოგადად, ჩეხური ფეხბურთი პროგრესს განიცდის. ამ ქვეყანამ ბოლო ათწლეულში საფეხბურთო თვალსაზრისით გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ. რაც მთავარია, ამის შემდეგ დაღმასვლა არ დაწყებულა და მიღწეული დონე შენარჩუნებული აქვთ. ეს აისახება როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონეზე. არც "სალვიაა" გამონაკლისი, რომელიც საშუალოევროპული დონის გუნდად შეიძლება ჩაითვალოს. ეს გუნდი თანაქალაქელ "სპარტასთან" ერთად ჩეხური საკლუბო ფეხბურთის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. თან, მდიდარი საფეხბურთო წარსული და ტრადიციები უმაგრებს ზურგს. ამის მიუხედავად, მე არ მიმაჩნია, რომ "დინამოსთან" დაპირისპირებაში "სლავია" ფავორიტია. ჩვენ ჩვენი ძლიერი მხარეები გაგვაჩნია, რომელთა ხარჯზეც შევეცდებით "სლავიას" ბარიერის გადალახვას", - განგვიცხადა დავით პეტრიაშვილმა.

აეროპორტშივე საბოლოოდ დადასტურდა, რომ ახალაია და რომერო "დინამოს" პრაღაში ვერ დაეხმარებიან. ეს ფეხბურთელები თბილისში დარჩნენ და თუ ტრავმების საბოლოოდ მოშუშება მოასწრეს, განმეორებით მატჩში შეიძლება ითამაშონ. საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურში, "ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ კვირკველიას და კანკავას, ხოლო ჭიჭვეიშვილმა ერთ-ერთ ეპიზოდში ტრავმა მიიღო. სამივე ეს ფეხბურთელი პრაღაში გამოემგზავრა, თუმცა ჭიჭვეიშვილის და კვირკველიას თამაში გუშინაც სათუო იყო.

კვირკველიას ფეხის კუნთი აქვს დაჭიმული და მისი თამაში დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. უფრო პატარა კითხვის ნიშანი აქვს ჭიჭვეიშვილს, თუმცა იგიც იტკივებს მუხლს და მხოლოდ თამაშის დღეს გადაწყდება, შეძლებენ თუ არა ეს ფეხბურთელები მოედანზე გამოსვლას", - გვითხრა გუნდის მთავარმა ექიმმა, დიმიტრი ზაალიშვილმა. აქვე დავძენ, რომ გუშინდელ საწვრთნელ პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობა ისევ ვერ მიიღო კვირკველიამ, ხოლო კანკავამ და ჭიჭვეიშვილმა სრული დატვირთვით ივარჯიშეს. სამწუხაროდ, "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, გია გეგუჩაძემ პირად საუბარში გუშინვე დამიდასტურა, რომ კვირკველია ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას და ჩვენს გუნდს "სლავიასთან" თამაში თავისი წამყვანი ნახევარმცველის გარეშე მოუწევს.


გეგუჩაძე "სლავიას" არ უფრთხის

პრაღაში "დინამოს" სტუმრობას ადგილობრივი მედიის დიდი ყურადღება არ მიუპყრია. გუშინ ჩეხეთის ყველაზე ავტორიტეტულმა ყოველდღიურმა სპორტულმა გამოცემა "სპორტმა" მხოლოდ მცირე ინფორმაცია გამოაქვეყნა სათაურით "ქართველები უკვე ჩამოვიდნენ", სადაც ორი სიტყვით არის აღწერილი ჩვენი ჩამოსვლის ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ "დინამომ" საგრძნობი უპირატესობით გადალახა უეფა-ს თასის პირველი ბარიერი და ეროვნულ ჩემპიონატშიც დამაჯერებლად ასპარეზობს, ევროპაში სლავია-დინამოს წყვილში გამორჩეულ ფავორიტად პრაღის გუნდს მიიჩნევენ. გავლენიანმა ევროპულმა ტოტალიზატორებმა ამ შეხვედრაზე ფსონების ისეთი შეფარდება დააწესეს, რომლის მიხედვითაც ჩვენს გუნდს წარმატების მიზერული შანსები აქვს. რამდენად რეალურად აფასებენ ევროპელი ბუქმეიქერები ჩვენს შანსებს, დღეს, მატჩის დროს გამოჩნდება.

თამაში კი ჩეხეთის ეროვნული გმირის, ფაშისტების მიერ წამებით მოკლული ჩეხი მორბენლის, ევჟენ რუსიცკის სახელობის სტადიონზე გაიმართება, სადაც 20 ათასი გულშემატკივარი ეტევა. გუშინდელი ინფორმაციით, თამაშზე, რომელიც თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება, ყველაზე მაქსიმუმ 5 ათასი გულშემატკივარი მოვა. ეს სტადიონი "სლავიას" საკუთრება არ არის და მასზე საშინაო თამაშებს კიდევ ერთი გუნდი, "ბოჰემიანსი" მართავს. ერთი სარეკორდო მონაცემიც მინდა გამცნოთ, რაც ფეხბურთის ქართველი მოყვარულებისთვის ნამდვილი აღმოჩენა იქნება. ყველას ჰგონია, რომ მარაკანას სტადიონი უდიდესია მსოფლიოში, მაგრამ ეს თურმე ასე არ არის. 50-იან წლებში პრაღაში აშენდა სტადიონი, რომელზეც პირველად მოეწყო საბჭოური სივრცის ხალხთა სპარტაკიადა. ამ სტადიონს სახელიც იდენტური - "სპარტაკიადა" ჰქვია და იგი იტევს... 200 ათას ქომაგს. აქედან 150 ათასი დასაჯდომი ადგილია. ამ მაჩვენებლით ეს სტადიონი გინესის რეკორდსმენად შეიძლება მივიჩნიოთ.

თუმცა, დავანებოთ სპარტაკიადას თავი და ისევ დღევანდელ თამაშს დავუბრუნდები, რომელსაც, სხვათა შორის, ფრანგ მსაჯთა ბრიგადა განსჯის.

"დინამომ" გუშინ "ევჟენ რუსიცკიზე" მატჩისწინა ვარჯიში ჩაატარა, რომელსაც წინ უსწრებდა გია გეგუჩაძის პრესკონფერენცია. "სრული მობილიზაციით ვემზადებით, რადგან გვესმის, თუ რა მაღალი დონის გუნდი გვყავს მეტოქედ. ვიცი, რომ ძალიან რთული თამაში გველის. "სლავიას" ისე ახლოს არ ვიცნობ, თუმცა ჩეხური ფეხბურთის დონე ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. შესაბამისად, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია - სლავია ძალიან ძლიერი მეტოქეა. შევეცდებით, რომ თავი არ შევირცხვინოთ. მართალია, ამ გუნდმა ჩეხეთის ჩემპიონატის პირველ ტურში მარცხი განიცადა და ამ თამაშის ვიდეოჩანაწერი ვნახეთ, მაგრამ ერთი თამაშის მიხედვით გუნდის ავ-კარგზე საუბარი ძნელია. შემიძლია ვთქვა, რომ სლავია ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს, მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის იბრძვის და ასეთი თამაშით ცდილობს შედეგის მიღწევას. სლავიას ფეხბურთელები მაღლები და ათლეტურები არიან. რაც შეეხება შანსებს, ამაზე საუბარი არ მსურს. ყველაფერს თავად თამაში გვანახებს. თამაშამდე კი შანსები ყოველთვის 50/50-ზეა", - განაცხადა გეგუჩაძემ.

# ჩაპლარმა ვარჯიში დაგვიმალა

სლავიას მწვრთნელი "დინამოს" უფრთხის

მიხეილ აბაიშვილი
პრაღიდან

გუშინ პრესკონფერენცია გამართა "სლავიას" მთავარმა მწვრთნელმაც, თუმცა სანამ დღევანდელი მატჩის თაობაზე იოჟეფ ჩაპლარის მოსაზრებებს გაგიზიარებდეთ, ამ გუნდზე კიდევ რამდენიმე ინფორმაციას მოგაწვდით. ქართულ პრესაში მცირე ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც "სლავია" სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს განიცდის და გუნდი დაშლის პირასაა, რაც მტკნარი სიცრუე გამოდგა. გუნდის გენერალური სპონსორი ევროპაში უდიდესი სუპერმარკეტების ქსელი, ფრანგული "კორფიურია", რომელიც არაფერს იშურებს ამ გუნდის ევროპულ საკლუბო ელიტაში გასაყვანად. ამჟამად "სლავია" ევჟენ რუსიცკის სტადიონზე თამაშობს, თუმცა "კორფიური" გუნდს ახალ სტადიონს უშენებს და მალე გუნდი საკუთარ არენაზე გადაინაცვლებს. ამ გუნდმა საშუალოევროპული მასშტაბით ზომიერი სატრანსფერო აქტივობაც გამოიჩინა და მომავალი წლისთვის ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობასაც გეგმავს.

იოზეფ ჩაპლარი ორ წამყვან ფეხბურთელთან, ბეიბლთან და მეკარე ჩერნთან ერთად გამოცხადდა პრესკონფერენციაზე. თავად მთავარი მწვრთნელი საკმაოდ სიტყვაძუნწი აღმოჩნდა და შეეცადა, მაქსიმალურად დაემალა ინფორმაცია ქართული მედიისთვის.

"რა თქმა უნდა, გამარჯვებას ვაპირებთ. ჩვენ გვესმის, რომ წყვილში ფავორიტები ვართ, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებთ, თუ რა შესაძლებლობების და რა მაღალი კლასის მეტოქე გვყავს. "დინამოსთან" თამაშის გამოცდილება ორი წლის წინათ შევიძინე, როდესაც ლიბერეცის "სლოვანში" ვმუშაობდი, თუმცა დღეს ეს სულ სხვა გუნდია და იმ შემადგენლობიდან სულ სამი ფეხბურთელი დარჩა. ასე თუ ისე, შევისწავლეთ მეტოქე და ყველა ღონეს ვიხმართ, რომ წარმატებას მივაღწიოთ", - ფრთხილობდა შეფასებებში ჩაპლარი.

მან საქართველოს ჩემპიონატის მატჩზე, რომელშიც "დინამომ" 3:2 დაამარცხა "ვიტ ჯორჯია" და რომელიც 4 დღის წინ გაიმართა, თავისი თანაშემწე მოავლინა, რომელთან ინტერვიუც "24 საათმა" უკვე შემოგთავაზათ. თუმცა, თავად ჩაპლარმა არ გაგვიმხილა, თუ როგორი შთაბეჭდილებები დარჩა თანაშემწის ნაამბობიდან და ვიდეოჩანაწერის ხილვის შემდეგ.

"ჩვენ ვიცით, თუ როგორ ფეხბურთს თამაშობს მეტოქე და მას თავისი თამაშის ჩვენთვის თავზე მოხვევის საშუალებას არ მივცემთ. თუ რა დასკვნები გამოვიტანე "დინამოს" მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ, საიოდუმლოდ შევინახავ. ყველა პასუხს ხვალინდელი თამაშით გაგცემთ", - ასეთი იყო ქართველი ჟურნალისტების შეკითხვაზე ჩეხი მწვრთნელის პასუხი.


იოჟეფ ჩაპლარმა (მარჯვნივ) დახურული ვარჯიში გამართა

სამაგიეროდ, უფრო გახსნილი აღმოჩნდა ჩეხური ფეხბურთის ლეგენდა, რადეკ ბეიბლი, რომელიც დღეს უკვე ვეტერანად შეიძლება ჩაითვალოს. მან კომპლიმენტები არ დაიშურა მეტოქის მისამართით: "დინამო" საკმაოდ მაღალი კლასის გუნდია და დიდი ოფლისღვრა მოგვიწევს, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ეს გუნდი საქართველოს საკლუბო ფეხბურთის გამოკვეთილი ლიდერია. "დინამო" ბოლო 12-14 წლის განმავლობაში მუდმივად ჩემპიონი ხდებოდა. ბოლო სეზონში ამ გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში წაიფორხილა და ლიდერის პოზიცია დათმო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "დინამო" ყველაფერს გააკეთებს, რათა პოზიციები დაიბრუნოს".

ჩეპლერმა ერთი კვირის წინ ეროვნულ ჩემპიონატში "ჟლინთან" განცდილი მარცხიც შეაფასა და აღნიშნა, რომ მისი გუნდი წაგებას არ იმსახურებდა.

"თამაში ორი კომპონენტით - ხარისხით და შედეგით იზომება. მე "ჟლინთან" თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ, შედეგით - არა. მიმაჩნია, რომ იმ მატჩში გამარჯვებას ვიმსახურებდით. რაც არ უნდა იყოს, "ჟლინთან" შეხვედრა ეროვნული ჩერმპიონატის მატჩი იყო, ხვალ კი უეფა-ს თასის თამაში გვაქვს და სულ სხვა მობილიზაციით, კონცენტრაციით და მოტივაციით გამოვალთ მოედანზე", - განაცხადა ჩაპლარმა.

სხვათა შორის, პრესკონფერენციის შემდეგ "სლავიამ" ვარჯიში გამართა, რომელიც ქართველი ჟურნალისტებისთვის დახურეს. ვერ გეტყვით, რისი შეეშინდა ჩაპლარს, მაგრამ ფაქტია, მან ჩვენ ვარჯიშის ყურების საშუალება არ მოგვცა. თუმცა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ სტადიონის პერსონალის გვერდის ავლით არენაზე შეღწევა და გასაიდუმლოებული საწვრთნელი პროცესის მზერა, რის შემდეგადაც ნათელი გახდა, თუ როგორი ტაქტიკით აპირებს "სლავია" შეტევაში თამაშს. აქცენტი გადატანილი იქნება ფლანგურ გარღვევებზე და საჯარიმოს ცენტრში ჩაწოდებებზე, საიდანაც კიდევ ერთი ჩეხური ფეხბურთის ლეგენდა, პაველ კუკა შეეცდება სიტუაციის გამწვავებას. თუ სხვა რა სიურპრიზს უმზადებს ჩეპლარი გეგუჩაძეს, თამაში გვიჩვენებს.

24 საათი

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მიწოდების სტაბილურობა.

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

ფეხბურთი

# თურქებმა მიხაილიჩენკო გაათავისუფლეს



მიხაილიჩენკოს თანამდებობა დაატოვებინეს

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, თურქეთის “ტრაბზონსპორთან” წაგების შემდეგ კიევის “დინამოს” ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი მწრთნელი ალექსეი მიხაილიჩენკო. მას დროებით იოჟეფსაბო შეცვლის, მერე კი ვნახოთ, ეგებ კიევში ოტმარ ჰიტცფელდიც ჩამოვიყვანოთო, - ამბობენ უკრაინული წყაროები.

ინფორმაცია მიხაილიჩენკოს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მარცხის მეორე დღესვე გაავრცელა “დინამოს” პრეს-სამსახურმა: “შექმნილი ვითარების ანალიზის შემდეგ სააქციო საზოგადოება ს.კ. “დინამო კიევი”-ს ხელმძღვანელობა დარწმუნდა სამწვრთნელო შტაბში სერიოზული საკადრო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაში. ამის მიზეზი კლუბის, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელი ასპარეზობაა სეზონის დასაწყისშივე. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა ვერ ხედავს იმ რესურსებს, რომლის ამუშავებითაც შეიძლება “დინამოს” კრიზისიდან გამოყვანა. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება მთავარი მწვრთნელის შეცვლა”.

მიხაილიჩენკოს შემცვლელი იოჟეფ საბო ერთხელ უკვე წვრთნიდა კიევის “დინამოს”, თუმცა მისმა დამოძღვრილმა გუნდმა დიდ შედეგებს ვერ მიაღწია. აქედან გამომდინარე, საბო მხოლოდ დროებით შეასრულებს მთავარი მწრთნელის ფუნქციას, შემდგომ კი კლუბის ვიცე-პრეზიდენტის სავარძელს დაუბრუნდება. ეს “დროებით” რამდენ ხანს გასტანს ჯერჯერობით დაუზუსტებელია. ის კი ცხადია, რომ ტრაბზონში განმეორებით მატჩზე გუნდს სწორედ ის ჩაიყვანს და შეეცდება, ვითარება გამოასწოროს ანუ შეეცდება “დინამოს” იმ ანგარიშით მოაგებინოს, რომელიც გუნდს ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანს.

მიხაილიჩენკოს მუშაობით კლუბის ხელმძღვანელობა, უკვე კარგა ხანია, უკმაყოფილოა, თუმცა აქამდე მისი გათავისუფლებისგან თავს იკავებდა. “დინამოს” პრეზიდენტის იგორ სურკისის თქმით, ამის არაერთი მიზეზი არსებობდა: “ჯერ ერთი, ის ლობანოვსკის მოსწავლე იყო. ყველამ იცის, ჩვენთვის ვალერი ვასილიევიჩი რასაც წარმოადგენდა. მეორე მიზეზი ისევ მისი ლობანოვსკის მოსწავლეობაა. დიდი მწვრთნელის მოსწავლისგან დიდ შედეგებს ველოდით. მესამე მიზეზი ისაა, რომ ის ახალგაზრდაა და, ამიტომაც, ვაცადეთ ამდენ ხანს. უცებ არავინ ხდება დიდი მწვრთნელი და ვფიქრობდით, რომ საამისოდ მასაც დრო ესაჭიროებოდა”. როგორც ჩანს, სურკისს მოთმინების ფიალა აევსო. ის ამდენ ხანს ტყუილად ელოდა დროს, როცა “დინამო” ღირსეულად ითამაშებდა ევროგრანდებთან: “1997-98 წლებში ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავდა, რომელსაც ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეეძლო. დღეს კი ისეთი გუნდი გვყავს, რომლის დამარცხებაც ბევრს ხელეწიფება. განსხვავება აშკარაა. აშკარაა ისიც, რომ ამას შეცვლა უნდა, თანაც სასწრაფოდ”. ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც, მიხაილიჩენკომ ამ დრომდე შეინარჩუნა თანამდებობა, ისაა, რომ “დინამო” კვლავაც რჩებოდა ნომერ პირველ გუნდად უკრაინაში. ნევიო სკალას და ბერნდ შუსტერის გაწვრთნილმა “შახტარმა” ვერაფერი მოუხერხა “დინამოს”; თანაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრასაც ახერხებდა; მერე რა, რომ პირველივე ეტაპიდან ვარდებოდა, მაინც იმედიანად იყვნენ, თუკი ახალგაზრდა მწვრთნელი გუნდის ლიგაში გაყვანას ახერხებდა, ფიქრობდნენ, რომ მოკლე დროში იმასაც მოახერხებდა, პირველი ეტაპი გადაელახა. წელს კი ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ევროსარბიელზე ხომ დამარცხდა “დინამო”, შინაურ პირველობაზეც ვერ თამაშობს წარმატებულად. გუნდი ამჟამად მეოთხე ადგილზეა, რაც კიეველთათვის მეტად უჩვეულოა. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ, როგორც კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, გუნდს პერსპექტივა არ ჰქონდა.

“ერთადერთი ის შემიძლია, რომ ბოდიში მოვუხადო ქომაგებს. ისინი ჩვენგან მოგებას ელოდნენ, ჩვენ კი მათ იმედები გავუცრუეთ. ბოდიში მინდა, მოვუხადო ყველას, იმის გამო, რაც მოედანზე ხდებოდა. ეს თამაში არ იყო. ამას რაღაც სხვა ჰქვია. ყველაზე ცუდი სწორედ ესაა, თორემ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი რომ გამოგვევლინა და ისე წაგვეგო, ხმას არავინ ამოიღებდა”, - განაცხადა ალექსეი მიხაილიჩენკომ.

“ყველამ უნდა დავივიწყოთ მომხდარი დ მომავალ მატჩზე ვიფიქროთ. მართალია, მთლად კარგად არ გვაქვს საქმეები, მაგრამ თუ მოვინდომებთ, ვითარების გამოსწორება შეიძლება. ყველაფერი არც ისე უიმედოდაა. “დინამოში” არიან ის ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ, “ტრაბზონსპორის” ბარიერის დაძლევა. მთავარია, მათ თავისი შესაძლებლობების გამოვლენის გზა ვასწავლოთ”, - ეს უკვე კიეველთა ამჟამინდელი თავკაცის იოჟეფ საბოს სიტყვებია.

რაც შეეხება მომავალ მწვრთნელს, უკრაინული წყაროები “დინამოს” მწვრთნელად ოტმარ ჰიტცფელდს ხედავენ. ამბობენ, - გრეგორი სურკისი, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პირადად ესაუბრა ჰიტცფელდს ამის თაობაზეო. ერთგან ასეთი რამეც გაჟღერდა, - ჰიტცფელდი ამ დღეებში ეწვევა კიევს და “დინამოს” ხელმძღვანელობას დაელაპარაკებაო, თუმცა... “როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ევგენი გინერი უკვე ესაუბრა ოტმარ ჰიტცფელდს და მხარეები რაღაც დეტალებზე შეთანხმდნენ კიდეც. ახლა გადაწყვეტით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ფაქტი, რომ გინერსა და ჰიტცფელდს შორის დაიწყო მოლაპარაკებები, იმაზე მიუთითებს, რომ გერმანელი სპეციალისტი მალე, ალბათ, მოსკოვის ცსკა-ს ჩაუდგება სათავეში”, - ეს ინფორმაცია უკვე რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს გერმანულზე დაყრდნობით. სწორედ გერმანელთაგან გაჟონა ინფორმაციამ გინერისა და ჰიტცფელდის სატელეფონო საუბრის შესახებ. მოკლედ, "აღდგომა და ხვალეო" - ყველაფერი ახლო მომავალში გაირკვევა.

სამჭიდო

ამ დღეებში ამერიკაში, კერძოდ კი ნიუ-ჯერსიში, ძალისმიერ სამჭიდში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. სპორტის ეს სახეობა ჩვენში დიდი პოპულარობით ვერ დაიკვეხნის, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ქართველი სპორტსმენებისთვის მონაწილეობა მიეღოთ ტურნირში და მეტიც...

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ჩემპიონატზე მონაწილე 7 ქართველიდან 6 მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ერთიც - ბრინჯაოს მედალოსანი. ამას, უბრალოდ, კარგი შედეგის ჩვენება არ ჰქვია, ეს გაცილებით მეტია. ამასთან, ერთ-ერთი ქართველი კობა ალუდაური მსოფლიო რეკორდის დამყარებითაც გამოირჩა. ალუდაური 100 კგ-მდე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და მისი მძლეველი ამერიკაში არავინ მოიძებნა. 75 კგ. წონით კატეგორიაში პირველი სერგო მერაბიშვილი იყო. ჩვენი ერთადერთი ბრინჯაო ბორის სარალიძის ანგარიშზეა, ის 90 კგ-მდე კატეგორიაში მონაწილეობდა. ვეფხია ჯმუხაძე 110 კგ. წონით კატეგორიაში პირველი იყო; შემდეგ საქმეში 125 კგ-მდე და 125 კგ-ს ზევით წონით კატეგორიებში მონაწილეები ჩაებნენ. შედარებით მსუბუქებში პირველობა არავის დაუთმო ხვიჩა მამედოვმა, მძიმეწონოსნებში კი გია ჯმუხაძემ გაიმარჯვა.

ქართველებმა ოქრო ვეტერანთა შეჯიბრშიც მოიპოვეს - სოსო ხარაბაძემ ქართველი მონაწილეების მონაგარი შვიდ მედლამდე შეავსო.

პრობლემა

# "XXI საუკუნეს" მძიმე დღეები დაუდგა

გიორგი ასათიანი

მიუხედავად მრავალი სასიკეთო ძვრისა, ჩვენს ქვეყანაში პრობლემა მაინც საკმარისზე მეტია. ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ობიექტმა, რომელსაც არც ვარდების რევოლუციის კვალი ეტყობა და საომარი მოქმედებების დროს დანგრეულ ნაგებობას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე თანამედროვე ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილს. არადა, სიტყვა "ღირსშესანიშნავი" აქ შემთხვევით სულაც არ გვიხსენებია.

ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე ფეხბურთის სკოლა 1936 წლიდან ფუნქციონირებს და ქვეყანას ისეთ ფეხბურთელებს უზრდის, როგორებიც იყვნენ მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე, ავთანდილ ჭკუასელი და სხვა ძალიან ბევრი სახელოვანი ქართველი ფეხბურთელი. მათი სახელების სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოგახსენებთ იმას, რამაც ჩვენი ინტერესი და შეშფოთებაც გამოიწვია.

ადრე აქ ყოფილ საბჭოთა კავშირში განთქმული 35-ე საფეხბურთო სკოლა იყო, ხოლო 1999 წლიდან ნოდარ ახალკაცის სახელობის ფეხბურთის სკოლამ - "XXI საუკუნე" - დაიდო ბინა. სკოლის გახსნის დღიდან, ქვეყნისთვის ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი, აქ არ შეუჩერებიათ მუშაობა და საფეხბურთო სამყაროსთვის ქართველი ტალანტების მიწოდება. ასე ხდება ახლაც, მაგრამ პრობლემა იმდენად ბევრი დაგროვდა, როგორც არასდროს. სკოლაში ამჟამად ფეხბურთელთა- 9 და მორაგბეთა 4 გუნდი, საერთო ჯამში, დაახლოებით, 250 სპორტსმენი იწვრთნება. ჩუღურეთის რაიონში ეს ერთადერთი მოქმედი სპორტული სკოლაა და იგი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სკოლის ტერიტორიაზე არის ძირითადი, სათამაშო მოედანი და სათადარიგო, რეზინის საფარიანი მოედანი, რომელიც მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა სკოლის დირექტორის გია ლეჟავას დახმარებით მოაწყეს. მორაგბეები გია ლეჟავამ სკოლაში სამიოდე წლის წინ შეიკედლა, გამოუყო მათ სავარჯიშო საათები და გასახდელიც დაუთმო. მოკლედ, ფეხბურთის სკოლის დირექტორი, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველანაირად ეხმარება მორაგბეებს და მათი დიდი ქომაგიც გახლავთ.

გია ლეჟავას თქმით, იგი მორაგბეებში უდიდეს პოტენციალს ხედავს და ამიტომ არ შეიძლებოდა მათი ქუჩაში დატოვება. ამგვარად იქმნება საინტერესო შემთხვევა, როდესაც ფეხბურთელთა - 9 და მორაგბეთა 4 გუნდი ერთ მოედანზე მონაცვლეობით ვარჯიშობს და ერთმანეთის დიდი გულშემატკივრებიც არიან, მაგრამ სტადიონი იმდენად არის გაპარტახებული, რომ აქ ვარჯიში უკვე, თითქმის, შეუძლებელია. მოედნის საფარი იმდენად ძველია, რომ მიწიდან ნახევრად ამოყრილი ქვები საშუალებას არ იძლევა, სპორტსმენებმა სრულფასოვნად ივარჯიშონ; ასეთ მოედანზე მაქსიმალურად დიდია ტრავმის მიღების საშიშროებაც. სტადიონის ქუჩისგან გამყოფი კედლის დიდი ნაწილი ჩამოშლილია, ხოლო დარჩენილი კედლის ჩამონგრევას მწვრთნელები ყოველ დღე შიშით ელოდებიან და მაქსიმალურად ცდილობენ, სპორტსმენები კედლის მოშორებით ავარჯიშონ, რადგანაც კედლის ჩამონგრევამ, შეიძლება, ტრაგედიაც გამოიწვიოს.

საფეხბურთო სკოლის მთავარი მწვრთნელი სანდრო ტატიშვილი: "ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია ის, რომ სტადიონის მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობას დროც და თანხაც საკმარისად სჭირდება, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ ეს ერთადერთი სპორტული სკოლაა, სადაც მოვარჯიშე ბავშვების, თითქმის, 70 პროცენტი, მძიმე ოჯახური პირობების გამო, ყოველთვიურ გადასახადს ვერ იხდის და ჩვენ, ლამის, ენთუზიაზმის ხარჯზე ვეწევით მათ ფიზიკურ აღზრდას. მათ შორის ძალიან ბევრი უნიჭიერესი სპორტსმენია და თუ მათ ჩვენთან არ მივცემთ თავიანთი შესაძლებლობების დახვეწის საშუალებას, ისინი ქუჩაში დარჩებიან და ღმერთმა უწყის, რა გზას დაადგებიან". იგივეს აცხადებს მორაგბეთა 3 გუნდის მწვრთნელი გიორგი ენუქიძე და ამატებს, რომ მზად არის კოლეგებთან ერთად უფრო დიდი მონდომებით განაგრძოს მორაგბეების მომზადება, თუ სტადიონზე ოდნავ მაინც გაუმჯობესდება სავარჯიშო პირობები. ვინაიდან მოედანზე კარგი საფარის გაკეთება ძალიან ძვირია, მწვრთნელების აზრით, აქ, უბრალოდ, შეიძლება ქვიშის საფარის გაკეთება და იქვე მდებარე სათადარიგო მოედნის ელემენტარულად შეკეთება. მათი თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც სკოლის ხელმძღვანელობას გარკვეულმა პირებმა შესთავაზეს მოედნის შეკეთება, მაგრამ, სანაცვლოდ, მწვრთნელებს აღსაზრდელებისგან ყოველთვიური გადასახადი თანხა უნდა გაეორმაგებინათ. რასაკვირველია, "XXI საუკუნის" კოლექტივმა ეს წინადადება ვერ მიიღო, ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო. ისე კი, საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა პირობას შეასრულებს და დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელებსა და მორაგბეებს მისცემს საშუალებას, შედარებით ნორმალურ პირობებში დაოსტატდნენ იმაში, რაც უკვე ასე კარგად გამოსდით. არის შემთხვევები, როდესაც ოფიციალური მატჩების დროს ბაზრიდან მომავალი, ჩანთებით დატვირთული ქალები პირდაპირ სათამაშო მოედანზე გადიან და, ჩამოშლილი კედლის მეშვეობით, სახლისკენ გზას იმოკლებენ. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ვარჯიშის დროს, ასევე, ჩამოშლილი კედლის ტერიტორიიდან მოედანზე ძაღლი შევარდა და მოვარჯიშე ბავშვს უკბინა. ჩამონგრეული კედლის გამო, ღამით უსახლკარო ლოთებსა და მაწანწალებს ხელს არაფერი უშლით სკოლის ტერიტორიაზე ღამის გასათევი, საქეიფო და ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი ადგილიც კი მოიწყონ. მეორე დილით კი ვარჯიშის სურვილით გამსჭვალულ ახალგაზრდებს გულისრევის სურვილი უფრო ეუფლებათ, ვიდრე ვარჯიშისა. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის ერთ-ერთი ოთახი გია ლეჟავამ აფხაზეთიდან დევნილ ცოლ-ქმარს - დიანა თურქიასა და მერაბ ქებურიას დაუთმო. მათთვის ასეთ პირობებში ცხოვრება ძნელია, მაგრამ, როგორც ამბობენ, თავზე ჭერი აქვთ და მადლიერებიც არიან. ქალბატონი დიანა ყოველი სავარჯიშო დღის ბოლოს, საკუთარი ინიციატივით, ალაგებს გასახდელს, ხოლო მისი მეუღლე სპორტსმენებს მოედნის განათების ორგანიზებაში ეხმარება.

ოლიმპიადა

# სკანდალი



ჟაკ როგე დოპინგის მომხმარებლებს დაერია

ფორმალურად, ოლიმპიური თამაშები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ დოპინგის მოყვარულები უკვე ვლინდებიან. დოპინგის პირველი მსხვერპლი კენიელი მოკრივე დევიდ მანიასი გახდა, რომლის ანალიზმაც დადებითი პასუხი აჩვენა. კედნიელის ორგანიზმში კატგინი აღმოჩნდა, რომელიც ამფეტამინებს შეიცავს. საინტერესოა, რომ ამ პრეპარატს ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერებების შესაქმნელად იყენებენ. ადვილი შესაძლებელია, აფრიკელმა, უბრალოდ, “კაიფი” დააპირა. ამჟამად ის, რა თქმა უნდა, გუნდიდან გარიცხეს და საბერძნეთი უნდა დატოვოს.

საინტერესოა, მაგრამ ამერიკელმა სპრინტერმა ბერნარდ უილიამსმა მხოლოდ გაფრთხილება მიიღო. არადა, ორი თვის წინათ ესპანეთში გამართულ შეჯიბრებაზე მის ორგანიზმში მარიხუანა აღმოაჩინეს, რაც, ასევე, აკრძალულია. უილიამსი დისკვალიფიკაციას მას შემდეგ მიიღებს, თუ მის ორგანიზმში მარიხუანას კიდევ აღმოაჩენენ.

ავსტრალიის ველოსიპედისტთა ნაკრებს კი, საერთოდ, სულელური სიტუაცია გადახდა თავს. დობი დაიკა ათენში მხოლოდ იმის გამო არ გაემგზავრა, რომ მის ორგანიზმში ნებადართული ვიტამინები აღმოაჩინეს. ფორმალურად, ავსრტალიელი ველოსიპედისტი გუნდიდან იმის გამო მოკვეთეს, რომ ის გამოძიებას ატყუებდა. ავსტრალიაში მიმდინარეობდა გამოძიება ველომრბოლელ მაიკ ფრენჩის წინააღმდეგ, რომელიც დოპინგის მოხმარებისთვის სამუდამოდ დისკვალიფიცირებულია. ფრენჩმა ხუთი თანაგუნდელი, მათ შორის დაიკუც, იმაში დაადანაშაულა, რომ, თითქოს, ისინი პრეპარატებს მისი ოთახიდან ხმარობდნენ.

დაიკუ თავიდან ამ ამბავს უარყოფდა, მაგრამ ტესტებმა აჩვენეს, რომ ფრენჩი მართალი იყო. შემდგომში ჯობიმ აღიარა ფაქტი, მაგრამ თქვა, რომ ის მხოლოდ ნებადართულ ვიტამინებს ეტანებოდა. დოპინგის ნიშნები მის ორგანიზმში, მართლაც, ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ის ნაკრებიდან მაინც მოკვეთეს, რადგან დაიკუმ გუნდის იმიჯი შეარყია.

ნათელია, რომ უახლოეს დღეებში კენიელს დაივიწყებენ, რადგან ათენში ბევრად უფრო დიდი სკანდალები მზადდება. ამას არც სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგე გამორიცხავს. მან დაადასტურა, რომ ათენში სპორტსმენები მკაცრი კონტროლის ქვეშ მოექცევიან. მაგალითად, სიდნეის ოლიმპიადასთან შედარებით, ორჯერ მეტი ტესტი გაკეთდება. მათი საერთო რიცხვი კი სამი ათასზე მეტი იქნება. პირველად დოპინგის ანალიზის ისტორიაში შერჩევით დოპინგ-ტესტი სპორტის ყველა სახეობაში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადის წინ უკვე დაზარალდნენ ესპანელი ნიჩბოსანი, ბეისბოლის ორი ბერძენი მოთამაშე, შვეიცარიელი ველომრბოლელი და ირლანდიელი მორბენალი. როგეს ეს სიტუაცია ხელს აძლევს. მან ერთგვარი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დოპინგმა უფრო მეტი სპორტსმენი შეიწირა, ვიდრე ზამთრის ყველა ოლიმპიადამ ერთად. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს ტესტების უმაღლეს სიზუსტეზე მეტყველებს. თუმცა, ტესტების ობიექტურობა ეჭვს ბადებს.

თუ შესაძლებელია, რომ ფულით ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვო, მაშინ რატომ არ შეიძლება ტესტებზეც ქრთამმა იმძლავროს? თუ დოპინგზე უფრო პატიოსანი ხალხი ზის, ვიდრე ცნობილი ჩინოვნიკი სლავკოვია? ამას გარდა, საყურადღებოა, რომ ანტისადოპინგო სააგენტოში იმდენად გაზარდეს აკრძალულ პრეპარატთა ნუსხა, რომ თანამედროვე სპორტსმენები ყველაზე დაუცველნი არიან მსოფლიოში; გაციების დროსაც კი მათ უაღრესად ფრთხილად მკურნალობა მართებთ.

რუსები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ დოპინგ-სკანდალში გაება მათი სამი სპორტსმენი. თუმცა, ჯერჯერობით მათ სახელებს არ ახმოვანებენ.

საქართველოს დელეგაცია კი ძალიან შიშობს, რომ დოპინგის მახეში, შეიძლება, ჩვენი სპორტსმენებიც გააბან - განსაკუთრებით ისინი, ვინც ოქროს მედლის რეალური კანდიდატია. საუბარია ჭიდაობის სახეობებსა და ძალოსნობაზე, სადაც ოქროს მედლის მოპოვების რეალური კანდიდატები გვყავს. ამიტომ, საქართველოს ნაკრების ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი აცხადებს, რომ ათენში გამგზავრებამდე ყველა სპორტსმენს დოპინგ-კონტროლზე გაატარებს, რათა თამაშებზე რაიმე პრობლემა არ შეიქმნას.

# „სიტროენის" ახალი გოლფმენი

ფრანგული კომპანია "სიტროენი" თავისი ახალი ავტომობილის, "სიტროენ C4"-ის დებიუტს პარიზის ავტოსალონზე გეგმავს, მაგრამ ოფიციალურ პრეზენტაციამდე თვენახევრით ადრე მაინც გამოაქვეყნა მისი ფოტოები და მწირი ტექნიკური მახასიათებლები.

ცნობილი გახდა, რომ ახალი ავტომობილი შეცვლის პოპულარულ მოდელ "იქსსარას" და კომპანიის სამოდელო გამაში დაიკავებს ადგილს მოდელებს, C3 და C5-ს შორის. ამასთან, იგი მყიდველს სამ და ხუთკარიანი ჰეჩბეკების სახით მიეწოდება. პირველი უფრო დინამიურ, სპორტულ სტილშია შესრულებული, მეორე კი თავისი სოლიდურობით მიიზიდავს მყიდველს. მთავარი კი ისაა, რომ ახალი C4 ეგრეთ წოდებულ "გოლფის" კლასს მიეკუთვნება.

"სიტროენ C4" საფუძვლად მიიღებს პლატფორმას, რომელიც უკვე დიდი ხანია, გამოიყენება მონათესავე "პეჟო 307"-ში. წინა ნაწილის გაფორმებით, სამ და ხუთკარიანი ჰეჩბეკების განსხვავება საკმაოდ ძნელია. სამაგიეროდ, უკნიდან ისინი რადიკალურად განსხვავებულები არიან. კერძოდ, სამკარიანს, რომელიც ოფიციალურ პრესრელიზში "სამკარიან კუპედაა" მოხსენიებული და თავისი გარეგნობითაც სპორტულად აგრესიულია, უკანა საყრდენი საპირისპირო მიმართულებით აქვს დახრილი და უცნაური შემინულობითაც გამოირჩევა. იგი თითქმის მთლიანად იმეორებს კონცეპტუალური "სიტროენ სპორტის" გარეგნობას, რომელიც ფრანგულმა კომპანიამ გაზაფხულზე წარადგინა ჟენევის ავტოშოუზე. ხუთკარიანი ჰეჩბეკი კი უფრო ტრადიციული გამომეტყველებით და "მშვიდი", მომრგვალებული ფორმებით გამოირჩევა.

უკანა ნაწილის რადიკალური განსხვავების მიუხედავად, ორივე ვარიანტის აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი ოდენ 0.28-ს შეადგენს, რაც შედეგია იმისა, რომ კონსტრუქტორებმა ბევრი დრო დაუთმეს ავტომობილის გარსშემოდენილობის დახვეწას აეროდინამიკურ მილში.

C4-ის ინტერიერი ერთგვარი "მკაცრი" დიზაინით გამოირჩევა და გარკვეულწილად, იმეორებს ძარის შტრიხებს. მის გასაფორმებლად გამოყენებულია ამ კლასისთვის შეუფერებლად ძვირადღირებული



დამაღალხარისხიანი მასალა. ტრადიციულად, ხელსაწყო-მაჩვენებელთა დაფა წინა პანელის ცენტრშია განთავსებული. თუმცა, ის ფუნქციურად განსხვავდება ჩვეული მაჩვენებლებისგან - სპიდომეტრის და სხვა მეორეხარისხოვან ხელსაწყოთა მონაცემების გამოტანა ცენტრალურ დისპლეიზე ხდება. მხოლოდ ტახომეტრს (ბრუნთა რიცხვების მაჩვენებელი) გააჩნია ჩვეული ციფრული აღნიშვნები.

საჭის რგოლზეა განთავსებული მეორეხარისხოვან ფუნქციათა მატარებელი ღილაკები, რაც ბოლო ხანებში საკმაოდ გავრცელებულია. სამაგიეროდ, საყრდენისგან დამოუკიდებლად რეგულირდება საჭის რგოლის რკალი, რაც მისი ნებისმიერი განლაგების შემთხვევაში, უსაფრთხოების ბალიშის სწორი მიმართულებთ გაშლას და აქედან გამომდინარე, მის ეფექტურობას უზრუნველყოფს.

გვერდითა შუშები ეგრეთ წოდებული, ანტივანდალური აფსკითაა დაფარული, რაც ზრდის შუშის სიმტკიცეს (იგი მძიმე უროს რამდენიმე დარტყმის შემდეგ თუ გატყდება) და უზრუნველყოფს ინტერიერის ხმაურისგან დაცვას. ამ აფსკს ასევე აკისრია პასიური უსაფრთხოების ფუნქციაც - რამდენადაც ძნელად იმტვრევა, მცირდება ავარიის დროს მისგან მძღოლისა და მგზავრების დაზიანების ალბათობა.

მყიდველის სურვილისამებრ, შესაძლებელი იქნება ავტომობილზე გზის მაჩვენებელთა აღმქმელი სისტემის და სიჩქარის შემზღუდველი ელექტროსისტემის დაყენება. საინტერესოა კიდევ ერთი სიახლე, რაც "გოლფის" კლასის ავტომობილებში პირველად გვხვდება - ესაა ეგრეთ წოდებული აქტიური წინა მაშუქები, რომლებიც იმ მხარის განათებაზე აკეთებენ აქცენტს, საითაც მიბრუნებულია საჭის რგოლი.

"სიტროენი" ჯერჯერობით თავს იკავებს ავტომობილის ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლების დაწვრილებითი ინფორმაციის გავრცელებისგან. ცნობლია მხოლო ის, რომ C4 აღიჭურვება ბენზინის რამდენიმე და სამიც დიზელის ძრავით. ყველაზე სუსტი ბენზნის ძრავის მუშა მოცულობა 1.4 ლიტრია და მისი სიმძლავრე 90 ცხენის ძალას აღწევს. ყველაზე მძლავრი კი ორლიტრიანია და მისი სიმძლავრე 180 ცხენის ძალაა. დიზელის აგრეგატების სიმძლავრე 92-დან 138 ცხენის ძალამდეა.

ავტომობილის გაყიდვები მისი პარიზული პრემიერიდან რამდენიმე კვირაში დაიწყება. ჯერჯერობით უცნობია მისი ფასი.

# მომდევნო თაობის „მინი" გამრავალფეროვნდება

თითქმის ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანულმა კომპანია "ბეემვემ" დაიწყო ახალი "მინის" გაყიდვები, რომელმაც ამ მოკლე დროში არათუ გაამართლა მწარმოებლის მოლოდინი. უფრო მეტიც, ეს პატარა ავტომობილი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მისთვის ბავარიელები ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნასაც კი აპირებენ, რათა დააკმაყოფილონ გაზრდილი მოთხოვნა.

წლეულს სულ 180 ათასი ცალი "მინის" დამზადებაა დაგეგმილი. "ბეემვეს" ოქსფორდული (ოქსფორდში ხდება ახალი "მინის" წარმოება) შტოს დირექტორი ანტონ ჰაისი აცხადებს, რომ "მინის" წარმოების გაფართოებაზე გადაწყვეტილება მომავალ წელს იქნება მიღებული. აღსანიშნავია, რომ წარმოების დაწყებამდე ქარხნის სიმძლავრე სულ 125 ათასი ავტომობილს უდრიდა, მაგრამ მოთხოვნის ზრდასთან ერთად, ეს რიცხვი სამუშაო ცვლათა რაოდენობის გაზრდის ხარჯზე გაიზარდა.

"დაწვრილებითი შესწავლაა საჭირო იმისათვის, რომ დავადგინოთ, რას ვუპირებთ ამ სიმპატიურ ავტომობილს. სანამ მას შევცვლით, მანამ წარმოების გაზრდაზე უნდა ვიზრუნოთ, რადგან ახალი "მინი" აღარ იქნება მხოლოდ ერთი მოდელი და ის მთელ გამას მიიღებს", - ამბობს ჰაისი.

მისი თქმით, მომდევნო თაობის "მინისთვის" უფრო მოქნილი პლატფორმა დამზადდება, რომელზეც შესაძლებელი იქნება ჰეჩბეკის, უნივერსალის, მინივენის, კუპე/როდსტერისა და კაბრიოლეტის ძარიანი ავტომობილების წარმოება. ამასთან, ყოველი თაობის ავტომობილის ცხოვრების ხანგრძლივობა 6-7 წლამდე გაიზრდება. ჰაისი ვარაუდობს, რომ მალე ახლანდელი თაობის "მინის" საწარმოო პროგრამაში კაბრიოლეტთა (ღია ძარით) რაოდენობა მალე საერთო მოცულობის 20 პროცენტს მიაღწევს.

ბავარიელებმა ახალი "მინის" წარმოება 2001 წელს დაიწყეს და სანამ ეს მოხდებოდა, ქარხანა ლონგბრიჯიდან (ინგლისი) მეზობელ ოქსფორდში გადაიტანეს. ყოველივე მანამ მოხდა, სანამ "მინის" მწარმოებელი ინგლისური კომპანია "როვერი" იყო და ის გერმანულ კომპანიას ეკუთვნოდა. "როვერს" ყოველწლიურად "ბეემვესთვის" ასეულობით მილიონი დოლარის ზარალი მოჰქონდა და გერმანელებმაც სიმბოლურ ფასად (ერთ დოლარად) ის ბრიტანელ ინვესტორთა ჯგუფ "ფინიქსს" მიჰყიდეს, მაგრამ "მინი" თავისთვის დაიტოვეს (ძველ "მინის" დღესაც უწვებს "როვერი").

მოგვიანებით გაირკვა, რომ ოქსფორდული ქარხნის სამღებრო ხაზის შესაძლებლობანი შეზღუდული იყო. "ბეემვეს" კუთვნილი ორი გერმანული ქარხნისგან (რომლებიც მიუნხენსა და რეგენსბურგში მდებარეობს) განსხვავებით, ოქსფორდულ ქარხანას ოდენ ერთი სამღებრო ხაზი აქვს, რის გამოც ის ყოველდღიურად მხოლოდ 35 ცალი ავტომობილის გამოშვებას ახერხებს. ეს მაშინ, როცა თითოეული გერმანული ქარხანა ყოველდღიურდ 50 ცალ ავტომობილს უშვებს.



*მინი კუპერი გამოშვებისთანავე ბესტსელერი გახდა*

მაგრამ, მას შემდეგ, რაც "მინის" სპორტულ ვერსია "კუპერზე" მოულოდნელად დიდი მოთხოვნა დაფიქსირდა, ბავარიელებმა ოქსფორდის ქარხნის მოდერნიზაციაზე კიდევ რამდენიმე მილიონი ევრო დახარჯეს, მაგრამ ამას მისი საწარმოო სიმძლავრის ზრდა არ მოჰყოლია. ამის მიზეზი ისაა, რომ "კუპერები" ორ ფერში იღებება, რის გამოც წარმოების პროცესში, სამღებრო ხაზზე მისი ორჯერ გატარებაა საჭირო. მოდერნიზაციის შედეგად გაიზარდა სამღებრო ხაზის წარმადობა, რითაც უზრუნველყოფილ იქნა "კუპერის" ორ ფერში შეღებვა. მალე ნათელი შეიქნა, რომ ზედმეტი მილიონები ტყუილად არ დახარჯულა - "კუპერის" გაყიდვებმა სამჯერ გადააჭარბა საბაზო "მინისას".

ჰაისს მიაჩნია, რომ მომავალი თაობის "მინის" გამოშვებამდე ოქსფორდული ქარხნის სერიოზული მოდერნიზება იქნება საჭირო. თუმცა, მისთვის (კომპანიისთვის) არც ესაა მთავარი. მთავარი ისაა, თუ როგორი იქნება "მინის" მომავალი. მისი განსაზღვრისას მარკეტოლოგების გარჯაა საჭირო, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ, რა მომავალი ელის "ახალ მინის" მეორე თაობის ავტომობილს, თუ იგი ბაზარზე გამოჩნდება. სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მსჯელობა ოქსფორდის ქარხნის გაფართოებაზე.

ჰაისი იხსენებს, რომ სანამ "ბეემვე" ახალი "მინის" წარმოებას დაიწყებდა, ნავარაუდები იყო, რომ იგი პირველ რიგში, ევროპული ბაზრისთვის იქნებოდა განკუთვნილი. მაშინ არავინ ფიქრობდა მის აშშ-ში გატანაზე. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ავტომობილმა ამერიკელების დიდი დაინტერესება გამოიწვია და ბავარიელებმაც "მინი" ოკეანისგაღმურ ავტობაზარზე წარადგინეს.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მალე "მინის" გაყიდვები იკლებს, რადგან ახლოვდება მისი თაობათა ცვლა, რაც იმის ნიშანია, რომ ავტომობილს მოდერნიზაციის დრო დაუდგება. სწორედ ამ დროისთვის უნდა იყოს შემუშავებული მეორე თაობის "მინის" საწარმოო პროგრამა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მომდევნო თაობის "მინის" გაყიდვები კიდევ უფრო შთამბეჭდავ დონეს მიაღწევს, რაზეც პირდაპირ გავლენას იქონიებს მისი სამოდელო გამის გაფართოება. კერძოდ, წლიურად 250 ათასი ცალი ავტომობილი გაიყიდება.

ანალიტიკურ კომპანია "გლოუბლ ინსაითის" სპეციალისტ ნაიჯელ გრიფიტსის თქმით, "მინის" წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ბავარიელები მყიდველს დამატებით უამრავ ოპციას სთავაზობენ - როგორც ამბობენ, შანსი იმისა, რომ ორი აბსოლუტურად იდენტურად დაკომპლექტებული გაყიდული "მინი" მოძებნოთ, 50 ათასში მხოლოდ ერთია. ამის შემდეგ, აღარც ისაა გასაკვირი, რომ საკმაოდ სოლიდური ფასის მიუხედავად, ახალი "მინი" მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს მყიდველთა შორის.

# „ტოიოტა პორტე" - „პეჟო 1007"-ის ანალოგი

ივლისის ბოლო ორშაბათ დღეს იაპონურმა ავტოგიგანტმა "ტოიოტამ" პრესას წარუდგინა თავისი ახალი ავტომობილი - კომპაქტური ერთმოცულობიანი "ტოიოტა პორტე", რომელიც კონცეპტუალურ "სმარტ ლაიფ სუპორტერის" ბაზაზეა შექმნილი და რომელიც გარეგნულად ძლიერ ჰგავს ფრანგულ კომპანია "პეჟოს" უახლეს მოდელ 1007-ს.

აღსანიშნავია, რომ ავტომობილის კონსტრუირებს დაწყებამდე, "ტოიოტას" მარკეტოლოგებმა დაწვრილებით შეისწავლეს ავტობაზრის შესაბამისი სეგმენტის მყიდველთა ცხოვრების სტილი და სურვილები, რომელთა გათვალისწინებითაც, კონსტრუქტორებმა შექმნეს ერთობ უჩვეულო, კომპაქტური ავტომობილი, რომელიც თავისი ზომებით ოდნავ აღემატება "პეჟო 1007"-ს და მისი მსგავსი, გასაწევი და ერთობ განიერი კარი გააჩნია.



ფრანგულ ავტომობილთან ზომებში განსხვავება საგრძნობია: "პორტეს" თვლების ბაზის სიგრძე 2.60 მეტრია, როცა "პეჟო 1007"-ისა 2.32 მეტრს შეადგენს. ამასთან, იაპონური ავტომობილი ფრანგულზე 27 სანტიმეტრით გრძელი და 11 სანტიმეტრით მაღალია. "პორტეს" უცნაურობა ისაა, რომ ორი განსხვავებული კარი გააჩნია - მძღოლის მხარეს (მრჯვნივ) ის ჩვეულებრივია, როცა მგზავრის მხარეს მინივენების სტილში, ეგრეთ წოდებული მოსრიალე კარია განთავსებული, რომელიც თავისივე თავის გასწვრივ იხსნება. მისი გახსნის შემდეგ საკმაოდ მოზრდილი შესასვლელი ნიშა წარმოიქმნება, რომლის სიგანე მეტრზე ოდნავ მეტია, სიმაღლე კი 1.265 მეტრს შეადგენს.

ისევე როგორც ფრანგულ ავტომობილში, აქაც კარს სპეციალური სერვომოტორი ემსახურება, რომელიც შორიდანვე, სპეციალური გადამცემით გაცემული ბრძანებისამებრ ხსნის კარს, რომლითაც ავტომობილში არამარტო ყველა მგზავრის შესვლა-გადმოსვლაა შესაძლებელი, არამედ ბარგის ჩასადებადაც მოსახერხებელია. ამასთან, სპეციალური ჰიდრავლიკური მექანიზმი უზრუნველყოფს კარის მჭიდროდ დახურვას მაშინაც კი, როცა მას მსუბუქად უბიძგებენ.

მარტივი მექანიზმი სავარძლების 750 მილიმეტრით წინ და უკან გაწევას უზრუნველყოფს, რისი საშუალებითაც, ყოველი კონკრეტული სიტუაციისთვის ინტერიერის მაქსიმალურად კომფორტულად მოწყობაა შესაძლებელი. სალონი საკმაოდ სპარტანულად, მინიმალიზმის სულისკვეთებითაა მოწყობილი. ამასთან, იგი ნათელია და ღია ცის ქვეშ მგზავრობის შთაბეჭდილებას ქმნის. სალონის სიმაღლე 1.390 მეტრია, რითაც ბევრი უფრო დიდგაბარიტიანი ავტომობილიც ვერ დაიკვეხნის. უკანა მგზავრების ფეხებისთვის ადგილი წინა და უკანა სავარძლებს შორის კი 1.050 მეტრს შეადგენს, რაც მაღალი ადამიანებისთვისაც კი ბევრია.

"ტოიოტა პორტე" დაკომპლექტდება 1.3 და 1.5-ლიტრიანი ბენზინის ძრავებით, რომელთა სიმძლავრეა 87 და 109 ცხენის ძალა. ეს აგრეგატები აღჭურვილია სისტემით VVT-i, რომელიც ძრავის მუშაობის პროცესში საწვავი ნარევის შეშვებისა და გამოშვების ფაზების ცვალებადობას უზრუნველყოფს. ამ სისტემის მეშვეობით, აგრეგატი აკმაყოფილებს ყველაზე მკაცრ ეკოლოგიურ მოთხოვნებსაც კი, რომლებიც იაპონიაში მხოლოდ 2010 წლიდან შედის ძალაში. ძრავთან შეწყვილებულია 4-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფი "სუპერ ECT".

წინასწარი ვარაუდით, "ტოიოტა პორტე" მხოლოდ იაპონური ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ყოველ შემთხვევაში, ის ევროპაში ჯერჯერობით არ გაიყიდება. საავტომობილო ანალიტიკოსთა მოსაზრებით, ეს ლოგიკურია - იაპონელებს არ სურთ კონკურენცია "პეჟოსთან", რომელთან ერთადაც ქმნიან აღმოსავლეთ ევროპისთვის განკუთვნილ სუბკომპაქტურ ავტომობილს.

# „რენო" ევროპაში ლიდერობას ინარჩუნებს




*მეგანის წყალობით რენო ევროპის ლიდერობას ინარჩუნებს*

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემების მიხედვით, ევროპის ავტობაზარზე პირველობას ინარჩუნებს ფრანგული ავტოგიგანტი "რენო", რომლის გაყიდვებმაც პირველ ექვს თვეში სულ 826 698 ცალი ავტომობილი შეადგინა, კომერციული ავტომობილების გაყიდვების დამატებით კი სულ ამ მარკით 976 986 ავტომობილია რეალიზებული.

ცალკეულ ავტომობილებს შორის, დასავლეთ ევროპის ბაზრის ლიდერობას კვლავაც ინარჩუნებს "რენო მეგანი", რომლის გაყიდვებიც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაახლოებით 25 პროცენტით გაიზარდა. გარდა ამისა, თავის სეგმენტში მყარ ლიდერობას ინარჩუნებს დიდი ზომის მინივენი "რენო ესპეისი".

სამაგიეროდ, დაახლოებით 24 პროცენტით დაეცა მოთხოვნა მოძველებულ მოდელ "რენო ლაგუნაზე". კიდევ უფრო უარეს დღეშია ახალთახალ მოდელ "ველ სატისის" საქმე, რომელსაც წლის დასაწყისიდან ჯერ მხოლოდ 4525 მყიდველი გამოუჩნდა და ამის გამო, კომპანია მისი წარმოების შეჩერებაზეც კი ფიქრობს.

რაც შეეხებათ "რენოს" საკუთრებაში მყოფ უცხოურ კომპანიებს, რუმინულმა "დაჩიამ" 34 პროცენტით გაზარდა გაყიდვები, რამაც საერთო ჯამში სულ 41 869 ავტომობილი შეადგინა. მომავალი წლიდან "დაჩია" კიდევ უფრო გააქტიურდება მას შემდეგ, რაც შეუდგება იაფფასიან მოდელ "რენო ლოგანის" (ამ ავტომობილის გამოშვებას მალე რუსებიც დაიწყებენ) წარმოებას.

რუმინული შტოსგან განსხვავებით, ძლიერ გაუჭირდა "რენოს" კორეულ დივიზიონ "სამსუნგს", რომლის გაყიდვებიც თითქმის 32 პროცენტით დაეცა.

# თემიდას ახალი იმიჯი

**პროტესტი მართლმსაჯულების წინააღმდეგ**

ერთ მშვენიერ დღეს ლონდონელებმა გაილვიძეს და თვალებს არ დაუჯერეს. ლონდონის ერთ-ერთ მოედანზე უჩვეულო ქანდაკება იდგა - ის მართლმსაჯულების ქალღმერთსაც ჰგავდა და ღამის ბარიდან გამოვარდნილ მეძავსაც...

ბრიტანელმა მხატვარმა-სკანდალისტმა, რომელიც კარგადაა ცნობილი ბენქსის მეტსახელით, საზოგადოებას კვლავ შეახსენა თავი. მან ღამით ლონდონის ცენტრში ბრიტანეთის მართლმსაჯულების ქანდაკება დადგა – მეძავის ფორმაში გამოწყობილი თემიდა.

ბენქსი თავის დროზე კედლის მხატვრობით გახდა ცნობილი, მაგრამ ამჯერად მან ტრადიცია დაარღვია და მოქანდაკედ მოგვევლინა. რაც შეეხება მის მეძავ თემიდას, ეს სულაც არ არის უსახური ინსტალაცია. ეს გახლავთ ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც დაახლოებით სამ ტონას იწონის და რომლის ღირებულებაც 40 ათასი დოლარია.



ოცი ფუტის (ექვსი მეტრის) სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება შავ და ოქროსფერ ფერებშია შეღებილი, ეს იმ თემიდას ქანდაკების ასლია, რომელიც ლონდონის ცენტრალური სასამართლოს შენობის სახურავზე დგას. მასაც თვალები ახვეული აქვს, ხელში კი მახვილი და სასწორი უჭირავს. რასაკვირველია, განსხვავება მაინც არის: თემიდას მანტია ისეა შეხსნილი, რომ კარგად ჩანს ტყავის ჩექმები, მაღალყელიანი წინდები და წინდის სამაგრები. ამ სამაგრებში კი დოლარებია ჩაჩურთული. პოსტამენტზე წარწერაა: "არავის ენდო." ახალი თემიდას გამოჩენამ ყველა გაახარა - ტურისტებიც და ლონდონელებიც. გამვლელები დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ქანდაკებას და ფოტოებსაც დიდი ენთუზიაზმით იღებენ.

"ყოველ დილით ულებენ სურათებს. როგორც ჩანს, კარგი ღირსშესანიშნაობა გამოვიდა. ჩემი აზრით, მოედანი გადახალისდა. ასე რომ, ვფიქრობ, ეს ქანდაკება აქ უნდა დარჩეს," – ამბობს ერთ-ერთი გამვლელი. ხოლო შეკითხვაზე, ხომ არ ჯობია, რომ ქანდაკება აქაურობას მოაცილონ, დაუფიქრებლად უპასუხებს: "არა, არა! ბევრად უფრო კარგია, ვიდრე ეს ცხენებზე ამხედრებული მეომრები."

"ეს სიტყვის თავისუფლებაა. დაე, იდგეს," – კვერს უკრავს მეორე გამვლელი. "ბოლოს და ბოლოს" ზედ მტრედები მაინც დაიდებენ ბინას," - ირონიულად დასძენს მესამე.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბენქსის ქანდაკება გამვლელთათვის საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ მას მალე აიღებენ.

ბენქსი ამბობს, რომ მისი ნამუშევარი ბრიტანეთის მართლმსაჯულების წინააღმდეგ პროტესტია. ავტორს დიდი იმედი აქვს, რომ მას ხელს არ ახლებენ.

თუმცა, მოვლენები ისე ვითარდება, რომ ბენქსის სურვილი, ალბათ, სურვილად დარჩება. ერთხელ მხატვარმა ტეიტის გალერეას თავისი ნახატები მიაკრა და მაშინაც ასე ეგონა, რომ მისი შედევრები ხელშეუხებელი იყო, მაგრამ ბენქსის ნახატები იქ არავის დაუტოვებია.

# სუფთა მთა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"დავასუფთაოთ მთა", - ასეთი მოწოდებით მეორედ იმართება საქართველოში Mountain Wilderness-ის აქცია. საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოშიც აპირებს წარმომადგენლობის გახსნას, შაბათს ყაზბეგის მთას მეორედ დაასუფთავებს.

აქტივისტებს, სტუმრებს, გზამკვლევებსა და უბრალოდ, მსურველებს მხატვრებიც შეუერთდებიან. სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულებმა: ბესა ქართლელიშვილმა და ლაშა წიწიკაშვილმა საკუთარი 230 კვადრატულ მეტრიანი ტილო გუშინ აიტანეს ზღვის დონიდან 5047 მეტრი სიმაღლის მთაზე. შაბათს კი, ყველა ერთად მწვერვალზე აქციის სიმბოლოს - მეგობრობისა და ერთობის ცეცხლს დაანთებს. აქციაში ჩართულია გარემოს დაცვის სამინისტრო.

მსგავსი აქცია დასავლეთ ევროპაში ყოველწლიურად იმართება. ალპების რეგიონში აგვისტოში ყველა პრობლემის ძლევის სიმბოლოდ ასეთ ცეცხლს ანთებენ ხოლმე. მთების გასუფთავების გარდა, აქციის მიზანი ფართო საზოგადოების ყურადღების გამახვილებაა ეროზიაზე, რასაც ტურიზმის შედეგად განსაკუთრებით განიცდის მსოფლიოს მთათა სისტემა.

Mountain Wilderness ის ორგანიზაციაა, ვინც პირველად მიაპყრო მსოფლიოს ყურადღება ჰიმალაის დაბინძურებისკენ. ის შექმნილია მსოფლიოს შვიდი ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ; მათ შორის ისეთი დიდი ალპინისტებიც არიან, როგორებიცაა: ლეგენდარული რეინჰოლდ მესნერი და ჯომოლუნგმაზე ასული პირველი ადამიანი სერ ედმუნდ ჰილარი.

# ვგიჟდები ჯასტინზე!

ერთი წელი კი გაცხარებით იტყუებოდნენ: ხან ამბობდნენ, ერთმანეთთან საერთო არაფერი გვაქვსო, ხან ამტკიცებდნენ, ოდესღაც კი შევიყარეთ, მაგრამ კვლავ გავიყარეთო... მაგრამ ახლა უკვე გამოცხადდა, რომ კემერონ დიასი და ჯასტინ ტიმბერლეიკი უგონოდ შეყვარებულები არიან და მალე დაქორწინდებიან კიდეც.



ერთი წლის წინათ, როცა ბულვარული პრესა აყვირდა, ჯასტინ ტიმბერლეიკი და კემერონ დიასი წყვილი არისო, ორივე ვარსკვლავმა გაოცებული სახე მიიღო და ერთხმად განაცხადა: "ჭორია!" მერე რა, რომ ვიღაც თავდადებულმა ფოტოგრაფმა ჰავაის სანაპიროზე სრულიად არაორაზროვანი სურათი გადაუღო – ისინი მაინც ყველაფერს უარყოფდნენ.

მერე, 2004 წლის ივნისში, კვლავ ბულვარულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დიასმა ტიმბერლეიკი მოიცილა: ვითომდა, მისი კარიერისთვის საზიანო იქნებოდა, თუ მასთან ერთად 23 წლის პოპ-ვარსკვლავის სახელი იქნებოდა ნახსენები – ჩათვლიან, რომ არასერიოზული ქალიაო.

მერე მომღერალმა ბრიტანულ ბულვარულ გაზეთს უჩივლა, რომელმაც მას მოდელ ლუსი კლარკსონთან სასიყვარულო ურთიერთობა დააბრალა, და გაიმარჯვა კიდეც. მან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა პაპარაცებსაც, რომლებიც გასაქანს არ აძლევდნენ და ისეთ სურათებსაც იღებდნენ, ჯასტინს სულ რომ არ უხაროდა.

ახლა კი ჭორებს ბოლო მოეღო და ცნობისმოყვარე საზოგადოებაც დაკმაყოფილდა: მომღერლის თანამშრომელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ კემერონი და ჯასტინი დაქორწინებას აპირებენ.

გაზეთი "სანი" წერს, რომ კემერონის მშობლებისგან ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ ჯასტინ ტიმბერლეიკმა საბოლოოდ მოინადირა საყვარელი ქალის ხელი და გული. წყვილის მეგობრები ვარაუდობენ, რომ მათი ქორწილი მოკრძალებული იქნება – ანუ, ჟურნალისტებს არავინ გაახარებს: "როგორც გვინეტ პელტროუმ და კრის მარტინმა გააკეთეს – ჩუმად და გემრიელად".

მომავალმა ნეფე-პატარძალმა ერთ-ერთი ჯილდოების გადაცემის ცერემონიაზე გაიცნო ერთმანეთი. იმისთვის, რომ ახალგაზრდა შეყვარებულთან ერთად შეძლებისდაგვარად ბევრი დრო გაეტარებინა, კემერონ დიასი მას მსოფლიო ტურნეს დროს თან დაჰყვებოდა.

## სკანვორდი




## TV პროგრამა

*12 აგვისტო*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "კვინსის ლოგიკა" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "21 გრამი". მთ. რ-ში: ნაომი უოტსი, შონ პენი (18)ყ

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.25** ტელეტურიზმი. **12.15** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი. **16.30** წითელი ფარდა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.50** გადაცემა: ისინი მოგვითხრობენ თავიანთ თავგადასავალს. **23.00** გადაცემა: ტასაცმელი. **24.30** ავგუსტინი. მხ. ფილმი. რეჟისორი ანა ფონტენი. 1994. **02.50** უდიდესი სპორტული შეჯიბრებები. **04.20** სიმენონი ტროპიკებიდან. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **09.40** იმღერე რამე **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** "მიამბეთ თქვენზე" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ჟოზეფ მარია ჟუჟელი" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.00** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" 1-ლი ს. **17.35** სერიალი "ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.55** მხ. ფილმი "მელოდია სარდაფიდან" (12)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "დედამიწის ბირთვი" (გ) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "აღსარება" (მორგან ფრიმენი) (12) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "ნიკიტა" (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "საზაფხულო გართობანი" (15)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "შტრაუსების დინასტია" **12.10, 21.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.10** მხ. ფილმი "ქალაქის პოლიცია" (ედი მერფი) (12) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დრაკონის ბეჭედი" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "მზის გულზე" (15) (ჯოაკიმ დე ალმეიდა)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" **22.00** მხ. ფილმი "ეარ ამერიკა" (15)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 01.20** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.25** "ათენიდან ათენამდე" (მე-11 გადაცემა) **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 00.50** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის მემუარები" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.30** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ადამიანი მოკვდავია" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის მემუარები" **21.30** "ათენიდან ათენამდე" (მე-12 გადაცემა) **23.00** "არ იდარდო"

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "მშვენიერი ემილი" **19.50** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "როსინი" (18)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 10.20, 19.00 Сериал "Клон" 11.20** Мультсериал "Кошки-мышки" **11.40** Дисней-клуб. "Утиные истории" **12.10 Комедия "Небесный тихоход" 13.40** "Валентина Леонтьева. "От всей души". Документальный фильм **14.10 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Следствие ведут знатоки. Пуд золота". 4-я с. 16.30** Криминальная Россия. "Казаки-разбойники". 2-я серия **17.00** "Слабое звено" **18.20** "Анекдоты" **20.00 Сериал "Черный ворон" 21.00** Время **22.40** "Человек и закон" с Алексеем Пимановым **23.30** "Сканер". "Сверхчеловек. Режим подготовки" **00.00** "Место действия - Россия". "Контракт" **01.10** В поисках сокровищ в фильме **"Флоридские проливы" 02.50 Сериал "24 часа" 03.50 Стив Маккуин в триллере "Охотник" Сериал "Все путешествия команды Кусто". "Тайны глубин"**

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.50 Сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 10.00** Сегодня утром. **10.25** Квартирный вопрос. **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30 Сериал "ЗА КУЛИСАМИ..." 14.25** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30 Сериал "ОХОТА НА ЗОЛУШКУ". 14-я серия, закл. 18.35** Протокол. **19.40 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 12-я серия, закл. 20.50 Сериал "Я ВСЕ РЕШУ САМА". 4-я серия. 22.00** "Страна и мир" **22.35 Боевик "ИЛЛЮЗИЯ УБИЙСТВА-2" 00.50 Кристиан Слейтер в боевике "ТЯЖЕЛЫЕ ДЕНЬГИ"**

# ქორწინება ჰოლივუდურად


კევინ კოსტნერი და კრისტინ ბაუმგარტნერი


დემი მური


ეშტონ კუჩერი

ძვირფასი კაბები არჩეულია. სტუმართა სიებსაც უკვე ადგენენ. ჰოლივუდში ვარსკვლავები რამდენიმე ქორწილისთვის ემზადებიან: ბრიტნი სპირსი და კევინ ფედერლაინი, კევინ კოსტნერი და კრისტინ ბაუმგარტნერი, ბრენდი და კვენტინ რიჩარდსონი. როგორც ყოველთვის, საქორწინო სამზადისის დროს ჰოლივუდშიც ქალები უფრო აქტიურობენ.

22 წლის ბრიტნიმ ამასწინათ განაცხადა, რომ საქმროდ 26 წლის კევინ ფედერლაინი ჰყავს არჩეული და ქორწილიც შემოდგომაზე აქვს დაგეგმილი, 20 ნოემბრისთვის. თუმცა, მასმედიის წარმომადგენლებში უკვე გაჩნდა ეჭვი - ვინ იცის, რა იქნება მომავალში? ისიც ითქვა, რომ ბრიტნი ქორწილს ლოს ანჯელესში გადაიხდის, სავარაუდოდ, სასტუმრო "ბევერლი ჰილსში". თუმცა, ეს გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს. ჯერ დრო არის და მომღერალიც არჩევს ადგილებს საშემოდგომო წვეულებისთვის. ბრიტნიმ უკვე შეიძინა ახალი სახლი მალიბუში და არ არის გამორიცხული, რომ საქორწინო წვეულება სწორედ ამ სახლში გამართოს. ერთადერთი, რაც ზუსტადაა ცნობილი, ის გახლავთ, რომ ბრიტნისა და კევინს დიდი ქორწილის გადახდა უნდათ და სურთ, რომ წვეულებაზე ყველაფერი შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყოს. სტუმრებს, ალბათ, სამხრეთული სამზარეულოს დელიკატესებითაც უხვად გაუმასპინძლდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტნი წვეულების მოწყობას მშობლიურ ლუიზიანაში სულაც არ აპირებს.

კევინ კოსტნერი და კრისტინ ბაუმგარტნერი ბრიტნის დაასწრებენ და ქორწილს სექტემბერში გადაიხდიან. მათი წვეულება სამ დღეს გასტანს. ადგილი უკვე ცნობილია – ამერიკის შესანიშნავი კურორტი ასპენი. აქ მათ საკუთარი რანჩო აქვთ. კევინი და კრისტინი წვეულების დეტალების გახმაურებას არ ერიდებიან, ამიტომ მათი ქორწილი ალბათ პაპარაცების თავდასხმის მსხვერპლი გახდება. რაც შეიძლება ბევრ სტუმარს დავპატიჟებთ, - ამბობს წყვილი, - ზუსტად არ ვიცით, რამდენი კაცი მოვა, მაგრამ ქორწილი ის საჩუქარია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე თან მიგყვება, ამიტომ თუ გინდათ დაგენაძლევებით, რომ სტუმართა რიცხვი 20-ზე მეტი ნამდვილად იქნება, - ხუმრობენ კევინი და კრისტინი.

პოპის სენსაცია ბრენდი და მისი საქმრო ჯერჯერობით ქორწილის თარიღს არ აცხადებენ. მაგრამ ისინიც უახლოეს ხანებში დაწყვილდებიან და მათი წვეულებაც საკმაოდ ხმაურიანი იქნება. "დარწმუნებული ვარ ბევრი სტუმარი გვეყოლება, ყველა ჩემიანი – ჩემი და ჩემი საქმროს ოჯახები, ჩემი სატელევიზიო ოჯახისა და ჩემი ხმის ჩამწერი ოჯახის წევრები..." – ამბობს ბრენდი.

რაც შეეხება კიდევ ერთ წყვილს, დემი მურსა და ეშტონ კუჩერს, პაპარაცები მათ დიდი ხანია, უტრიალებენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გაიგეს, დაგვირგვინდება თუ არა ქორწინებით მათი იდილია. თუმცა, მასმედია მაინც დაუღალავად ჭორაობს დემისა და ეშტონზე. "ისინი რომც დაქორწინდნენ, მათი ქორწილი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა არ იქნება, ეს იქნება პატარა, შინაურული შეკრება, მაგალითად, აიდაჰოში, დემის რანჩოში. ეშტონსა და დემის დიდი წვეულებები და ხალხმრავალი აურზაური არაფერში სჭირდებათ, - ამბობენ ჟურნალისტები.
















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.